# ლელო

№009 (12 079)

13 იანვარი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ცენტრალური ბიბლიოთეკა

## ევროფეხბურთის ახალი სისხლი სჭირდება



**გლატერი და საქართველო პლატინისკენ**

სერობა პარიზში 2

# მოურინიო: ჩელსიდან მივდივარ!

ყაზბეგი



დღის თემა

## ჟოზე მილანში სახლს ეძებს

5

# თავზემოთ ვერ ახტები

ზვიად შათირიშვილი

რუმინეთის ნაკრებს რომ ვერ დავამარცხებდით, თავიდანვე ნათელი იყო - ლიდერთა არყოფნაში ლატვიელებთან ვერას გავხდით და მათზე აშკარად უკეთეს გუნდთან რა უნდა გვექნა? ერთადერთი შანსი თავზემოთ ახტომა იყო. საქართველოს ნაკრებმა ეს სადღაც 45-ე წუთამდე მოახერხა...

იმის გამო, რომ მოსამზადებელი ეტაპი ნაკრებს, ფაქტობრივად, არ გაუვლია, შეთამაშებას გზადაგზა ცდილობდა. ერთი შეხედვით გამოსდიოდა კიდეც - ლატვიაში 18 ბურთით წავაგეთ, საპასუხო სამით დავთმეთ, გუშინ კი ათბურთიანი დეფიციტი მივიღეთ. იყო თუ არა რუმინეთთან თამაშში პროგრესი? ცალსახა პასუხი ძნელი გასაცემია.

ლატვიასთან სასტარტო შემადგენლობა დავუწუნეთ საქართველოს ნაკრებს, ახლა კი სულ ერთი ცვლილება იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი: მწვრთნელმა გამთამაშებლად გიორგი წივწივაძე დააყენა ლევან გელაშვილის ნაცვლად. თუ არ ჩავთვლით პირველ წუთებს, როცა რუმინელებმა უცებ გაიტანეს ორი ბურთი, შეტევაში ქართველთა თამაში უფრო მწყობრი იყო და რუმინელთა ძლიერ და ძალისმიერ დაცვას პრობლემებს უქმნიდა...

11



გუშინ სპორტის სასახლეში. საქართველო-რუმინეთი 24:34. გიორგი წივწივაძის შეტევა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

დინამო

## პირველი გამარჯვება თურქულ შეკრებაზე

ახლებს კარგად უთამაშიათ 2

ცქიტიშვილი და ალკმაარი

## შანსი იზრდება

პირველი შეხვედრა ბურთთან: ვან გაალი კმაყოფილია 2



მეტოქე

## მაკალისტერი შოტლანდიის მწვრთნელად?

...და კიდევ რამდენიმე ვარიანტი 4

ბექჰემების ამერიკული ოცნება

## 500 000 გირვანქა კვირაში

6



საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისის გახსნაზე

საფეხბურთო ელიტა უეფას პრეზიდენტის არჩევნების წინ. პარიზი

# საქართველო და ბლატერი პლატინისკენ

**ნოდარ ახალკაცი** პარიზშია. გუშინ იქ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი**, ვიცე-პრეზიდენტი **მიშელ პლატინი**, უეფას პრეზიდენტი **ლენარტ იოჰანსონი** და სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ასოციაციათა ხელმძღვანელები დაესწრნენ. პრეზენტაციის შემდეგ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფიფასა და უეფას თავკაცებს შეხვდა. როგორც ახალკაცისგან შევიტყვეთ, ამ შეხვედრებით ის ფრიად კმაყოფილია. მასა და პლატინის შორის საუბარი კი, რა თქმა უნდა, უეფას პრეზიდენტის არჩევნებს შეეხო. პლატინი მადლიერია ახალკაცის მხარდაჭერით და, თურმე, საარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩართვასაც სთავაზობს. აი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელის პარიზული კომენტარი:

*"შევხვდი და ვესაუბრე ბლატერს, პლატინის, იოჰანსონსა და ჩემს კოლეგებს. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს შეხვედრები ქართული ფეხბურთისთვის ერთობ მნიშვნელოვანი გახლდათ. დასამალი არ არის, რომ ჩვენი ფედერაცია უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას პლატინის აძლევს. მიშელმა ამისთვის მადლობა გადამიხადა და უფრო მჭიდრო თანამშრომლობა შემომთავაზა. ეს კი ჩემთვის დიდი პატივია. გეტყვით იმასაც, რომ ეროვნულ ასოციაციებს შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პირველია, ვინც პლატინის კანდიდატურის მხარდაჭერა საჯაროდ დააფიქსირა. ახლა, პარიზიდან მოსკოვს უნდა გავემგზავრო. რუსეთის დედაქალაქში, თანამეგობრობის ტურნირის გახსნამდე, დსთ-ისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელების შეხვედრაა ფიფას თავკაცებთან და ცხადია, მასში ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას. ასე რომ, ბლატერსა და პლატინისთან მოსკოვში კიდევ მექნება შეხვედრა".*

პლატინისდამი ღია მხარდაჭერა გუშინ პარიზში მყოფმა ბლატერმაც დააფიქსირა: *"მე არ მრცხვენია, რომ მიშელისადმი სიმპათიებს ხმამაღლა გამოვხატავ. მაგრამ, ამავე დროს, არ შემიძლია, ამ თამაშის მსაჯი ვიყო. რა თქმა უნდა, სულით უფრო ფეხბურთელი ვარ, ვიდრე ხელმძღვანელი. პლატინიც თამაშობდა ფეხბურთს, მეც და იოჰანსონიც. მაგრამ მიშელი ამას გაცილებით უკეთ აკეთებდა, ვიდრე ჩვენ ორი ერთად აღებული. მე არ ვადარებ მათ საუფროსო თვისებებს. არჩევანი ფარული კენჭისყრით გაკეთდება. მაგრამ, ვიმეორებ, მე არბიტრად არ გამოვდგები".*

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შეცვლის შაარსს ცქიტიშვილი?

საქმე იქითკენ მიდის, რომ რამდენიმე დღეში ჰოლანდიის „ალკმაარში" შესაძლოა მეორე ქართველი ჩაირიცხოს. "ალკმაარის" ტრავმირებული ნახევარმცველი **სტინ შაარსი** კიდევ კარგა ხანს ვერ დაბრუნდება მოედანზე. უკვე გადაწყვეტილია, რომ ეს ფეხბურთელი 25 იანვარს ოპერაციას გაიკეთებს და სარეაბილიტაციოდ მინიმუმ 8 კვირა დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის სულ მცირე მარტის ბოლომდე ვერ დაეხმარება თანაგუნდელებს. შაარსი და ცქიტიშვილი კი ერთი ამპლუის მოთამაშეები არიან. ხუთშაბათს **შოთა არველაძემ** ლევანი ალკმაარელთა გუნდის მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალსა** და კლუბის ხელმძღვანელებს წარუდგინა. იმავე დღეს ცქიტიშვილმა ჰოლანდიელებთან ერთად პირველად ივარჯიშა. თუმცა წვრთნა მხოლოდ ფიზიკურ კონდიციებზე იყო გათვლილი - ფეხბურთელები სირბილითა და ხტომებით შემოიფარგლნენ. გუშინ კი ლევან ცქიტიშვილმა უკვე ბურთით მიიღო მონაწილეობა და ვან გაალის მოწონებაც დაიმსახურა.

*"დღეს უკვე ბურთთან ერთად ვივარჯიშეთ, ლევანი ერთობ აქტიურობდა და მწვრთნელებსაც მოეწონათ. სტინ შაარსი ტრავმირებულია და ოპერაციას ვერ გადაურჩა. ლევანის საკითხი მომავალ კვირაში უნდა გაირკვეს. იმედი მაქვს, ყველაფერი შედეგიანად დასრულდება...*

*"ლევანტესთან" მიმართებაში ჩემი ამბავი როგორაა? ესპანელებთან ჯერ არ მისაუბრია და ახალს ვერაფერს გეტყვით"*, - გვითხრა გუშინ ჰოლანდიაში დაკავშირებისას შოთა არველაძემ.

**დავით ცაბაძე**

19-წლამდელთა ნაკრები

# ტრაბზონში მოემზადება

ელიტრაუნდის დაწყებამდე საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები ორ შეკრებას გამართავს. გერმანიაში დაგეგმილ შეკრებასა და იქ გასამართ ორ ამხანაგურ მატჩზე უკვე ვწერდით - ჩვენი ჭაბუკები გერმანიის (21 მარტი) და ლუქსემბურგის (27 მარტი) ნაკრებებს შეხვდებიან.

მანამდე კი, ქართველი 19 წლამდელები 20-25 იანვარს თურქეთში გამართავენ შეკრებას. თავდაპირველად შეკრების მოწყობა კვიპროსზე იყო ნავარაუდები, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი თურქეთზე შეჩერდა.

*"20-25 იანვარს ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი თურქეთში, ტრაბზონში გაივლის შეკრებას და ამ მზადებისას ამხანაგურ მატჩებსაც ჩაატარებს. ეს უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ ახლა გუნდები მოსამზადებელ შეკრებებს გადიან და კლუბებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, რათა მათ ფეხბურთელები გამოუშვან. ვფიქრობ ამასაც მოვაგვარებთ.*

*პარალელურად კი იმას ვარკვევთ ტრაბზონის შეკრებისას თუ ვისთან გამართავს ამხანაგურ მატჩებს ჩვენი გუნდი და ესეც მალე დადგინდება"*, - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

თბილისის დინამო. უცხოური შეკრება

# თურქეთში მოგებით დავიწყეთ

**დინამო–ტერეკი 1:0**

1:0 ოდიკაძე (44)

**დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი, გუგავა, ოდიკაძე, ხმალაძე, დილმელაშვილი, ხუციშვილი, კობახიძე, იაშვილი.**

**მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: გ. კაშია, მერებაშვილი, ნოზაძე, ჯანაშია, დვალი, ნერგაძე, ჩირიკაშვილი, აკობია, თომაშვილი, გიგაური.**

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. გუნდი რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე გროზნოს "ტერეკს" დაუპირისპირდა. თურქეთში გამართულ კავკასიურ დერბიში გამარჯვება თბილისელებს დარჩათ - 1:0.

"დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამოდგა. მატჩი თითქმის თანაბარ ბრძოლაში მიილია. პირველ ტაიმში მცირედი უპირატესობა თბილისელების იყო, მეორეში კი გროზნოელებმა იმძლავრეს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 44-ე წუთზე ოდიკაძის შორეულ დარტყმას მოჰყვა. მეორე ტაიმის განმავლობაში **დუშან უგრინმა** ათი ფეხბურთელი შეცვალა. სლოვაკი **მილოშ კრშკო** მაინც ახალი ჩასული იყო ანთალიაში და მხოლოდ საწყის 45 წუთი ითამაშა. დაცვის ცენტრში სწორედ კრშკო (რომელსაც სიდნეის ოლიმპიადაზე სლოვაკეთის ნაკრებშიც უთამაშია) და **ზელიჩი** იყვნენ გამწესებული და საიმედოდაც ითამაშეს. ავსტრალიელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. ასევე დამაჯერებლად ითამაშა **დავით დილმელაშვილმა**. სხვათა შორის, უგრინმა დილმელაშვილი და ზელიჩი ყველაზე გვიან, 85-ე წუთზე შეცვალა. მწვრთნელები **გუგავას** თამაშითაც კმაყოფილები არიან. ეს ახალგაზრდა მოთამაშე პირველად გამოჩნდა უგრინის გუნდში.

მეორე ტაიმში "ტერეკმა" იძალა, მაგრამ მეკარე **გრიშიკაშვილმა** ორი რთული ბურთი აიღო. გოლის გატანა თბილისელებსაც შეეძლოთ, თუმცა **შოთა კაშიას** დარტყმული ძელს მოხვდა.

თბილისის "დინამო" მორიგ ამხანაგურ მატჩს 15 იანვარს, **დავით კვირკველიასა** და **ირაკლი მოდებაძის** ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" გამართავს.

**დავით ცაბაძე**

# ურეკში გადაინაცვლებენ

"ზესტაფონმა" ბაკურიანში მომზადების პირველი ეტაპი დაასრულა და მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** მოთამაშეები ორიოდე დღით დაასვენა.

როგორც შევიტყვეთ, იმერლები მეორე შეკრებას 15 იანვარს ზღვისპირა დაბა ურეკში დაიწყებენ და იქ ათი დღე გაჩერდებიან. "ზესტაფონი" ურეკში" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველის, **მირზა ბჟალავას** გარეშე ჩავა. კლუბი მას დაემშვიდობა. სამაგიეროდ გუნდშია ყველა ის მოთამაშე, რომელიც გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენს.

არადა, ბევრ მათგანს ხელშეკრულების ვადა ეწურებოდა, თუმცა გაგრძელებაზე უარი არავის უთქვამს. კლუბის წინადადებას უკვე დათანხმდნენ **ზურაბ იონანიძე, შალვა ლონლაძე, კახა ჩხეტიანი**. როგორც შევიტყვეთ, მათ რიცხვს მცველი **სევასტი თოდუაც** შეუერთდა, დღე-დღეზე ელიან გაბონის ნაკრების თავდამსხმელის **პაულ კესნის** გამოჩენას, რომელიც "105 ლიბერვილში" თამაშობს. შესაძლოა, ფორვარდი ბრაზილიიდანაც ჩამოვიდეს.

# გოლით წამოვიდა

კრივოი როგის "კრივბასი" უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას განაგრძობს. ამჟამად გუნდი საკუთარ ბაზაზე ემზადება, 13 იანვრიდან კი თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიაში გაემგზავრება.

"კრივბასში" საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და გოლი გაიტანა უკრაინაში გასინჯვაზე მყოფმა ქართველმა ნახევარმცველმა **გიორგი ფეიქრიშვილმა**. თუმცა მაინც დატოვა გუნდი. როგორც შევიტყვეთ, ორი დღის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა. გიორგი ისევ "ვიტ ჯორჯიაში" გააგრძელებს ვარჯიშს.

"კრივბასში" ვარჯიშს აგრძელებს თბილისის "დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი **მიხეილ ბობოხიძე**. მისი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. როგორც შევიტყვეთ, თავად "კრივბასში" გაურკვეველია ფინანსური ვითარება. ამიტომ არაა გარკვეული შეკრებამდე ორი დღით ადრე გასამგზავრებელ მოთამაშეთა სია.

**ვასილ გიგიაძემ** კი, როგორც მოსალოდნელი იყო, "კრივბასთან" ახალი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

# თბილისში ჩამოდიან

აზერბაიჯანის ჩემპიონი "ბაქი" საკონტროლო შეხვედრებს ატარებს თანამეგობრობის თასისთვის მოსამზადებლად. ორი დღის წინათ ქვეყნის ჩემპიონი მოულოდნელად 0:2 დამარცხდა მეათეადგილოსან ზაქათალას "სიმურგთან". გუშინ კი "ნეფთჩის" დაუზავდა - 1:1. "ბაქის" სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა მეკარე სისოკო და ბრაზილიელები, ლადაგა და გომეში. **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და კლუბის ახლანვეულმა ამირან მუჯირმა ნახევარდაცვაში ითამაშეს. სასტარტოში იყო "ნეფთჩის" ქართველი **გიორგი ადამიაც**.

სხვათა შორის, ზაქათალის „სიმურგი" 18 იანვრიდან თბილისში გეგმავს ათდღიანი მოსამზადებელი ეტაპის ჩატარებას. მეზობლები თბილისში ათი დღით გაჩერდებიან და ოთხ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ რუსთავის "ოლიმპთან" (26 იანვარს), "ნორჩ დინამოსთან", აგრეთვე თბილისის "ლოკომოტივთან" და ალბათ "გაგრასთანაც". "ოლიმპთან" თამაშის გარდა, სხვა მატჩების თარიღები დასაზუსტებელია.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბენაშვილი აუეს ინტერესშია

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, "ზესტაფონის" 18 წლის მარჯვენა მცველი **ალექსი ბენაშვილი** დიდ ფებურთში სულ რაღაც ერთი წლის წინ გამოჩნდა. ამის მიუხედავად, მან უკვე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. ჯერ მარტო იმით, რომ 17 წლის ბიჭი "თბილისიდან" "ზესტაფონში" მიიწვიეს და ამის გამო კლუბებს შორის ერთი ხანობა გაწევ-გამოწევაც იყო. ასეთი ფეხბურთელი უკვე საინტერესოა, უნიჭოს ერთმანეთს არავინ ეცილება.

ბენაშვილმა თავი საქართველოს 17-წლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაშითაც დაგვამახსოვრა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ახალგაზრდა თვალშისაცემია სწრაფი, შეუპოვარი და აქტიური მოთამაშეების დეფიციტის ფონზე.

როგორც შევიტყვეთ, ბენაშვილის მიმართ ინტერესი მეორე ბუნდესლიგის "აუემ" გამოავლინა. ეს ის გუნდია, **დათო სირაძე** რომ თამაშობს. ინფორმაცია მოგვაწოდა პიროვნებამ, რომელსაც "აუეს" ხელმძღვანელობამ ქართველ ახალგაზრდაზე აზრი ჰკითხა.

კლუბში გერმანელთა დაინტერესებაზე არაფერი იციან. თავად მოთამაშესთან დაკავშირებაც შეუძლებელია, ამდენად, ძნელი სათქმელია, "აუეს" ინტერესი მოლაპარაკებებში გადაიზარდა თუ ჯერ მოთამაშეზე დაკვირვება მიდის.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოგუამ ჰართსი დაადასტურა

**გოგიტა გოგუამ** თავად აღიარა, რომ შოტლანდიური "ჰართსი" იწვევს. "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტთან საუბრისას საქართველოს ნაკრების მცველმა დაადასტურა გუშინ "ლელოში" გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომ ზაფხულამდე შოტლანდიურ კლუბში დარჩენას აპირებს:

*"შაბათს შოტლანდიაში გავფრინდები, სადაც მოლაპარაკებები გაიმართება ედინბურგის გუნდში ჩემი გადასვლის თაობაზე. კონტრაქტი ოთხ თვეზე იქნება გათვლილი. მოკლედ, წლის ბოლომდე, ალბათ, შოტლანდიის პრემიერლიგაში ვითამაშებ."*

სამწუხაროდ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს სიტყვები მოთამაშისაგან არა ქართველმა, არამედ რუსმა ჟურნალისტმა შეიტყო. რას იზამ, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს.

ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. გოგიტასადმი სოლიდური კლუბების ინტერესი არახალია. დანამდვილებით ვიცით, რომ მას 2005 წლის დასაწყისშიც იწვევდა "ჰართსი", ისევე როგორც ამსტერდამის "აიაქსი" და გელზენკირხენის "შალკე". ახლა საქართველოს ნაკრების მოთამაშეს რეალური პერსპექტივა გაუჩნდა, ინგლისის პრემიერლიგას დაუახლოვდეს. მისი გულიანი და თავდადებული თამაში შოტლანდიაში უფრო დაფასდება.

ჩვენი ინფორმაციით, გოგიტა ბრიტანეთში შაბათს გაემგზავრება თბილისი-ლონდონის რეისით.

თუკი გერმანულ ვებგვერდ ტრანსფერმარკეტს ვენდობით, გოგიტა გოგუას სატრანსფერო ფასი 250 ათასი ევროა. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, ეს სიმართლეს შეესაბამებოდეს. ვფიქრობთ, ის გაცილებით ძვირი ღირს.

დღეისათვის "ჰართსი" ლიტვის ნაკრების საბაზო გუნდია. ედინბურგელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვალდას ივანაუსკასმა** ექვსი მოთამაშე სამშობლოდან აიყვანა. ახლა მათ კონკურენტი ნაკრების წევრი დაემატება.

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ მათე ღვინიანიძესთან

# ჩვენი დროც მოვა!

2006  წელი თუკი ვინმესთვის იყო წარმატებული, უპირველესად, მათე ღვინიანიძისთვის. ფეხბურთელმა წელი მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლებში თამაშით დაიწყო და "მიუნხენ1860-ში" გადასვლითა და გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულით დაასრულა. რაც მთავარია, კლაუს ტოპმიოლერი 20 წლის მცველს საქართველოს ეროვნული ნაკრებში სისტემატურად იძახებდა.

ღვინიანიძეს გერმანიამ უდიდესი პერსპექტივები გადაუშალა. ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ქვეყანაში, თანაც მიუნხენის ყველაზე პოპულარულ კლუბში თამაში თავისთავად წარმატების საწინდარია. ჩასვლის დღიდან მას ქება და მედიის ყურადღება არ მოკლებია. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ 20 წლის ქართველი მცველი კლუბის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**- მათე, ეტყობა, გარემოს შეცვლას იოლად ეგუები და ადაპტაცია გიადვილდება.**

- ასე იოლადაც არაა საქმე. მე ხელი შემიწყო ნაკრებში გამოძახებამ. ჩემით გერმანელები ამის შემდეგ დაინტერესდნენ. შესაძლებლობით ვისარგებლებ ნდობისთვის ტოპმიოლერსა და მინგეს საჯაროდ ვეტყვი მადლობას. ასეთი დონის სპეციალისტების უდიდესი ნდობას ვგრძნობდი და გერმანიაში იმედიანად გავემგზავრე. რა თქმა უნდა, ჩემზე ბევრი იყო დამოკიდებული. რალაცისთვის რომ მიმეღწია, მონდომება არასდროს მაკლდა. თუმცა, რაც არ უნდა მოინდომო, თუკი ყურადღება არავინ მოგაქცია, შრომა წყალში ჩაგეყრება.

გერმანიამდე, მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლებთან ერთად, სოჭში შეკრება გავიარე. ამ დროს დამიკავშირდნენ და "მიუნხენ 1860-ის" მიწვევა გადმომცეს. მაშინ გულგატეხილი ვიყავი. თავის გამოჩენის შანსს მხოლოდ ტოპმიოლერი მაძლევდა ეროვნულ ნაკრებში. კლუბში კი არ მათამაშებდნენ. დუბლები ბავშვისთვის კარგია, მაგრამ ნაკრებში გამოძახებული ამას ველარ დავჯერდებოდი და მდგომარეობას ვერ ვეგუებოდი. მინდოდა, რუსებისთვის დამემტკიცებინა, რომ ტოპმიოლერი ტყუილად არ მენდობოდა.

**- რუსულ და გერმანულ ფეხბურთს შორის რა განსხვავება დაინახე?**

- განსხვავება დიდია. ჯერ ერთი, მე რუსეთში შანსი არ მომცეს. სიომინის დროს იყო გამონათებები, მაგრამ წავიდა გუნდიდან და დუბლებში უიმედოდ დავრჩი. მაშინ გამიჩნდა სურვილი, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ჩამოსაწერი მოთამაშე არ ვიყავი. ბედნიერი ვარ, რომ გერმანიაში ეს მოვახერხე. "მიუნხენი 1860" მეორე ბუნდესლიგაშია, მაგრამ ის დიდი ტრადიციებით "ლოკომოტივს" არ ჩამოუვარდება.

პირველი თამაში"ალიანს არენაზე არასდროს დამავიწყდება. "ბაიერნს" ვხვდებოდით. ის შეხვედრა 3:0 მოვიგეთ. იმ დღეს მეორედ დავიბადე. ეს იყო ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი მატჩი, რომელმაც თავდაჯერება შემძინა. ახლა ყველაფერი ისეა, მეტი რომ არ შეიძლება - მაყურებლის, თანაგუნდელებისა და მწვრთნელის უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ. ჩემი მიზანიც ესაა, საქართველო რაც შეიძლება კარგად წარმოვაჩინო. მჯერა, რალაცას აუცილებლად მივაღწევ. 20 წლის ბიჭისთვის "მიუნხენ 1860-ის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა პატარა საქმე არაა.

განსხვავება ისიცაა, რომ რუსეთში ყველა სფეროში გადამწყვეტ როლს პოლიტიკა თამაშობს. ეს "ლოკომოტივიდან" ჩემი წამოსვლის შემდეგ უკეთ გამოჩნდა. მოსკოველთა დუბლების მოთამაშე მიუნხენური გუნდის ძირითადის ფეხბურთელი გავხდი. იქ მხოლოდ დამსახურებით გათამაშებენ. გასაქაჩი გერმანელებს თავისიანებიც ბევრი ჰყავთ და ჩემთვის თავს არავინ გამოიდებს, თუ არ დავიმსახურე.

**- შენი 19-ნომრიანი მაისურა საკლუბო მალაზიაში იყიდება?**

- იყიდება? თურმე, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩემი მაისურაა. ჩემს ჩარიცხვამდე, "მიუნხენში" 19-ნომრით გუნდის ლიდერები თამაშობდნენ. მაგალითად, კაპიტანი ნემანი. მე ეს არც ვიცოდი, არჩევანის საშუალება რომ მომეცა, მაშინ 19 წლის ვიყავი და მაისურის ნომერი ასაკს დავამთხვიე.

სხვათა შორის, მაშინვე მკითხეს, მაისურაზე გვარი დავაწეროთ თუ სახელიო. მესმოდა, რომ გვარის გამოთქმა უჭირდათ, მაგრამ მაინც ღვინიანიძის დაწერა ვთხოვე.

**- მათეს მართლა უფრო იოლად დაიმახსოვრებდნენ.**

- მე ქართველი ვარ და მინდა ჩემი ქვეყანა გაიცნონ. მათე ევროპაშიც გავრცელებული სახელია, შეიძლება, ეფიქრათ, იტალიელიაო. მე კი მსურს მიუნხენში ხალხს ჩემი წარმომავლობა გაეგო და ქართველები შეეყვარებინა. კარგიც ვქენი, გულშემატკივრებს ქართული გვარი შევასწავლე.

**- რა იმედებს უკავშირებ 2007 წელს?**

- ყოველთვის იმედით ვცხოვრობდი და წლევანდელ სეზონშიც წინსვლა მსურს. მჯერა, "მიუნხენი" ბუნდესლიგაში გადავა და თავის გამოჩენას იქაც შევძლებ. მართალია, ჯერ მხოლოდ მეექვსე ადგილზე ვართ, მაგრამ მესამეადგილოსან "დუისბურგს" სულ ოთხი ქულით ჩამოვრჩებით. წინ კი მთელი მეორე წრეა და დაწევა უნდა მოვახერხოთ.

ბუნდესლიგაში გამოსვლა ძალიან მინდა. ეროვნულში რაც შეიძლება მეტჯერ უნდა ვითამაშო. ნაკრებმა წარმატებით გულშემატკივარს სიხარული მივანიჭოთ. ჩვენ ეს შეგვიძლია, უნარი და პოტენციალი რომ არ გვქონდეს, არაფერს ვიტყოდი. ყველას უჩნდება კითხვა, მაშინ რატომ ვერაფერს ვაღწევთ, მაგრამ მოვა ჩვენი დროც.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# აშვეთია თურქეთში ილიჩევეცს შეუერთდება

## ნაკრების ფორვარდს ქეცბაიაც უხმობს



**მიხეილ აშვეთიას** მომავალი კლუბი ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია, მაგრამ აშვეთიას მოსალოდნელ ტრანსფერზე გარკვეული სიახლეების მოძიება უკვე შევძელით.

საქმე ის გახლავთ, რომ ყაზანის "რუბინი" აშვეთიასთან ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად აგრძელებდა მოლაპარაკებებს. თუმცა მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და ქართველი ფორვარდი გუშინ, გამთენიისას თბილისიდან თურქეთს გაემგზავრა. იქ აშვეთია ანთალიურ შეკრებაზე მყოფ მარიუპოლის "ილიჩევეცს" შეუერთდება. მარიოპოლელებსა და ეროვნული გუნდის თავდამსხმელს შორის, მომავალ თანამშრომლობაზე გარკვეული შეთანხმება უკვე არსებობს. "ილიჩევეცთან" მოლაპარაკებები საბოლოოდ თურქეთში უნდა დასრულდეს. თუკი ყველაფერი შედეგიანად დასრულდა, მაშინ, აშვეთია მიმდინარე სეზონს სწორედ უკრაინულ კლუბში ჩაამთავრებს. მერე კი თავადვე გადაწყვეტს თუ სად გააგრძელებს კარიერას. გაცნობებთ იმასაც, რომ სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ "ილიჩევეცი" 15 ქულით მე-13 ადგილზეა და მხოლოდ 3 ქულით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ "ზარიას". "ილიჩევეცს" გოლების გატანა უჭირს და მიხეილ აშვეთიას დახმარებით სურს ამ პრობლემის მოგვარება.

სანდო წყაროს ცნობით, "ილიჩევეცში" აშვეთიას ჩარიცხვა 80-90 პროცენტით გადაწყვეტილი ამბავია და, წესით, ამ საკითხს მოკლე ხანში წერტილი უნდა დაესვას. თუკი, მოვლენები ამ სცენარით არ განვითარდა, მაშინ მიხეილს კიდევ ორი ვარიანტი აქვს. მისი გადაბირება საბერძნეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ კლუბსა და **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისს" სურთ. ასე რომ, თუკი აშვეთიამ "ილიჩევეცთან" კონტრაქტი არ გააფორმა, მაშინ ამ ორიდან ერთ-ერთ გუნდზე შეაჩერებს არჩევანს.

**დავით ცაბაძე**




# მარცვალაძემ ვარჯიში დაიწყო



ოთარ მარცვალაძე

კიევის "დინამოს" არაბთა გაერთიანებულ საემიროებში შეკრებაზე მხოლოდ **დავით იმედაშვილი** ახლავს. **ოთარ მარცვალაძემ** კი ჯერაც ვერ მოიშუშა ტრავმა. თუმცა ქართველმა ფორვარდმა მსუბუქი ვარჯიში უკვე დაიწყო. იგი კიევშია და გუნდის ექიმის, **ვლადიმირ მალიუტას** ხელმძღვანელობით მცირედით იტვირთება. წესით იგი "დინამოს" მესამე შეკრებაზე შეუერთდება.

ასევე ვერ ახერხებს გუნდთან ვარჯიშს **დავით მუჯირი**. თუმცა "კრილია სოვეტოვის" ნახევარმცველს ტრავმა არ აბრკოლებს, რუსეთის ვიზას ელის.

როგორც შევიტყვეთ, მუჯირი ჯერჯერობით ვერაფრით ახერხებს პრობლემის დროულად მოგვარებას. ამის გამო, შესაძლოა, სამარელებს პირდაპირ თურქეთში ჩააკითხოს, სადაც "კრილია სოვეტოვს" ორიოდე დღეში ელიან. ამჟამად კი გუნდი მოსკოვშია.

**დათო მეფარიშვილი**

# იმედაშვილმა ფინალი წააგო

კიევის "დინამო" პირველ შეკრებას გადის არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. სხვებთან ერთად ქართველი მცველი **დავით იმედაშვილიც** ვარჯიშობს, რომელიც უკრაინული სუპერკლუბის ძირითადში დამკვიდრებას ცდილობს. ზამთრის მიუხედავად დუბაიში თბილა, წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია ცელსიუსით და რამდენიმე "დინამოელმა" გაცურა კიდეც. გუშინ დილის ვარჯიშს საღამოს მინი-ტურნირი მოჰყვა. 28 "დინამოელი" (მათ შორის მეკარეთა მწვრთნელი ჩანოვი) ოთხ გუნდად გაიყო, იმედაშვილი "წითლებში" მოხვდა, გუნდებმა ნახევარ მოედანზე ითამაშეს. "წითლებმა", რომლებსაც ბელკევიჩი კაპიტნობდა, პენალტების სერიაში (მატჩი 1:1 დამთავრდა) აჯობეს "ვერცხლისფერებს. ფინალიც, "ყვითლების" წინააღმდეგ, ფრედ დასრულდა (2:2), პენალტების სერიაში კი იმედაშვილის გუნდი ამჯერად დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მეტოქე. შოტლანდია

# ახალი კანდიდატურა მაკალისტერია



გარი მაკალისტერი

შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაცია **უოლტერ სმიტის** შემცვლელის ძებნას შეუდგა. ვაკანტურ პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. ჩვენ უკვე ვწერდით **ტომი ბერნსის, ალექს მაკლიშის, კენი დალგლიშის, დევიდ მოიესის, გრემ საუნესისა** და **ჯო ჯორდანის** ვარიანტებზე. მაგრამ მაკლიშს, რომელიც ფრიად მოხარულია სასურველ კანდიდატთა სიაში მოხვედრით, კარიერის გაგრძელება საკლუბო ფეხბურთში ურჩევნია. საუნესს საკუთარი კორპორაცია აქვს, "ვულვერჰემპტონის" შეძენას ცდილობს და ეტყობა, ნაკრებისთვის არ სცხელა. მიმომხილველთა აზრით, სმიტის ყველაზე რეალურ ალტერნატივად მოჩანს ბერნსი, რომელიც მისი ასისტენტიც იყო და **ბერტი ფოგთსთანაც** მუშაობდა. შესაბამისად, მან კარგად იცის, რა ხდება შოტლანდიის ნაკრებში და სმიტის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება, სხვებისგან განსხვავებით, არ უნდა გაუჭირდეს. სხვა საქმეა, მიიჩნია თუ არა შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის მისტერ ბერნსი იმ რანგის მწვრთნელად, რომ ქვეყნის სახელმწიფო, ეროვნული გუნდი ჩააბაროს. მოდით, ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის **დევიდ ტეილორის** კომენტარს გავეცნოთ:

*"ახალ მწვრთნელს მაქსიმუმ ერთ თვეში დავნიშნავთ, თუმცა საკითხზე ინტენსიურად ვმუშაობთ და ვეცდებით, პროცესი რაც შეიძლება მალე დავასრულოთ. ორშაბათს აღმასკომის საგანგებო სხდომა გვაქვს. ალბათ, ამ სხდომაზე ახალი მწვრთნელის დანიშვნის გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ, თუმცა გარკვეულ კრიტერიუმს შევიმუშავებთ და სავარაუდო კანდიდატთა სიასაც განვსაზღვრავთ. აჩქარება არ შეიძლება. 7 თებერვალს, შოტლანდიის მეორე ნაკრები ფინეთს ეთამაშება და ჩვენი სურვილია, უკვე ამ დღისთვის ახალი მწვრთნელი გვყავდეს. დიახ, ვადასტურებ, რომ ბერნსი ძლიერი კანდიდატურაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ვარიანტებს ნაკლები სერიოზულობით მივუდგებით".*

ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ ორშაბათის სხდომაზე საფეხბურთო ასოციაცია სიაში **გარი მაკალისტერის** გვარსაც ჩაწერს. 43 წლის მაკალისტერი შოტლანდიის ნაკრების ყოფილი კაპიტანია. ის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც საფეხბურთო ასოციაციის მაღალჩინოსნებს, ისე ფეხბურთელებს შორის. ამავე დროს, გახლავთ ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი (MBE). მაკალისტერი მცირე ხნით მუშაობდა "ქოვენთრის" მთავარ მწვრთნელად, თუმცა მეუღლის (გარდაიცვალა 2006 წლის მარტში) ავადმყოფობის გამო, იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა. ასე რომ, დამაფიქრებელია მისი გამოუცდელობა მწვრთნელის ამპლუაში. მაკალისტერის გარდა, დასახელდა "დანდი იუნაიტედის" მწვრთნელ **კრეიგ ლივაინისა** და "კილმარნოკის" დამრიგებელ **ჯიმ ჯეფერსის** კანდიდატურებიც.

*"ლოგიკურია, რომ სმიტის შემცვლელად, პირველ რიგში, შოტლანდიელს მოვიაზრებთ. ჩვენი მიზანია, დავნიშნოთ მწვრთნელი, რომელიც დიდხანს იმუშავებს ამ თანამდებობაზე. ამიტომ, სერიოზული დაფიქრება და მსჯელობა გვმართებს. გვესმის, რომ ძნელი იქნება ისეთი კაცის პოვნა, რომელიც სმიტის პოლიტიკას გააგრძელებს და მის მიერ დაწყებულ საქმეს, სრულყოფილად დაასრულებს, მაგრამ, სხორ არჩევანს გავაკეთებთ"* - ესეც მისტერ ტეილორის სიტყვებია.

ქართველები ევროპაში

# ვის თამაში უჯდება, ვის უთამაშებლობა

**პოსტსაბჭოეთისა და ევროპის ნაწილში მოთამაშე ქართველების გასული წლის თამაშები შევაფასეთ. დღეს დარჩენილი ნაწილის თამაშს შევაფასებთ. ამ ნაწილში არაერთი მოხვდა ისეთი, ვისაც უცხოეთში კარიერა ვერ აეწყო და ბევრისგან განსხვავებით იქ უქმად ჯდომას სახლში დაბრუნება და ქართულ კლუბში თამაში არჩია.**

### ლევან მაღრაძე
### ქსანთი

აგერ უკვე რახანია, მაღრაძე სისტემატურად თამაშობს "ქსანთის" ძირითად შემადგენლობაში და საკმაოდ კარგი პრესაც აქვს. სხვა საქმეა, რომ წარმატებული ბერძნული კარიერის პარალელურად, იგი ნაკრებსმიღმაა დარჩენილი, რაც უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. საბერძნეთის ჩემპიონატის პირველ წრეში მაღრაძემ სტაბილურად იასპარეზა და კვლავინდებურად, თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. არაა გამორიცხული, მომავალი სეზონი მან გაცილებით ძლიერ კლუბში დაიწყოს. ზოგადად კი, ლევანი ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული ქართველი ლეგიონერია.

### ლევან ცქიტიშვილი
### პანიონიოსი

სამწუხარო და გასაკვირია, რომ ბუნდესლიგამოვლილი ფეხბურთელი ვერაფრით დამკვიდრდა უსახელო ბერძნული გუნდის ძირითადში. არადა, "პანიონიოსს" გამოცდილი გერმანელი **ევალდ ლინენი** წვრთნის, რომელსაც წესითა და რიგით, ცქიტიშვილის საფეხბურთო შესაძლებლობები შესანიშნავად უნდა მოეხსენებოდეს. ფაქტი კი ფაქტად რჩება, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მხოლოდ შეცვლებზე თამაშობს და ამიტომაცაა, ნავთსაყუდელის შეცვლა რომ გადაუწყვეტია. თუ ზამთრის სატრანსფერო სეზონში ლევანმა შესაფერისი კლუბი ვერ იპოვა, "პანიონიოსში" ზაფხულამდე დარჩება, შემდეგ კი აუცილებლად სხვაგან წავა.

### გიორგი გახოკიძე
### ტვენტე

დასანანია, რომ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელმა კარიერა ასე ნაადრევად დაასრულა. გოგა გახოკიძის ბოლოდროინდელ ამბებზე ხშირად ვწერდით, ამიტომ აღარ განვმეორდებით და მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ იგი მიმდინარე სეზონში "ტვენტეს" რიგებში ერთადერთხელ გამოჩნდა .

### ლადო კაკაშვილი
### რილსკი

როგორც იცით, კაკაშვილი "ამერის" შემადგენლობაში გადის სინჯებს და დიდი შანსი აქვს, კარიერა იქვე გააგრძელოს. "რილსკიში" მისი ყოფნის პერიოდს კი წარმატებულს ნამდვილად ვერ დავარქმევთ. ლადო ბულგარული გუნდის ძირითად შემადგენლობაში არცთუ ხშირად ხვდებოდა. ვნახოთ, იქნებ სამშობლოში დაბრუნებულმა უკეთ შეძლოს თავისი პოტენციალის წარმოჩენა.



### თემურ ქეცბაია
### ანორთოსისი

უბერებელმა თემურმა საკუთარ თავს სათამაშო დრო შეუზღუდა, რაც ბუნებრივია, ასაკის მატებითაა გამოწვეული. ქეცბაია-ფეხბურთელზე ბევრს ველარაფერს ვიტყვით, ალბათ, იგი სეზონის დასრულებისთანავე ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს. სამაგიეროდ, სამწვრთნელო ასპარეზზე წარმატებულად მოღვაწეობს, ქართველი შეგირდების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდა სპეციალისტის უახლოესი მიზანი კვიპროსის ჩემპიონობის დაბრუნებაა.

### კლიმენტი წიტაიშვილი
### აელ

წიტაიშვილი ისეთივე ეფექტური ველარ არის, "ანორთოსისიდან" რომ გვახსოვს, მაგრამ აელ-ის რიგებშიც ჩაატარა რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრა.

### ლევან ქებაძე
### ეთნიკოსი

ლევანმა და მისმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშეს ევროთასებზე და კვიპროსის საფეხბურთო ისტორიაში შესვლა შეძლეს. კვიპროსში ნახევარდაცვაში მოთამაშე ქებაძე, გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა.

### კოტე დარსანია
### აიანაპა

კლუბი სუსტად ასპრეზობს, ქართველი კი იშვიათად ხვდება ძირითადში. ამდენად მასზე ბევრი თქმის საშუალება არ გვეძლევა.

### ვაჟა თარხნიშვილი
### შერიფი

უკვე 9 წელია, ვაჟა ტირასპოლური კლუბის სიმბოლოა. "შერიფის" კაპიტანი დნესტრისპირეთში უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს და რაც მთავარია, ჩვეული დამაჯერებლობით ასპარეზობს. მისი ხილვის შესაძლებლობა დსთ-ის თასზე მოგვეცემა, სადაც, წესით და რიგით, "შერიფი" ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი უნდა იყოს. უახლოეს მომავალში თარხნიშვილი აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულებას არ აპირებს. ისე კი, უკვე გადაწყვეტილია, რომ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ, იგი კლუბის მმართველ რგოლში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობას დაიკავებს.

### გივი კვარაცხელია
### ნუკრი მანჩხავა
### კაუნასი

თარხნიშვილის მსგავსად, თანამეგობრობაზე კვარაცხელია და მანჩხავაც იასპარეზებენ და პირველობის შანსი მათაც ექნებათ. ლიტვის ჩემპიონატს რაც შეეხება, იქ გივიმ და ნუკრიმ მაღალ დონეზე იასპარეზეს და ლიტვური პრესისგან შესაბამისი შეფასებებიც დაიმსახურეს. სავსებით შესაძლებელია, მათ უახლოეს მომავალში უფრო ძლიერი უცხოური კლუბებისგან მიიღონ შეთავაზება. კვარაცხელიას ტრავმის გამო სეზონის დიდი ნაწილის გამოტოვება მოუწია.

### დავით ჭიღლაძე
### ბესიკ ჭიღლაძე
### სუდოვა

ძმებმა ტიტულის მოპოვება შეძლეს, "სუდოვამ" ლიტვის თასი დაისაკუთრა. უფრო დავითი (უმცროსი) ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, რაც მას სეზონის ბოლოს დაუფასდა - დავითმა სამწლიანი კონტრაქტი ბრინჯაოს პრიზიორ "ვეტრასთან" გააფორმა.

### აკაკი ხუბუტია
### ვილნიუსი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველმა აკაკი ხუბუტიამ სტაბილურად ითამაშა "ვილნიუსის" შემადგენლობაში და ერთ-ერთი გამორჩეულიც იყო გუნდში. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ აკაკი უკვე ჩემპიონ "კაუნასს" შეუერთდა.

### მირზა მერლანი
### ვეტრა

მირზამ სულ ორჯერ დაიცვა "ვეტრას" კარი შარშანდელ სეზონში და იქ უთამაშებლად ყოფნას საქართველოში დაბრუნება არჩია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი ცვლილებების მოლოდინში

# ბოლო თვეები ჩელსის სკამზე

## მოურინიო ლონდონიდან მიდის და მილანში სახლს ეძებს

**ჟოზე მოურინიომ** "ჩელსიდან" წასვლა გადაწყვიტა. მან ერთ-ერთ მეგობარს გაუმხილა, რომ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს პოსტს, მაგრამ ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, სად გააგრძელებს კარიერას. მზრუნველი მეგობრის წყალობით, ეს განცხადება უმალ "სანის" ფურცლებზე მოხვდა და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. თვით **დევიდ ბექჰემის** საარაკო ამერიკულმა კონტრაქტმაც კი ვერ დაჩრდილა ცნობა "არისტოკრატებში" მოსალოდნელი სამწვრთნელო გადაადგილების შესახებ.

მოურინიო უკმაყოფილოა "ჩელსიში" ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით. ის საკუთარი უფლებამოსილებების შეკვეცას ვერ ეგუება. მწვრთნელის ფუნქციების გარკვეული ნაწილი სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** შეითავსა. ამ სეზონში ტრანსფერებს არა მოურინიო, არამედ, ფაქტობრივად, არნესენი განაგებს. ჟოზეს საქმეებში უხეშად ერევიან და მწვრთნელიც მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს. ეს გამოსავალი კონტრაქტის ნაადრევად განყვეტაა. "პორტუს" ყოფილმა ფეხბურთელმა **სეზარ პეიშოტომ**, რომელიც ამჟამად "ესპანიოლში" თამაშობს, ბარსელონელ მიმომხილველებს განუცხადა: *"დაზუსტებით ვიცი, რომ ჟოზე მილანში სახლს ეძებს."* ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ სად იქნება მოურინიოს შემდეგი გაჩერება.

"სანის" ცნობით, "ჩელსის" ხელმძღვანელობა მოურინიოს შემცვლელს ეძებს. ინტენსიურად განიხილება რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **გუუს ჰიდინკის** კანდიდატურა. ახალი წლის დღეებში 60 წლის ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ყველას გასაგონად თქვა, აბრამოვიჩმა დახმარება მთხოვაო. ჰიდინკი უალტერნატივო არ არის. "სანს" კანდიდატთა სიაში შეჰყავს **დიდიე დეშამი**, რომელიც "ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელია და "მონაკოში" წარმატებული კამპანიის შემდეგ ამჟამად "იუვენტუსში" მოღვაწეობს; აგრეთვე "სევილიის" თავკაცი **ხუანდე რამოსი**, რომელმაც შარშან ანდალუსიელებს უეფას თასი მოაგებინა, წელს კი მისი გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის.

მოურინიომ უკმაყოფილება "ვიკომბთან" ოთხშაბათის სათასო მატჩის შემდეგ გამოხატა. მან საჯაროდ განაცხადა, რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა ვითხოვე, მაგრამ უარი მივიღეო. "სანის" ცნობით, ჟოზემ ვალენსიელი თავდამსხმელის, **დავიდ ვილიას** საკითხი წამოწია. მწვრთნელს ამ ფეხბურთელით სურდა უსახური **ანდრეი შევჩენკოს** შეცვლა, მაგრამ ტრანსფერისთვის საჭირო თანხა არ მოიძებნა.

უფრო ადრე, ვიწრო წრეში, მოურინიომ ისიც კი თქვა, მე რომ მკითხოთ, "ნიუკასლის" მწვრთნელს ჩემზე მეტი არჩევანი აქვს, მაგალითად, სარეზერვო გუნდში ორი ისეთი ყმაწვილი ჰყავს, რომელსაც ნებისმიერ დროს დააყენებს ძირითად გუნდში, ჩვენს რეზერვში კი ასეთი კადრები არ მოიძევებიანო. მოურინიო 19 წლის ყმაწვილებს, **პოლ ჰანთინგტონსა** და **დევიდ ედგარს** გულისხმობდა, რომლებმაც "ჩელსისთან" სათასო და ჩემპიონატის მატჩებში გამოიჩინეს თავი. "არისტოკრატებში" კვალიფიციური კადრების სიმცირე იმ დროს იგრძნეს, როცა ძირითად შემადგენლობას ტრავმებმა შეუტია. მოურინიოს მარტო ერთი, **ჯონ ტერის** სრულფასოვანი შემცვლელიც კი არ აღმოაჩნდა. რატომ? იმიტომ, რომ აგვისტოს მიწურულს მის დაუკითხავად და არნესენის ინიციატივით ორი ცენტრალური მცველი - **ვილიამ გალასი** და **რობერტ ჰუთი** გაყიდეს.

მოურინიოს აზრით, არნესენი აბსოლუტური ძალაუფლებისთვის იბრძვის და ნელ-ნელა აღწევს კიდეც მიზანს. ის უფრო ახლოა **რომან აბრამოვიჩსა** და აღმასრულებელ დირექტორ **პიტერ კენიონთან**, ვიდრე მთავარი მწვრთნელი და საკუთარი წინადადებებიც უპრობლემოდ გააქვს. მაგალითად, იმ დროს, როცა მოურინიო "მანჩესტერ სიტის" მარჯვენა მცველ **მიკა რიჩარდსის** შეძენას ითხოვდა, არნესენი "ეინდჰოვენს" ბრაზილიელი **ალექსის** ტრანსფერზე მოურიგდა (ცნობისთვის, დანიელი ფუნქციონერი პსვ-ს ყოფილი მენეჯერია). გასულ ზაფხულს ზოგიერთი გარიგება მთლიანად მოურინიოს გვერდის ავლით განხორციელდა: გალასისა და ჰუთის შემთხვევაში, მწვრთნელი მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ ჩააყენეს საქმის კურსში. შევჩენკოს შეძენა კი აბრამოვიჩის ახირება იყო და "სანის" მიმომხილველს თუ დავუჯერებთ, ბოსსა და მწვრთნელს შორის პირველმა უთანხმოებამ მაშინ იჩინა თავი, როცა ჟოზემ ყველას გასაგონად თქვა, შევჩენკო ხელშეუხებელი არ არისო. აბრამოვიჩი მოურინიოს ყოველთვის დიდ მწვრთნელად მიიჩნევდა. ამიტომ ფიქრობდა, შეუძლებელია, ამ დონის სპეციალისტმა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს ადგილი ვერ მოუნახოსო. გუშინ შევას კომენტარიც გავრცელდა: *"არსად წასვლას არ ვაპირებ. "ჩელსის" ფეხბურთელი ვარ და მინდა, კარიერა ამ კლუბში დავასრულო. რობოტი არავარ, რომ ყველაფერი მექანიკურად ვაკეთო. ძალ-ღონეს არ ვიშურებ, რომ კარგად ვითამაშო. ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ძირითადში დავბრუნდე და ოპტიმალურ ფორმას უმოკლეს დროში მივაღწიო."*

რა თქმა უნდა, მოურინიოსაც ჰქონდა შეცდომები. ბოლო ორ წელიწადში "ჩელსიმ" ტრანსფერებში 200 მილიონი გირვანქა დახარჯა. ამ თანხით მარტო არნესენისა და აბრამოვიჩის სურვილები არ დაკმაყოფილებულა. შეგვიძლია, ჩამოვთვალოთ არა ერთი ფეხბურთელი, რომელიც "არისტოკრატებმა" მწვრთნელის ინიციატივით შეიძინეს და საბოლოოდ, ასტრონომიული თანხები ქარისთვის გატანებული აღმოჩნდა. აი, ისინიც:

**პაულუ ფერეირა** (13.2 მილიონი) - მოურინიოს პირველი შენაძენი "ჩელსიში" დანიშვნის შემდეგ. მან 2004 წელს მწვრთნელთან ერთად ჩემპიონთა თასი მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ "ჩელსიში" ერთადერთი ნომინალური მარჯვენა მცველია, ძირითადში ვერ ხვდება.

**მატეა კეჟმანი** (5 მილიონი) - "ეინდჰოვენში" უამრავი გოლი გაჰქონდა, მაგრამ "ჩელსიში" ერთი უსახური სეზონი გაატარა და უმალ "ატლეტიკოს" მიჰყიდეს.

**ტიაგო** (10 მილიონი) - მაღალი დონის ნახევარმცველი, რომელიც 2004 წელს "ბენფიკიდან" იყიდეს, მაგრამ მოურინიოს როტაციების გამო, ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდა და გასულ ზაფხულს "ლიონს" 3.5 მილიონად გადაულოცეს.

**ირჟი იაროშიკი** (5 მილიონი) - ის ცსკა-დან შეიძინეს. იაროშიკი "ჩელსის" საკუთრებაში 18 თვე იყო, მაგრამ აქედან 12 თვე იჯარით "ბირმინგემში" გაატარა. ბირმინგემელთა გავარდნის შემდეგ, 2 მილიონად "სელტიკში" გაუშვეს.

**ასიერ დელ ორნო** (8 მილიონი) - "ბილბაოდან" დიდი იმედით გადაიბირეს, მაგრამ ქრონიკული ტრავმების გამო ძირითადში ვერ დამკვიდრდა. გასულ ზაფხულს ნახევარ ფასად "ვალენსიაში" გაყიდეს.

**შონ რაიტ-ფილიპსი** (21 მილიონი) - ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედგაცრუება. იმთავითვე ნათელი იყო, რომ მასში მეტისმეტად გაბერილი თანხა გადაიხადეს. ინგლისის ნაკრების კანდიდატი "ჩელსის" სარეზერვო მოთამაშე გახდა, რამაც მისი რეპუტაცია გვარიანად შეარყია.

**მიხაელ ბალაკი** (უფასო) - ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია, მაგრამ ლონდონში საუკეთესო თვისებების წარმოჩენა უჭირს. ბალაკს დიდ ხელფასს უხდიან, მაგრამ განუწყვეტელი კრიტიკის ობიექტი იმიტომ არ არის, რომ ტრანსფერში ერთი ცენტიც კი არ დაუხარჯავთ.

**ჯონ ობი მიკელი** (12 მილიონი) - ის 19 წლისაა. ლონდონში ვუნდერკინდის რეპუტაციით ჩაიყვანეს. მის ხელში ჩასაგდებად გუნდმა "მანჩესტერთან" სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გადაიტანა, მაგრამ ჯერჯერობით, გაურკვეველია, თუ რისთვის იბრძოლეს.

**ხალიდ ბულარუზი** (8.5 მილიონი) - ჰოლანდიელ მცველს მეტსახელად "კანიბალს" უწოდებენ, მაგრამ უმეტეს მატჩებში დასაკლავ ცხვარს ჰგავს.

რა თქმა უნდა, იყო არანაკლებ ძვირფასი და წარმატებული ტრანსფერებიც - **დიდიე დროგბა** (24 მილიონი), **მიკაელ ესიენი** (24.4 მილიონი), **ეშლი კოული** (5 მილიონი), **რიკარდო კარვალიო** (19.8 მილიონი), **არიენ რობენი** (12 მილიონი), მაგრამ საერთო ჯამში, ბოლო ორ წელიწადში ამხელა სატრანსფერო ბიუჯეტი ევროპის არცერთ მწვრთნელს არ ჰქონია და რა გასაკვირია, რომ "არისტოკრატთა" ხელმძღვანელობა თვით უმნიშვნელო კრიზისის გამოც მწვრთნელისგან პასუხებს ელის. მოურინიოს, როგორც ჩანს, ერთი პასუხი აქვს. ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს დღეებში.

კომენტარი

### მორატი: მანჩინი? არ ვიცი, რჩება თუ არა...

**დიდი ხანია, მიმომხილველები "ინტერის" მომავალ მწვრთნელად ჟოზე მოურინიოს "ნიშნავენ". ამაზე იყო საუბარი ჯერ კიდევ მაშინ, როცა "ჩელსის" დღევანდელი დამრიგებლის პოზიციები მყარი იყო და მხოლოდ ღრმად პესიმისტი თუ იფიქრებდა, რომ ჟოზესა და "არისტოკრატთა" გზები ასე უცბად გაიყრებოდა. მაგრამ ფაქტია: მოურინიომ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს "ჩელსის" დატოვებს. ჰოდა, მეტი რა უნდოდათ "ინტერში" მისი დანიშვნის ინიციატორებს. გუშინ გავრცელებული ინფორმაცია, რომ პორტუგალიელი მილანში უკვე სახლს ეძებს, საკმარისი აღმოჩნდა, კომენტარი ეთხოვათ მასიმო მორატისთვის. როგორც ყოველთვის, "ინტერის" პატრონი ამჯერადაც თავშეკავებული იყო, თუმცა მის სიტყვაძუნწობაშიც იკითხება ქვეტექსტი: "მანჩინი? არ ვიცი, დარჩება თუ არა. ახალი კონტრაქტის გაფორმებისთვის, როგორც მინიმუმ, საჭიროა ორი ადამიანი დაჯდეს და ამაზე ისაუბროს. ჩვენი კი ასეთი საუბარი ჯერ არ გვქონია. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, რობერტოს კიდევ მრავალი წლით დავტოვებდი, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ეს მართლაც არ არის ჩემზე დამოკიდებული".**

**მაშ ვისზეა დამოკიდებული? მანჩინიზე? გამოდის, რომ ის მოიგებს სკუდეტოს და თავაწეული წავა? მაგრამ თუ ახლავე გააფორმა "ინტერთან" ახალი კონტრაქტი? თუ მორატი არ არის გულწრფელი და მოურინიო ურჩევნია, შეუძლია, გააჯანჯლოს ახალი ხელშეკრულების საქმე და მანჩინის აგრძნობინოს, რომ ჟოზე მოდის...**

**ჩახლართული საქმეა. რაც შეეხება ყბადაღებულ მილანურ სახლს. ცხადია, სპეკულაციები ამ ქალაქის მეორე გრანდსაც უკავშირდება. კარლო ანჩელოტის მომავალი ხომ გაცილებით მყიფეა. ამიტომ, მოურინიოზე პრეტენზია "როსონერისაც" შეიძლება ჰქონდეს. თუმცა ამ კლუბის მესვეურთ კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.**



ჟოზე მოურინიო



არიენ რობენი

მოსალოდნელი გარიგება

# ჰარგრივსი ჩელსიში, რობენი ბაიერნში?

## საიდუმლო მოლაპარაკებები მიუნხენურ და ლონდონურ კლუბებს შორის: არისტოკრატები 10 მილიონსაც ამატებენო...

რამდენიმე თვეა, **ოუენ ჰარგრივსი** „ბაიერნის" ხელმძღვანელებისა და გულშემატკივრების ნერვებზე თამაშობს. 25 წლის საყრდენ ნახვარმცველს მიუნხენური კლუბის დატოვება და სამშობლოში, ნისლიან ალბიონზე გადაბარგება უნდა. ინგლისელი შუამარბის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს" სურს და მანკუნიანელებმა რამდენჯერმე სცადეს ბავარიელ კოლეგებთან მოლაპარაკების წამოწყება. მაგრამ რეკორდმაისტერის მენეჯერი **ული ჰიონესი** და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** „მანჩესტერს" ყოველთვის უარს ეუბნებოდნენ. დეკემბერში ინგლისურმა გამოცემებმა ასეთი ინფორმაციაც კი გაავრცელეს: „მენიუ" გერმანულ კლუბს 30 მილიონ ევროს სთავაზობსო. მაგრამ „ბაიერნი" ჰარგრივსს მაინც აკავებდა. გუშინ „ბილდმა" ახალი და მეტად სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა.

„ბაიერნი" სერიოზულადაა დაინტერესებული „ჩელსის" ჰოლანდიელი გარემარბით, **არიენ რობენით!** რუმენიგე და ჰიონესი „არისტოკრატებს" 22 წლის რობენის სანაცვლოდ ჰარგრივსს სთავაზობენ. „ბილდი" იტყობინება, რომ რაკი ჰოლანდიელი „ჩელსის" შეუცვლელი ფიგურა არ არის, ლონდონელები მზად არიან, ამ გარიგებაზე წავიდნენ და „ბაიერნს" 10 მილიონი ევროც დაუმატონ. შეგახსენებთ, რომ რობენმა მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის 15 თამაშში მიიღო მონაწილეობა – 8-ჯერ შეცვალეს, 4-ჯერ კი შეცვლაზე შევიდა. ამრიგად, რობენმა 90 წუთი მხოლოდ 3 მატჩში ითამაშა. გატანილი აქვს მხოლოდ ერთი გოლი.

*„რობენი შესანიშნავი ფეხბურთელია, არაჩვეულებრივი დრიბლიორი, ძალიან სწრაფი და თანაც, ორივე ფეხით თანაბრად შეუძლია თამაში,"* – აცხადებს ბავარიელთა მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** და იქვე ამატებს, - *„ასეთ ფეხბურთელს, რა თქმა უნდა, ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა."* 2005 წელს, ჰოლანდიისა და გერმანიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში რობენმა ბუნდესგუნდს 2 გოლი გაუტანა (2:2). *„კარგად მახსოვს, თუ როგორ აცეკვა, უფრო სწორად, როგორ აიგდო მასხრად ჩვენი მცველები,"* – ამბობს მაგათი.

*„რობენი ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა. დიახ, ჩვენ ის გვაინტერესებს,"* – ეს უკვე რუმენიგეს სიტყვებია. ჰოლანდიელს „ჩელსისთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს. თუკი ის ზაფხულში მიუნხენურ გიგანტში გადავა, მაშინვე ულაპარაკოდ მოხვდება სასტარტო შემადგენლობაში და წესით, არც ადაპტაცია უნდა გაუჭირდეს. „ბაიერნში" ხომ მისი თანამემამულეები – **როი მაკაი** და **მარკ ვან ბომელი** თამაშობენ.

მაგრამ აქ მეორე საკითხიცაა: გაუშვებს კი „ჩელსი" თავის ფეხბურთელს „ბაიერნში"? არაა გამორიცხული, რომ **რომან აბრამოვიჩმა** ეს არ დაუშვას, რადგან ჰიონესსა და რუმენიგეს არაერთგზის გაუკრიტიკებიათ ლონდონური კლუბი, მისი ხელმძღვანელობა და მისი სატრანსფერო პოლიტიკა. გეხსომებათ, ენაჭარტალა ული ამბობდა, ისეთები, როგორიც აბრამოვიჩია, ფეხბურთს მხოლოდ ვნებენო. ჰოდა, ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, გარიგება მხოლოდ ამის გამო რომ არ შედგეს. თუმცა გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რამ: ოუენ ჰარგრივსი „მანჩესტერსაც" სურს! უნდა ვივარაუდოთ, რომ ლონდონელები ყველაფერზე წავლენ, რათა მოსისხლე მტერი გააბრაზონ.

გარდა ამისა, „ბაიერნის" შეფებიც ბედნიერები იქნებიან, თუკი „მანჩესტერს" გააცურებენ და ისედაც დასათმობ ფეხბურთელს, მის მტერ „ჩელსის" დაუთმობენ - რაკი ჰარგრივსს წასვლა უნდა, მის დაკავებას ხომ აზრი არა აქვს. "ბაიერნს" კი, „მანჩესტერის" გაცურება იმიტომ გაუხარდება, რომ თუ გახსოვთ, ზაფხულში „მენიუმ" სწორედ რეკორდმაისტერი გააბითურა, როცა ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, **რუუდ ვან ნისტელროი** არა „ბაიერნს", არამედ „რეალს" მიჰყიდა. არადა, ტრანსფერი თითქმის გაჩარხული იყო და ისე გამოვიდა, რომ ვან ნისტელროიმ და „მანჩესტერმა" გერმანული გრანდი კარგად გამოიყენეს, რათა „რეალს" უფრო მეტი გადაეხადა.

რობენი და 10 მილიონი ჰარგრივსის სანაცვლოდ – თუ ეს გამოვა, მაშინ ბავარიელებს ნაღდად მისალოცად ექნებათ საქმე...

**გოტფრიდ ლენცი**

ახდენილი ამერიკული ოცნება

# ბექჰემი: კვირაში 500 ათასი გირვანქა

## ლოს ანჯელესში ხელები დაიკაპიწეს, მალე გალაქტიკოები გალაქსიკოები გახდებიან...

გადაწყდა! **დევიდ ბექჰემი** ამერიკაში მიემგზავრება. ინგლისელმა გალაქტიკომ "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" ხუთწლიანი კონტრაქტის პირობები შეათანხმა. მისი ანაზღაურება უპრეცედენტო და ასტრონომიული იქნება - კვირაში 500 ათასი გირვანქა! ხუთი წლის განმავლობაში მარტო ხელფასის სახით ბექჰემი საბანკო ანგარიშს 128 მილიონ გირვანქას (194 მილიონი ევრო) შემატებს. ბექზი არ იქნება მარტო ლოსანჯელესური კლუბის სახე. ის მთელი ამერიკული ლიგის მარგალიტი იქნება და MLS-ის პოპულარიზაციისათვის იზრუნებს. ლიგის ხელმძღვანელები სხვა ევროპელი გალაქტიკოების გადაბირებაზეც იზრუნებენ. თითო გალაქტიკო MLS-ის თითო კლუბში - ასეთია მასშტაბური პროექტის ავტორთა ჩანაფიქრი. ამ წესს პირობითად უკვე უწოდებენ "ბექჰემის წესს". "ბექჰემის წესი" ითვალისწინებს სახელფასო ლიმიტების დარღვევას განსაკუთრებული ტრანსფერებისათვის. სადღეისოდ, MLS-ის კლუბებში მაქსიმალური წლიური ხელფასი 1 მილიონი დოლარია. ახალი წესის ამოქმედების შემთხვევაში, **ზინედინ ზიდანის, რონალდოს, ლუიშ ფიგუსა** და სხვათა ამერიკაში ტრანსფერები დროის საქმე იქნებაო, მიაჩნიათ მიმომხილველებს.

ბექჰემი უკვე დათანხმდა MLS-ის სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობას. კამპანიის მიზანი იქნება, მოუწოდოს ამერიკელ მოზარდებს, სოკერი უფრო ტრადიციულ კალათბურთსა და ბეისბოლზე წინ დააყენონ. ბოლო ცნობებით, ბექზი შეიძლება არ დაელოდოს ევროპული სეზონის დასრულებას და ამერიკას აპრილში მიაშუროს. ამ საკითხს "რეალის" თავკაცი **ფაბიო კაპელო** გადაწყვეტს. თუ მწვრთნელი იტყვის, რომ ფეხბურთელი არ სჭირდება, სამეფო კლუბი დევიდს დარჩენილ ხელფასს გაუსტუმრებს და დაემშვიდობება. გუშინ "რეალის" ერთ-ერთმა მალალჩინოსანმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ბექჰემის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ფეხბურთელს სეზონის ბოლომდე მადრიდში დარჩენა სურს, მაგრამ ეს შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ რას იტყვის მწვრთნელი."*

ხუთშაბათს ესპანეთის თასის პირველი მერვედფინალური მატჩი გაიმართა. "რეალი" "ბეტისს" ესტუმრა და უგოლო ფრეს დასჯერდა (განმეორებითი შეხვედრა ერთ კვირაში ჩატარდება). კაპელომ დევიდი განაცხადშიც კი არ შეიყვანა - ოფიციალური ვერსიით, ტრავმის გამო. მწვრთნელს არასოდეს დაუმალავს, რომ სამომავლოდ "რეალში" ბექჰემის ადგილს ვერ ხედავდა. ეს დევიდმაც იცოდა. ამის დასტური იყო მისი კომენტარი, რომელიც ორიოდე დღის წინ ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა: *"ესპანეთში საუცხოო პერიოდი გავატარე. მადლობა "რეალის" ხელმძღვანელობას, რომელმაც დიდ კლუბში და შესანიშნავი გულშემატკივრის წინაშე თამაშის საშუალება მომცა. ვამაყობ, რომ მსოფლიოს ორი საუკეთესო კლუბის მაისურა მეცვა. სეზონის ბოლომდე "რეალის", მისი მწვრთნელის, თანაგუნდელებისა და ფანებისათვის კვლავაც 100 პროცენტით დავიხარჯები, შემდეგ კი ახალი გამოწვევა მელოდება: ფეხბურთის პოპულარიზაცია იმ ქვეყანაში, სადაც სპორტის ტრადიციული სახეობების გარდა, ჩემს სახეობასაც უდიდესი სიყვარულით თამაშობენ."*

ზემოთ სხვა გალაქტიკოების ტრანსფერები ვახსენეთ. ნათელია, რომ ბექჰემის გარიგება კატალიზატორის როლს შეასრულებს. ზიდანი, შეიძლება, პენსიიდან დაბრუნდეს, ფიგუმ არაბებთან უკვე ხელმოწერილ შეთანხმებაზე თქვას უარი, ხოლო რონალდომ "რეალს" აქციოს ზურგი. უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა, რომ სამეფო კლუბმა "ფენომენს" თვითონ შეაქცია ზურგი და მართალია, ოფიციალურად ჯერ არა, მაგრამ ფაქტობრივად, უკვე ტრანსფერზე ჰყავს დაყენებული. ამგვარად, ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ გალაქტიკოები გალაქსიკოებად იქცნენ. გალაქსიკოდ გახდომის შანსი მარტო ბექჰემის მეგობრებს როდი აქვთ. რას იტყვით "მილანის" ცოცხალი ლეგენდის, **პაოლო მალდინის** ამერიკაში გამგზავრებაზე? ან **მიხაელ ბალაკის** ტრანსფერზე, რომელიც "ჩელსიში" უკვე პენსიონერივით გამოიყურება?

MLS-ის პარტნიორია "ადიდასი". მოგეხსენებათ, "ადიდასი" ბექჰემთანაც თანამშრომლობს. გერმანული გიგანტი ამერიკაში 1970-იანი წლების დაბრუნებაზე ოცნებობს. ის ჩრდილოამერიკის საფეხბურთო ლიგის წლები იყო. მთელი ნიუ იორკი "კოსმოსის" მატჩებზე დაიარებოდა, კოსმოსელთა შემადგენლობაში კი **პელე** და **ფრანც ბეკენბაუერი** თამაშობდნენ. მაგრამ რთულია არა ერთჯერადი აჟიოტაჟის ატეხვა, არამედ ენთუზიაზმის შენარჩუნება. გასული საუკუნის 70-იანი წლებში ამერიკელებს მალე მობეზრდათ სოკერი და კვლავ თავიანთ ფეხბურთს, ბეისბოლსა და კალათბურთს დაუბრუნდნენ.

სოკერმა მორიგი აჟიოტაჟი 1994 წელს გამოიწვია. ამერიკამ პირველად უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს. იქაურმა მაყურებელმა დასწრების ყველა რეკორდი მოხსნა. მეორეხარისხოვან მატჩებზეც კი ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვერ ნახავდით. 1999 წელს ამერიკაში ქალთა მუნდიალი გაიმართა. ფინალურ მატჩს ლოს ანჯელესის "როუზ ბოულზე" 90 ათასი მაყურებელი დაესწრო. სტადიონზე მივიდა პრეზიდენტი **ბილ კლინტონიც**. აშშ-ის ნაკრებმა პენალტების სერიაში გაიმარჯვა. ნამდვილი ფურორი მოახდინა ეპიზოდმა, როცა გადამწყვეტი გოლის ავტორმა **ბრენდი ჩესტინმა** მაისურა გაიძრო და მთელი მინდორი გაირბინა. მისმა სურათებმა ამერიკული გაზეთების პირველი გვერდები დაიპყრო. მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში "ნაიკის" აზღუდი მთელ ქვეყანაში ყველაზე ცნობადი სპორტული სამოსი გახდა.

და აი, ამერიკაში ფეხბურთის პოპულარიზაციის მესამე და გადამწყვეტი ეტაპი იწყება. ლიდერობა დევიდ ბექჰემმა უნდა იკისროს. თუ პროექტი იმუშავებს, MLS საკუთარ თავს ამერიკის საზღვრებს გარეთაც გაყიდის. მატჩები ევროპისთვის ხელსაყრელ დროსაც სიამოვნებით დაინიშნება, თუ ევროპელები ამერიკული სოკერის ხილვას ისურვებენ. ბექჰემის ჩასვლა ერთგვარი ტესტია იმის სანახავად, თუ სად გადის ამერიკაში ფეხბურთის შესაძლებლობების ზღვარი.

"სანტიაგო ბერნაბეუზე", სადაც ბექჰემი ჯერჯერობით ისევ აგორებს ბურთს, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და 84 ათას მაყურებელს იტევს. შედარებისათვის, "ჰოუმ დეპო სენტერი", სადაც "გალაქსი" საშინაო მატჩებს ატარებს, მხოლოდ 27 ათას ფანზეა გათვლილი და ლოს ანჯელესიდან დაახლოებით 30 მილის მოშორებით, პატარა ქალაქ კარსონში მდებარეობს. ერთი შეხედვით, ეს არ არის სახელოვანი კარიერის დასრულების იდეალური ვარიანტი, მაგრამ როცა კვირაში თითქმის ერთ მილიონ დოლარს გიხდიან?

მოკლედ, დევიდი ახალ ცხოვრებას იწყებს. ის ყველაზე დიდი ვარსკვლავია, რომელსაც ამერიკულ ლიგაში ბოლო დროს უთამაშია, მაგრამ სულაც არ არის უდიდესი მათ შორის, ვისაც ოკეანის გაღმა გაუგორებია ბურთი. გუშინდელმა "სანმა" ის ექვსი მეგავარსკვლავი გაგვახსენა, რომლებმაც ბექჰემამდე დიდი ხნით ადრე მიაშურეს ახალ კონტინენტს.

**პელე** - ფეხბურთის მეფემ ფანები შოკში ჩააგდო, როცა 1975 წელს მოულოდნელად თამაში განაახლა და ნიუ იორკის "კოსმოსთან" გააფორმა კონტრაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმული ასაკისა იყო, ბრაზილიელმა 79 მატჩში 57 გოლი შეაგდო. მისი მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. მალე პელეს სხვა ვარსკვლავებმაც მიბაძეს.

**ფრანც ბეკენბაუერი** - კაიზერი პელეს "კოსმოსს" 1977 წელს შეუერთდა. მან ამერიკაში ოთხი სეზონი გაატარა და სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ბეკენბაუერმა "კოსმოსის" შემადგენლობაში 105 მატჩში 19 გოლი გაიტანა.

**იოჰან კრუიფი** - მფრინავმა ჰოლანდიელმა ჩრდიოამერიკულ ლიგაში ორი სეზონი გაატარა. კრუიფი 32 წლისა იყო, როცა 1979 წელს "ბარსელონიდან" "ლოს ანჯელეს აცტეკს" მიაშურა და სადებიუტო მატჩშივე ორი გოლი შეაგდო. ის სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ აღიარეს. მომდევნო წელს იოჰანმა "ვაშინგტონ დიპლომატს" მიაშურა, 1981 წლის სეზონის დასაწყისში კი ევროპისკენ აიღო გეზი. საერთო ჯამში, 53 ამერიკულ მატჩში მან 25 გოლი დააგროვა.

**ბობი მური** - ინგლისელთა ლეგენდარულმა კაპიტანმა ამერიკას 1977 წელს მიაშურა. ის "სან ანტონიო სანდერში" ჩაირიცხა და მის შემადგენლობაში 24 მატჩი გამართა. მურმა სან ანტონიოში ერთადერთი გოლი გაიტანა და ისიც საკუთარი საჯარიმოდან. შემდეგ ის "სიეტლ საუნდერსში" გადავიდა და შვიდი მატჩის შემდეგ, 1978 წელს საერთოდ შეეშვა ფეხბურთს.

**ხრისტო სტოიჩკოვი** - ბულგარელმა ვარსკვლავმა სახელოვანი კარიერა ამერიკაში დაასრულა. 1994 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი 34 წლისა იყო, როცა "ჩიკაგო ფაიერში" ჩაირიცხა და ორი სეზონის განმავლობაში 51 მატჩში 17 გოლი შეაგდო. მერე იყო "ვაშინგტონ იუნაიტედი" და 21 მატჩში გატანილი 5 გოლი, რის შემდეგაც ხრისტო პენსიაში გავიდა.

**ლოთარ მათეუსი** - ის "ნიუ იორკ მეტროსტარზში" 2000 წლის მარტში გადავიდა, მიატოვა რა შუა სეზონში "ბაიერნი". გერმანელ ლეგენდას თავი არაფრით გამოუჩენია. მან 16 თამაშში ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა.




სარეკლამო კამპანია დაიწყო: ნიუ იორკ ტაიმსი მკითხველს აუწყებს, რომ ზაფხულში ბექჰემი ამერიკაში ჩავა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტურის წინ

# ტერი არ არის, დაცვა არ არის

**დღეს**

უოტფორდი-ლივერპული
ბოლტონი-მანჩესტერ სიტი
ჩარლტონი-მიდლსბრო
ჩელსი-ვიგანი
მანჩესტერ იუნ.-ასტონ ვილა
შეფილდ იუნ.-პორტსმუთი
ვესტ ჰემი-ფულჰემი
ბლეკბერნი-არსენალი

**ხვალ**

ევერტონი-რედინგი
ტოტენჰემი-ნიუკასლი

"მანჩესტერ იუნაიტედი" ტიტულისათვის ბრძოლას "ასტონ ვილასთან" მატჩით გააგრძელებს, ჩემპიონი "ჩელსი" კი "ვიგანის" დამარცხებას შეეცდება.

ზედიზედ სამმა ფრემ "არისტოკრატებს" საქმე გვარიანად გაურთულა. დღეს ლონდონელებს კაპიტანი **ჯონ ტერი** უნდა დაბრუნებოდათ, მაგრამ მას ზურგი ისევ აწუხებს. "მირორმა" დაწერა, სამი კვირის წინ გაკეთებული ოპერაცია, შეიძლება, საკმარისი არ აღმოჩნდეს და ფეხბურთელმა ამ სეზონში ველარ ითამაშოსო. "ჩელსის" კი ყველაზე სერიოზული პრობლემები დაცვის ცენტრში აქვს. მისი უკანასკნელი გამარჯვება 23 დეკემბრით თარიღდება. "არისტოკრატთა" მეტოქე იმ დღესაც "ვიგანი" იყო. ლონდონელებმა ბოლო წამებზე **არიენ რობენის** გოლით გაიმარჯვეს, 3:2. სტუმრებს ზედიზედ ხუთი მატჩი აქვთ წაგებული და გასავარდნი ზონის სიახლოვეს იმყოფებიან.

"ჩელსის" სასჯელმოხდილი **დიდიე დროგბა** და **რიკარდო კარვალიო** უბრუნდებიან. რობენსა და **კარლო კუდიჩინის** მცირე ტრავმები აწუხებთ. **ეშლი კოული** დისკვალიფიცირებულია. ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ **ხალიდ ბულარუზი** და **პეტრ ჩეხი**.

"ვიგანს" ერთწლიანი პაუზის შემდეგ **რაიან ტეილორი** უბრუნდება. მან ფეხის უმძიმესი ტრავმა მოიშუშა. ამის მიუხედავად, **პოლ ჯუელის** გუნდის დანაკლისი მაინც სერიოზულია. არ იქნებიან კაპიტანი და წამყვანი მცველი **არიან დე ზეეუვი** და საუკეთესო თავდამსხმელი **ანრი კამარა**...

"იუნაიტედი" "ასტონ ვილას" ბოლო ერთ თვეში მესამედ შეხვდება. ამ გუნდების გზები ლიგის თასსა და ასოციაციის თასზეც გადაიკვეთა. "მენიუმ" ორჯერვე გაიმარჯვა - 3:0 და 2:1, რამაც ბირმინგემულ კლუბთან "ეშმაკების" გამარჯვებათა სერია 10-მდე დაამრგვალა.

"მანჩესტერს" ცენტრალური მცველი **ვესლი ბრაუნი** ვერ დაეხმარება (გაციებულია). მას **ნემანია ვიდიჩი** შეცვლის. **ლუის საამ** საზარდულის ტრავმა მოიშუშა და განაცხადში იქნება. ძირითადში დაბრუნდებიან **ედვინ ვან დერ სარი** და **პოლ სქოულზი**.

ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ "ვილის" სასტარტოში ვიხილავთ მცველ **ოლოფ მელბერგს**. ნახევარმცველ **სტილიან პეტროვს** მუხლის ტრავმა აქვს. დაშავებულები არიან თავდამსხმელი **კრის სატონი** და კიდევ ერთი ნახევარმცველი **კრეიგ გარდნერი**...

"ლივერპული" შეეცდება, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე შავი კვირა დავიწყებას მისცეს. მისი მეტოქე აუტსაიდერი "უოტფორდია". ორივე სათასო ტურნირიდან გამოვარდნის შემდეგ მერსისაიდელები, ფაქტობრივად, უტიტულოდ დარჩნენ. "მანჩესტერ იუნაიტედთან" მათი ჩამორჩენა 14 ქულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდს ჩემპიონობის შანსი აღარ აქვს. ჩემპიონთა ლიგაში კი მისი მეტოქე მრისხანე "ბარსელონაა".

"არსენალთან" 3:6 განადგურებისას "ლივერპულს" **ლუის გარსია** და **მარკ გონსალესი** დაუშავდა. გარსია სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს, ხოლო გონსალესს სამი კვირა გაუცდება. დაშავდა **სტივ უორნოკიც**. შევებულებაში იმყოფებიან **მომო სისოკო, ბოლო ზენდენი** და **ჰარი კიუელი**...

"არსენალი" "ბლექბერნს" ესტუმრება. ერთი თვის წინ "ემირიტსზე" ამ გუნდების პირველი წრის მატჩი "მეთოფეებმა" 6:2 მოიგეს. მას მერე "ვარდებმა" ზედიზედ ოთხჯერ გაიმარჯვეს და უეფას თასის საგზურისთვის განაახლეს ბრძოლა.

**მარკ ჰიუზი** ძირითადში დააბრუნებს საუკეთესო ბომბარდირ **ბენი მაკარტის**, ასევე **რობი სევიჯსა** და **ბრეტ ემერტონს**. სასჯელი მოიხადა ცენტრალურმა მცველმა **ლუკას ნილმა**, რომლის შეძენა "ლივერპულს" სურს.

"არსენალს" **ემანუელ ადებაიორი** გამოუჯანმრთელდა. მწყობრშია ნახევარმცველი **აბუ დიაბიც**. ვერ ითამაშებენ **ლორენი** და **ემანუელ ებუე**.

"ვესტ ჰემმა" პორტუგალიელი თავდამსხმელი **ლუიშ ბოა მორტე** შეიძინა და პირველსავე მატჩში, მისი ყოფილი კლუბის, "ფულჰემის" წინააღმდეგ გამოიყენებს. ევროპული ზონის კიდევ ორი კლუბი - "ბოლტონი" და "პორტსმუთი" - "მანჩესტერ სიტისა" (შინ) და "შეფილდ იუნაიტედს" (სტუმრად) შეხვდება. ერთი საინტერესო მატჩი კვირასაც გაიმართება - "ტოტენჰემი" "ნიუკასლს" უმასპინძლებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 22 | 17 | 3 | 2 | 49-15 | 54 |
| 2. ჩელსი | 22 | 14 | 6 | 2 | 37-17 | 48 |
| 3. ლივერპული | 22 | 12 | 4 | 6 | 32-16 | 40 |
| 4. არსენალი | 22 | 11 | 6 | 5 | 41-19 | 39 |
| 5. ბოლტონი | 22 | 12 | 3 | 7 | 27-21 | 39 |
| 6. პორტსმუტი | 22 | 10 | 6 | 6 | 33-22 | 36 |
| 7. ტოტენჰემი | 22 | 9 | 5 | 8 | 26-28 | 32 |
| 8. ევერტონი | 22 | 8 | 7 | 7 | 28-22 | 31 |
| 9. რიდინგი | 22 | 9 | 3 | 10 | 30-30 | 30 |
| 10. მანჩესტერ ს | 22 | 8 | 5 | 9 | 19-25 | 29 |
| 11. ბლექბერნი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-29 | 28 |
| 12. ფულჰემი | 22 | 6 | 9 | 7 | 22-32 | 27 |
| 13. ასტონ ვილა | 22 | 5 | 11 | 6 | 23-25 | 26 |
| 14. ნიუკასლი | 22 | 7 | 5 | 10 | 23-28 | 26 |
| 15. მიდლსბრო | 22 | 6 | 6 | 10 | 21-27 | 24 |
| 16. შეფილდი | 22 | 6 | 5 | 11 | 17-29 | 23 |
| 17. ვიგანი | 21 | 6 | 4 | 11 | 23-32 | 22 |
| 18. ვესტ ჰემი | 22 | 5 | 3 | 14 | 12-33 | 18 |
| 19. ჩარლტონი | 22 | 4 | 4 | 14 | 17-40 | 16 |
| 20. უოტფორდი | 20 | 1 | 9 | 10 | 12-26 | 12 |

## ნოვოტნი ზაგრებიდან წავიდა

**იენს ნოვოტნისა** და ზაგრების „დინამოს" გზები გაიყარა. ვეტერანი გერმანელი მცველი ტრავმის გამო იძულებულია, კლუბი დატოვოს. "დინამოს" ხელმძღვანელებმა მას კონტრაქტი უკვე გაუწყვიტეს. 33 წლის ნოვოტნი გერმანიაში ბრუნდება, სადაც ოპერაციას გაიკეთებს. იენსს სავარაუდოდ 4 თვიანი პაუზის გაკეთება მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სეზონი მისთვის, ფაქტობრივად, დასრულებულია. თუ ზაფხულში რომელიმე კლუბს მისი გადაბირების სურვილი ექნება ხომ კარგი, თუ არა და ფეხბურთელი, რომელსაც ბუნდესლიგაში 334 თამაში აქვს ჩატარებული, კარიერას დაასრულებს. ზაგრების „დინამოში" ნოვოტნიმ მხოლოდ 12 თამაში ჩაატარა.

## სმერტინი: ვესტ ჰემი თუ ფულჰემი?

**ალექსეი სმერტინი,** შეიძლება, "ფულჰემში" აღმოჩნდეს. მოსკოვის "დინამო" მას 1 მილიონ გირვანქად ყიდის. რუსეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა "ვესტ ჰემში" სამედიცინო შემოწმებაც კი გაიარა, მაგრამ იმის გამო, რომ "ჩაქუჩები" სხვა ვარიანტებსაც განიხილავენ, სმეტინთან კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობენ. "ფულჰემმა" გადაწყვიტა, ამ მდგომარეობით ისარგებლოს. ის ფეხბურთელს უკვე შეეხმიანა და სარფიანი პირობები შესთავაზა.

## კარვალიო ატლეტიკოში?

"ატლეტიკო" მორიგ ტრანსფერს ამზადებს. მადრიდელები მოსკოვის ცსკასთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **დანიელ კარვალიო** სწორედ "ვისენტე კალდერონზე" გააგრძელებს კარიერას. ბრაზილიელ ნახევარმცველს "ვალენსია" და "ბარსელონაც" ეკონტაქტებიან, თუმცა ყველაზე რეალური წინადადება "როხიბლანკოს" აღმოაჩნდა. მოსკოველები თანახმანი არიან სამხრეთამერიკელი დათმონ. ახლა ყველაფერი კარვალიოსა და **ენრიკე სერესოს** შეთანხმებაზეა დამოკიდებული. მხარეები ფინანსურ საკითხებზე უნდა მორიგდნენ. ესპანელებს იმედი აქვთ, რომ კარვალიო მეტისმეტად დიდ ხელფასს არ მოითხოვს.

## ბოკადან პრიმერა დივიზიონში

"ხიმნასტიკამ" სრულიად მოულოდნელი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. ტარაგონელებმა "ბოკა ხუნიორსიდან" **ხოსე მარია კალვო** გადაიბირეს. არგენტინელი ნახევარმცველი კატალონიურ კლუბში მიმდინარე წლის 30 ივნისამდე დარჩება. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე კმაყოფილი იქნება, "ხიმნასტიკი" კალვოს საბოლოოდ გამოისყიდის. ახალწვეული გაოცებული დარჩა, როცა აღმოაჩინა, რომ ბაირესული "ლა ბომბონერა" და ტარაგონული "ნოუ ესტადი" გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. ხოსე მარიას თქმით, ეს მსგავსება ხელს შეუწყობს თავი ისე იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლში და შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნოს.

## ვოლფსბურგული ამბები

„ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარ მწვრთნელ **კლაუს აუგენტალერს** ახალი ხელშეკრულება გაუფორმეს. როგორც იცით, აუგეს "მგლებთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა. ახლა კი გარკვეულია, რომ 49 წლის სპეციალისტი „ვოლფსბურგში" 2009 წლის 30 ივნისამდე იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ ზუსტად ერთი წელია, რაც აუგენტალერი „ვოლფებს" წვრთნის. *„რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ გუნდმა წარმატებებს მიაღწიოს."* – ეს აუგენტალერის სიტყვებია. კლაუსი ამ თანამდებობაზე 2005 წლის 29 დეკემბერს დაინიშნა.

ამასობაში გადაწყდა, რომ „ვოლფსბურგი" მეორე წრეს **მარსელინიოსთან** ერთად დაიწყებს. 31 წლის ბრაზილიელმა „ვოლფსბურგთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგები გვამცნობენ, რომ „ვოლფებმა" „ტრაბზონსფორს" 2.75 მილიონი ევრო გადაუხადეს. შეგახსენებთ, თურქეთში გადასვლამდე (ეს ზაფხულში მოხდა), მარსელინიო ბერლინის „ჰერტას" ღირსებას იცავდა და ამ გუნდში 5 წელი დაყო. ბუნდესლიგაში ჩატარებულ 155 შეხვედრაში, მას 65 გოლი აქვს გატანილი - ერთ სეზონში საშუალოდ 13 გოლი გაჰქონდა. უფრო მეტი, ვიდრე „ვოლფსბურგმა" პირველ წრეში გაიტანა (12).

მოსალოდნელი გარიგება

# რონალდო იუვენტუსშიო...

## ტუტოსპორტის მტკიცებით, ფენომენის ტრანსფერს NIKE დააფინანსებს...


ეროვნული ბიბლიოთეკა

რონალდო ქალბატონი ხდება?

**რონალდო** „რეალიდან" მიდის. მისი მსურველი კლუბების სახელები კი მედიაში სოკოებივით ჩნდება („ფლამენგო", „ალ იტიჰადი", „პორტსმუთი", „ნიუკასლი" და ა.შ.). აგერ, სულ ახალი და სენსაციური ცნობა იტალიიდან – რონალდოს წაყვანით „იუვენტუსია" დაინტერესებული. ტურინული „ტუტოსპორტის" თანახმად, „ნაიკი" მზადაა, „ბებერ ქალბატონს" ბრაზილიელის ტრანსფერის სრულყოფაში დაეხმაროს. „ნაიკი" „იუვეს" ტექნიკური სპონსორია და რონალდოსთანაც მრავალწლიანი სპონსორული კონტრაქტი აქვს გაფორმებული, ამიტომ თავად არის დაინტერესებული ტრანსფერის დაფინანსებით. თუმცა გაზეთი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ 30 წლის ფორვარდი ტურინში იანვარში გადავიდეს, რადგან „იუვენტუსს" სერია A-ს საგზური ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს.

ესპანური პრესა წერს, რომ რონალდომ თავისი უკანასკნელი მატჩი „რეალში" უკვე ითამაშა, როცა კვირას „დეპორტივოსთან" შეხვედრაში მოედანზე 34 წუთი დაყო. „მილანი", რომელიც „კიქას" გადაბირებას სეზონის წინათ აგვისტოს თვეში ცდილობდა, ესპანელმა ჟურნალისტებმა რონალდოს მსურველთა რიცხვში ისევ მოიხსენიეს, მაგრამ „როსონერის" ფენომენის აყვანის სურვილი, როგორც ჩანს, გაუქრა. მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** გუშინ კატეგორიულად უარყო რონალდოთი დაინტერესება: *„რონალდო? ტყუილია. ჩვენ თავდამსხმელის დამატება არ გვაინტერესებს. მოლაპარაკებას მხოლოდ ერთი ტრანსფერის თაობაზე ვაწარმოებთ და ის ლაციოელ მცველს, მასიმო ოდოს უკავშირდება. ის კი შემიძლია დავადასტურო, რომ კასანოზე ვფიქრობდით, მაგრამ „მილანი" ისეთი კლუბია, სადაც გადაწყვეტილებები ერთსულოვნად მიიღება, კასანოს შემთხვევაში კი მწვრთნელსა და დირექტორებს შორის ერთსულოვნება არ ყოფილა."*



ერიქსონი უკვე მარსელის ტრანსფერებზე მუშაობს?

**სვენ გორან ერიქსონის** "მარსელში" დანიშვნის საკითხი ღიადაა. ფრანგი მიმომხილველები ირწმუნებიან, როგორც კი "ოლიმპიკს" კანადური კონსორციუმი შეიძენს, შვედ მწვრთნელს მაშინვე გაუფორმებენ კონტრაქტს, მაგრამ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები ჯერ არ კეთდება. მარსელელთა დღევანდელი მეპატრონე **რობერ ლუი დრეიფუსი** აქციების სანაცვლოდ 100 მილოინ ევროს ითხოვს.

მარსელი. ტრანსფერები

# სვენი საქმეს შეუდგა?

## შვედმა მწვრთნელმა სისესა და რიბერისთან დაკავშირება სცადა, შეიძლება, ზე რობერტომაც მასთან ითამაშოს...

ამასობაში, "ეკიპში" ვკითხულობთ, რომ სვენი **ჯიბრილ სისეს** შეეხმიანა და სამომავლო გეგმებზე ჩამოუგდო სიტყვა. სისე "ლივერპულის" საკუთრებაა, მაგრამ "მარსელში" ერთწლიანი იჯარით თამაშობს. თუ ერიქსონი ამ გუნდში დაინიშნება, ყველაფერს ილონებს თავდამსხმელთან ხანგრძლივი კონტრაქტის გასაფორმებლად.

"ეკიპის" ცნობით, სვენმა **ფრანკ რიბერის** წარმომადგენლებთან დაკავშირებაც სცადა. რიბერი "მარსელში" თამაშობს, მაგრამ სეზონის ბოლოს ევროპულ გრანდში ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ. მას "არსენალი" ეპატიჟება. სვენს კი არც ამ ფეხბურთელის ხელიდან გაშვება სურს.

ამასობაში, "ოლიმპიკის" მესვეურები "სანტოსს" შეეხმიანნენ და **ზე რობერტოს** ტრანსფერზე ჩამოაგდეს სიტყვა. "ლევერკუზენისა" და "ბაიერნის" ყოფილი ვარსკვლავი ევროპაში დაბრუნებაზე თანახმაა. შეთანხმების შემთხვევაში, მან **საბრი ლამუში** უნდა შეცვალოს. ფრანგმა ნახევარმცველმა კლუბთან კონტრაქტის სეზონის დასაწყისში გაწყვიტა და მას მერე "მარსელი" ამ პოზიციის გაძლიერებას ცდილობს.

ვიდრე სეზონი განახლდება...

# ვერდერი საუცხოო ფორმაშია

## პრობლემები თავდასხმაში, კლოზეს ბაიერნი არ აინტერესებს...




მუსიკოსებმა ეფესის თასი მოიგეს

ბრემენის „ვერდერისთვის" ახალი წელი ზუსტად იმით დაიწყო, რითაც ძველი დამთავრდა: წარმატებით. „მუსიკოსები" შეკრებას, როგორც იცით, თურქეთში, კერძოდ ბელექში გადიან, სადაც „ეფესის თასი" მოიგეს. ნახევარფინალში „ვერდერმა" „ბეშიქთაში" 4:0 გაანადგურა, ფინალში კი „ფეიენოორდი" დაამარცხა (2:1). „მუსიკოსთა" მხრიდან გოლები **ნალდომ** (კუთხურის შემდეგ, თავით) და **იურიცა ვრანიეშმა** (**კლოზეს** პასით) გაიტანეს.

ერთი სიტყვით, „ვერდერი" მეორე წრისთვის გამალებით ემზადება და ბრემენელ ფეხბურთელებს ეტყობათ, რომ ძალიან თავდაჯერებულები არიან. **ტორსტენ ფრინგსი** დარწმუნებულია, რომ „ვერცხლის სინი" წელს სწორედ ბრემენულ კლუბს დარჩება. *„მეორე წრის დაწყებას თითოეული ფეხბურთელი მოუთმენლად ელოდება. ჩვენ ბუნდესლიგის უმთავრესი ფავორიტები ვართ და მხოლოდ ჩვენვე შეგვიძლია საკუთარი თავის დამარცხება!"* – აცხადებს ფრინგსი. შეგახსენებთ, რომ ტორსტენი სეზონის დაწყების წინაც ძალიან თავდაჯერებული იყო და ამბობდა, ეს „ვერდერის" სეზონი იქნებაო, ახლა კი რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდა: *„ერთიანობის, მონდომებისა და მოტივაციის მხრივ, ეს საუკეთესო გუნდია, რომელშიც ოდესმე მითამაშია."*

ბოლო დღეებში, მიუნხენიდან „ვერდერის" მისამართით არაერთხელ გაისმა ისეთი განცხადებები, როგორის მოსმენაც არავის ესიამოვნებოდა. ბავარიელებმა ყველასთან და ყველაფერთან ერთად, პირველ რიგში, სწორედ ბრემენელებს გამოუცხადეს ომი. მაგრამ ფრინგსი, რომელიც კარგად იცნობს მიუნხენური კლუბის ბოსებს, რადგან თავის თავზე გამოცადა თითოეული მათგანი, დარწმუნებულია, რომ ისინი „ვერდერს" წყალს ვერ შეუყენებენ. *„ვერდერი" საბავშვო ბაღის გუნდი არაა, ნერვებს ვერავინ მოგვიშლის. ოდნავადაც არ მაინტერესებს, რას იტყვის ჰერ ჰიონესი, რადგან ძალიან კარგად ვიცი, რომ მიუნხენიდან მხოლოდ ცხელი ჰაერი მოდის და მეტი არაფერი. ული და კალე ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისშიც ამბობდნენ, აგერ ნახავთ, პირველ წრეს მაინც ჩვენ მოვიგებთო, მაგრამ ნახეთ, უკვე იანვარია და „ბაიერნი" „ვერდერს" ისევ ვერ უსწრებს!"* – კმაყოფილია ფრინგსი.

ტორსტენი, როგორც გახსოვთ, „ბაიერნში" თამაშობდა და „ვერდერში" ნელინადნახევრის წინ დაბრუნდა. *„როცა ბრემენისკენ მიმავალ გზას დავადექი, თითოეული კილომეტრის გავლის შემდეგ გული სიხარულით მევსებოდა. რაც უფრო ვშორდებოდი მიუნხენს და რაც უფრო ვუახლოვდებოდი ბრემენს, მით უფრო ბედნიერი ვხდებოდი. თითოეული მეტრი განმათავისუფლებელი და გამაბედნიერებელი იყო."* – იხსენებს ფრინგსი, რომელიც „ბაიერნამდე" დორტმუნდის „ბორუსიაშიც" ირიცხებოდა, სადაც თავის დროზე, სწორედ „ვერდერიდან" გადავიდა.

დღესდღეობით „მუსიკოსთა" მთავარი მწვრთნელის **თომას შააფის** უმთავრეს საზრუნავს თავდასხმა წარმოადგენს. **ივან კლასნიჩს** გამოჯანმრთელების შემდეგ ტრავმამ ისევ შეახსენა თავი და ხორვატი თავდამსხმელი ისევ ლაზარეთში აღმოჩნდა. კლასნიჩი გუნდს თურქულ შეკრებაზე არ გაჰყოლია. ტრავმირებულია **აარონ ჰანტიც**, თუმცა ეს უკანასკნელი გუნდს ბელექში მაინც გაჰყვა და მსუბუქი დატვირთვით ვარჯიშობს. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კლასნიჩის დარად, მეორე წრის სტარტისთვის, „ვერდერს" ჰანტიც დააკლდეს. შესაბამისად, ფერხდება **მოჰამედ ზიდანის** ტრანსფერი „მაინცში". არადა, ბრემენული კლუბის ბოსები უკვე მოურიგდნენ „მაინცს" ზიდანის არენდით გაშვების თაობაზე, მაგრამ რაკი კლასნიჩი და ჰანტი ტრავმირებულები არიან, „ვერდერი" ზიდანის გაშვებას ჯერ ვერ რისკავს. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი შარშანაც „მაინცში" იყო განათხოვრებული.

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ „ვერდერის" მენეჯერი **კლაუს ალოფსი** „ბაიერნზე" კონტრშეტევას ამზადებდა და **კლაუდიო პისაროს** გადაბირებას გეგმავდა. ეს ტრანსფერი თითქმის საბოლოოდ გამოირიცხა, რადგან ჯერ თვითონ პერუელმა თქვა, ბრემენში არ დავბრუნდებიო და ესეც არ იყოს, პისაროს ძალიან მაღალი ხელფასი უნდა. ალოფსი ამბობს, იმის შანსი, რომ თვის ბოლომდე თავდამსხმელი ვიყიდოთ, 50 პროცენტიაო.

ამასთან, „მუსიკოსების" ბოსი ადასტურებს, რომ ის მართლაც დაინტერესდა მეორე ბუნდესლიგაში მყოფი „კიოლნის" ფორვარდით, **პატრიკ ჰელმესით**, მაგრამ თუ ეს ტრანსფერი შედგება, მხოლოდ ზაფხულში, რადგან „თხები" თავის საუკეთესო ბომბარდირს მანამდე არ დათმობენ.

დაბოლოს, **მიროსლავ კლოზეს** მსურველთა სიაში „ბაიერნიც" რომ არის, ეს უკვე გაცნობეთ. ოღონდ ფაქტია, რომ ბავარიელებს მიროს გადაბირების იმედი ვერ ექნებათ. *„თუ ზაფხულში სადმე გადავალ, მხოლოდ 5 გუნდია ისეთი, სადაც სიამოვნებით ვითამაშებდი. თუ „ვერდერიდან" წავალ, კარიერას მხოლოდ ინგლისში, ესპანეთში ან იტალიაში გავაგრძელებ."* – უთხრა კლოზემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ალბერტო ძაკერონი

იტალია. სერია A. XIX ტურის წინ

# ძაკერონი რევანშის მოლოდინში

**დღეს**

ემპოლი-პარმა
ტორინო-ინტერი

**ხვალ**

ატალანტა-ლივორნო
კალიარი-ასკოლი
კიევო-კატანია
მესინა-რომა
მილანი-რეჯინა
პალერმო-უდინეზე
სამპდორია-ფიორენტინა
ლაციო-სიენა

სამკვირიანი პაუზის შემდეგ, დღეს იტალიის ჩემპიონატი განახლდება. ეს არის პირველი წრის ბოლო ტური, რომელსაც „ემპოლი"-„პარმას" შეხვედრა გახსნის, რამდენიმე საათის შემდეგ კი ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი გაიმართება „ტორინოსა" და „ინტერს" შორის. **ალბერტო ძაკერონი** იმ გუნდს მასპინძლობს, რომლის ტიფოზიც ბავშვობიდან იყო და რომელსაც ერთი სეზონის განმავლობაში წვრთნიდა. წესით, „ძაკი" კიდევ ერთი წლით უნდა დარჩენილიყო „ინტერში", მაგრამ **მასიმო მორატის** უკვე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ **რობერტო მანჩინი** მოეყვანა. მაშინდელი პრეზიდენტი **ჯაჩინტო ფაკეტი** ძაკერონის დატოვების მომხრე იყო, მაგრამ მორატისთან არაფერი გამოუვიდა. „ძაკი" მიხვდა, რომ კლუბის მეპატრონეს მისი გაშვება უნდოდა და თავადვე დაწერა პოსტიდან გადადგომის განცხადება. არადა, შეეძლო, მორატისგან დათხოვნას დალოდებოდა და ამ შემთხვევაში, მომდევნო სეზონის ხელფასიც გარანტირებული ექნებოდა, მაგრამ ღირსეულად მოიქცა. თუმცა ვინ იცის, გულში რა ბოღმა ჩაიდო. „ინტერიდან" წასვლის შემდეგ მწვრთნელობა ორი წლის შემდეგ, გასულ სექტემბერში განაახლა. შეიძლება, მთელი ამ დროის განმავლობაში მოუთმენლად ელოდა ამ დღეს, რომ მორატიზე შური ეძია. შურისძიებისთვის კი მომენტი მართლაც რომ შესაფერისია - ჩემპიონატში დაუმარცხებელი „ინტერი" სერია A-ში ახალი რეკორდის დასამყარებლად ემზადება. გუნდმა ზედიზედ 11 შეხვედრა მოიგო, რითაც „რომას" მიერ წინა სეზონში დამყარებული რეკორდი გაიმეორა, დღეს კი მისი მოხსნისა და ისტორიაში შესვლის შანსი ეძლევა. სეზონის მძიმედ დაწყების შემდეგ, „ტორინომ" თამაში ნოემბრის დასაწყისში გამოასწორა და ახლა მეოთხე ადგილს ოთხი ქულა აშორებს. მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი, **ბარონე** და **კომოტო** არ ეყოლებათ, **სტეფანო ფიორეს** კი ძაკერონი ალბათ სკამზე დატოვებს, მას შემდეგ, რაც გასულ კვირაში ნახევარმცველთან ვარჯიშზე კამათი მოუვიდა. „ინტერს" ტრავმების გამო **გროსო, სამუელი, რეკობა** და **კრუსი** ვერ დაეხმარებიან. გამოუცნობი რჩება, ვინ ითამაშებს შეტევაში **იბრაჰიმოვიჩის** მეწყვილედ, **კრესპო** თუ **ადრიანო**.

ერთი თვის უკან ამ მხრივ არანაირი ეჭვები არ არსებობდა, მაგრამ ადრიანო ბოლო დროს ისე ათამაშდა, რომ მანჩინი უკვე დილემის წინაშე დგას. ცხრათვიანი პაუზის შემდეგ ბრაზილიელმა ბოლო ტურში გაიტანა, მერე ამხანაგურში დუბლი გაახერხა, სამი დღის წინათ კი იტალიის თასზე „ემპოლის" კარში გამარჯვების გოლი შეაგდო.

„ინტერის" მთავარი და ალბათ ერთადერთი კონკურენტი „რომა" კვირას მესინაში ჩავა. სხვა იტალიურ კლუბებთან შედარებით, რომაული გუნდი ამ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ყველაზე მეტად გაძლიერდა. „ჯალოროსის" ვალენსიელი **ტავანო** და შვედი გარემარბი **ვილჰელმსონი** დაემატნენ, თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რომელიმე მათგანი ხვალ თუნდაც თადარიგში გამოჩნდეს. **ლუჩანო სპალეტი** კარგად ნაცად შემადგენლობას დაეყრდნობა, რომლითაც ბოლო ათ ტურში ცხრა შეხვედრა მოიგო. **ტოტის** ხელის ტრავმა აწუხებს, მაგრამ მაინც ითამაშებს. დედაქალაქელებს დისკვალიფიცრებული **მექსე** და დაშავებული **კასეტი** ვერ დაეხმარებიან. ორ თვეზე მეტია, რაც „მესინას" გამარჯვება აღარ უნახავს (ერთი ქულა ბოლო შვიდ ტურში), გუნდს გასავარდნი ზონისგან უკვე სამი ქულა აშორებს, ასე რომ, შედეგი ჰაერივით სჭირდება. გასულ ჩემპიონატში „რომამ" მესინაში 2:0 გაიმარჯვა. საკმაოდ ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ, „მილანმა" გასული წელი ომახიანად დაასრულა, როცა ზედიზედ ორჯერ 3:0 მოიგო, და ახალი წელიც წარმატებით დაიწყო, მას შემდეგ, რაც ჯერ ბერლუსკონის თასზე „იუვენტუსს" 3:2 სძლია, ხუთშაბათს კი იტალიის თასზე „არეცოს" 2:0 მოუგო. გოლები **ჯილარდინომ** და **ინძაგიმ** გაიტანეს. **ანჩელოტი** მოუთმენლად ელოდა საშობაო პაუზას („როსონერი" მზადებას მალტაზე გადიოდა), თასზე გამარჯვების შემდეგ კი თქვა, სადღეისოდ ჩემი გუნდი შესაძლებლობების 60 პროცენტზეაო. მილანელებს კვლავ დაშავებული ჰყავთ **მალდინი, დიდა, ნესტა, ფავალი** და **სერჯინიო**, ხოლო **გატუზოს** დისკვალიფიკაცია აქვს და მის ადგილას ხვალ **ბროკი** ითამაშებს. ყველა ამ დანაკლისის მიუხედავად, „მილანს" მაინც არ უნდა გაუჭირდეს „რეჯინასთან", რომელიც სტუმრად ტრადიციულად სუსტად თამაშობს. შარშან ამ გუნდების დაპირისპირება „სან სიროზე" მასპინძლების გამარჯვებით 2:1 დასრულდა. „ფიორენტინამ" ბოლო ხუთ ტურში ოთხჯერ მოიგო და ერთი ფრე ითამაშა, რის შემდეგაც კლუბის ხელმძღვანელობას გეგმები შეეცვალა. თუკი თავიდან მიზნად სერია A-ში დარჩენა ცხადდებოდა, ახლა გუნდი ჩემპიონთალიგური საგზურის მოპოვებაზე ფიქრობს, რაც არცთუ რეალურია, იმის გათვალისწინებით, რომ „ვიოლას" მეოთხე ადგილამდე უკვე 8 ქულა აშორებს (დაკლებული 15 ქულა რომ არა, სწორედ ამ პოზიციაზე იქნებოდა). თუმცა ხვალ ფლორენციელებს ძალზე რთული გასვლითი შეხვედრა ელით „სამპდორიასთან". პრანდელის გუნდმა შარშან გენუაში 1:3 დათმო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 18 | 15 | 3 | 0 | 38-15 | 48 |
| 2. რომა | 18 | 13 | 2 | 3 | 40-15 | 41 |
| 3. პალერმო | 18 | 11 | 2 | 5 | 35-23 | 35 |
| 4. კატანია | 17 | 7 | 5 | 5 | 25-31 | 26 |
| 5. ლაციო | 18 | 8 | 4 | 6 | 29-17 | 25 |
| 6. სამპდორია | 18 | 6 | 5 | 7 | 28-26 | 23 |
| 7. უდინეზე | 18 | 6 | 5 | 7 | 19-21 | 23 |
| 8. ემპოლი | 17 | 5 | 7 | 5 | 14-17 | 22 |
| 9. ლივორნო | 18 | 5 | 7 | 6 | 18-24 | 22 |
| 10. ტორინო | 18 | 5 | 7 | 6 | 14-20 | 22 |
| 11. ატალანტა | 18 | 5 | 6 | 7 | 27-29 | 21 |
| 12. მილანი | 18 | 7 | 7 | 4 | 22-16 | 20 |
| 13. სიენა | 18 | 4 | 9 | 5 | 15-19 | 20 |
| 14. ფიორენტინა | 18 | 10 | 3 | 5 | 30-17 | 18 |
| 15. კალიარი | 18 | 2 | 10 | 6 | 14-21 | 16 |
| 16. მესინა | 18 | 3 | 6 | 9 | 19-32 | 15 |
| 17. კიევო | 18 | 3 | 5 | 10 | 18-27 | 14 |
| 18. რეჯინა | 18 | 6 | 5 | 7 | 23-25 | 12 |
| 19. პარმა | 18 | 2 | 6 | 10 | 16-33 | 12 |
| 20. ასკოლი | 18 | 1 | 6 | 11 | 13-28 | 9 |



ანტონიო კასანო

ინტერი

# კასანო? გმადლობთ, არ გვინდა!

## პროტესტი: ინტერის მოთამაშეებს კასანოს გაგონებაც არ უნდათ

**ანტონიო კასანოს** მომავალი ჯერაც ბურუსითაა მოცული. ფაქტია, რომ "რეალს" ის აღარ სჭირდება. ცნობილია ისიც, რომ თავად კასანოს იტალიაში დაბრუნება უნდა. თუმცა სამშობლოში, მიუხედავად იმისა, რომ იქ მის ტალანტს დიდად აფასებენ, კონტრაქტის გაფორმებაზე, ჯერჯერობით, არავინ მიდის. სარისკო საქმეა და იმიტომ. მადრიდში ყოფნისას, კასანომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სიტუაციის დაძაბვის დიდოსტატია. სერიოზულ გუნდებში კი ეს არავის აწყობს...

როგორც კი "ბუნტისთავი" იტალიაში დაბრუნებაზე ალაპარაკდა და ამ თემით სპეკულირებდა მედიაც, მაშინვე, მისი მომავალი "ინტერს", "მილანს", "იუვენტუსსა" და "პალერმოს" დაუკავშირეს. სხვათა შორის, **რობერტო მანჩინიმაც** და **კარლო ანჩელოტიმაც** ჭირვეული ფორვარდის მიმართ თბილი სიტყვები არ დაიშურეს და მასთან ხელშეკრულების გაფორმებაც დასაშვებად მიიჩნიეს. განსხვავებულია "პალერმოს" პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** (სხვათა შორის, ისიც კასანოზე არანაკლებ ჭირვეული გახლავთ) აზრი. მან კატეგორიულად უარყო კასანოს გადაყვანის შესაძლებლობა, იმის მიუხედავადაც, რომ ბრაზილიელი ფორვარდი **კარვალიო ამაური** ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე დაკარგა. "იუვენტუსის" პოზიცია კი "ფიატის" ერთ-ერთმა ბოსმა **ლაპო ელკანმა** გააჟღერა. ლაპო კასანოს მეგობარი კი გახლავთ, მაგრამ შარს თავი აარიდა და საკითხის გარკვევა მწვრთნელს გადაულოცა - **დიდიე დეშამის** საქმეში როგორ ჩავერევით, ის გადაწყვეტს, სჭირდება თუ არა ეს ფეხბურთელიო...

ოფიციალურ პირთაგან პირველმა, კასანოს "ინტერში" შესაძლო გადასვლაზე ინფორმაცია "რეალის" სპორტულმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა** გაავრცელა. ეტყობა, სწორედ ამ ჩინოსნის ნათქვამს მოჰყვა "ნერაძურის" წამყვან მოთამაშეთა ჯგუფის განცხადება იმის თაობაზე, რომ კასანოს მოსვლა გუნდში არსებულ პოზიტიურ კლიმატსა და ჰარმონიაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. ეს ამბავი მედია-სივრცეს "გაძეტა დელო სპორტმა" აუწყა. ალბათ, სწორედ ამან ათქმევინა **მასიმო მორატის** (ვინც ასევე კეთილი თვალით უყურებს კასანოს), რომ ეს ფეხბურთელი "ინტერის" სამომავლო გეგმებში არ შედის. მანჩინის თავდასხმაში ხუთი კაცი ჰყავს - **ადრიანო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ერნან კრესპო, ალვარო რეკობა** და **ხულიო კრუსი**. მწვრთნელმა როგორღაცააწყო სისტემა და ვეჭვობთ, მის დანგრევაზე ფიქრობდეს. მართალია, კრუსი და რეკობა ტრავმირებულები არიან, მაგრამ საქმისთვის ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი და კრესპოც კმარა. თანაც, კასანოს ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია აქვს. მორატის კი ზედმეტი თავსატეხისთვის 3.5 მილიონი გირვანქა არ უნდა ემეტებოდეს.



ამანტინო მანსინი

რომაული ამბები

# ტოტი მანსინის წინააღმდეგ

## იტალიური პრესა ირწმუნება, სეზონის ბოლოს ბრაზილიელი მცველი რომას დატოვებს და ინტერში ან რეალში ჩაირიცხებაო

**ამანტინო მანსინი** ივნისში „რომას" დატოვებსო, იტყობინება „გაძეტა დელო სპორტი". რატომ? იმიტომ, რომ **ტოტისთან** ცუდი ურთიერთობა აქვს და კიდევ იმიტომ, რომ „რომა" დანაპირებს არ უსრულებს და ხელფასს არ უზრდის. თანმიმდევრობით მივყვეთ: ეჭვები იმაზე, რომ კაპიტანსა და ბრაზილიელს შორის მთლად ჰარმონიული ურთიერთობა არ იყო, დიდი ხანი არსებობდა, მაგრამ ოთხშაბათს „რომა"-„პარმას" (2:1) სათასო შეხვედრაში ყველამ ყველაფერი პირდაპირ ეთერში იხილა. პირველ ტაიმში მანსინიმ „რომა" დააწინაურა, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ გოლის ავტორმა და კაპიტანმა, როგორც გაბუტულმა ბავშვებმა იციან, ერთმანეთს იგნორირება გაუკეთეს. კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა მათი უთანხმოება მეორე ტაიმში: ტოტიმ მანსინი გარღვევაზე გაიყვანა, ბრაზილიელმა კაპიტანს ბურთი დაუბრუნა, რასაც ამ უკანასკნელის გოლი მოჰყვა, მაგრამ ერთმანეთს არც კი მიულოცეს – ერთიცა და მეორეც თავთავისთვის ბრუნდებოდა ცენტრისკენ, რის გამოც გუნდი ორ ნაწილად გაიყო, ერთი ჯგუფი მანსინის ეხვეოდა, მეორე კი ტოტის.

ცნობისმოყვარე რომანისტა ტიფოზებს შორის მუსირებს აზრი, რომ ამ ორის უთანხმოება სათავეს ერთი წლის წინანდელი მოვლენებიდან იღებს, როცა ტოტის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა **ანტონიო კასანოსთან**. მაშინ მანსინი კასანოს მხარეს იყო, სულ მის გვერდით ხედავდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ ტიფოზების ერთი რადიკალურად განწყობილი ჯგუფი ბრაზილიელს ცემით ემუქრებოდა. მერე კასანო მადრიდში გადაიხვეწა, მაგრამ ბზარი დარჩა. ბოლო რომაულ დერბიში, რომელშიც „ლაციომ" 3:0 მოიგო, ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ ის ეპიზოდი, როცა მანსინიმ ტოტის ბურთის არგადაწოდებისთვის შეაგინა. ამას ემატება ხელფასთან დაკავშირებული პრობლემებიც: წელიწადნახევარზე მეტია, რაც „რომა" მანსინის ანაზღაურების გაზრდას დაპირდა, მაგრამ დაპირება დაპირებდვე დარჩა. კლუბი ამ საკითხს გულგრილად ეკიდება, რადგან იცის, რომ ბრაზილიელს კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რას ნიშნავს ფრანჩესკო ტოტი „რომასთვის" და რომისთვის. გუნდში დარჩენა იმ დროს, როცა ტოტისთან პრობლემები გაქვს, არცერთი ფეხბურთელისთვის არ არის იოლი და გამონაკლისს არც მანსინი წარმოადგენს. ამიტომ ისევ აქტუალური ხდება „ინტერის" ინტერესი ბრაზილიელის მიმართ. მანსინის თაობაზე კლუბებს საუბარი ზაფხულში ჰქონდათ, როცა **დავიდ პისაროს** ტრანსფერი გაფორმდა: „რომამ" მორატის ხალხს აღუთქვა, რომ ბრაზილიელის გაყიდვის შემთხვევაში პრივილეგიას „ინტერს" მიანიჭებდა და იქვე ფასიც დაასახელა – 20 მილიონი ევრო. თუ „ინტერის" ვარიანტი გამოირიცხა, რიგში მადრიდის „რეალი" დგას. **ფაბიო კაპელო** მანსინის ძალიან აფასებს, სწორედ მისი წყალობით გაიხსნა ეს ფეხბურთელი, მას შემდეგ, რაც ერთი წელი „ვენეციაში" სათადარიგოთა სკამზე გაატარა. სამეფო კლუბს რომიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის, **ფილიპ მექსეს** წაყვანა უნდა. ფრანგი მცველის თაობაზე მოლაპარაკებებს მადრიდელები სეზონის ბოლოს განაახლებენ. მექსეს წასვლის შემთხვევაში, მისი ადგილი შეიძლება ლევერკუზენის „ბაიერში" მოთამაშე ბრაზილიელმა **ჟუანმა** დაიკავოს. გასულ დღეებში ჟუანმა „რომას" საკუთარი თავი თავადვე შესთავაზა: *„ბედნიერი ვიქნები, თუ „რომაში" თამაშის საშუალება მომეცემა. ეს ის გუნდია, რომელსაც ყველა პირობა აქვს, რომ ევროპის ერთ-ერთ გრანდად იქცეს. ძალიან მომწონს რომაელების თამაშის სტილი, ყოველთვის ვცდილობ, რომ ამ გუნდის ყველა შეხვედრას ვუყურო. ჩემი თანამემამულეები, ტადეი და მანსინი, ბრაზილიის ნაკრებში თამაშს იმსახურებენ."*



ფრანჩესკო ტოტი





ეროვნული ბიბლიოთეკა

კატალონიური დერბის წინ. ერთობლივი ინტერვიუ ივან დე ლა პენიასა და კარლეს პუიოლთან

# მეგობრობა რა სახსენებელია, დანდობა არ იქნება



ივან დე ლა პენია და კარლეს პუიოლი

## ბარსას კაპიტანმა კომპიუტერულ თამაშში განცდილი მარცხის გამო შური დღევანდელ დერბიში უნდა იძიოს

დღეს კატალონიური დერბია. „ესპანიოლისა" და „ბარსელონის" დაპირისპირება სუპერკლასიკოს კონკურენციას ვერც ერთი კუთხით გაუწევს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს დერბი დანარჩენ ყველა სხვა შეხვედრაზე მეტ ინტერესს იწვევს. გარდა იმისა, რომ თანაქალაქელთა ორთაბრძოლა თითქმის მთელ მსოფლიოში უდიდეს ემოციებთანაა დაკავშირებული, „ესპანიოლსა" და „ბარსას" კიდევ ერთი გარემოება აპირისპირებს. „ესპანიოლის" გულშემატკივართა ძირითად ბირთვს იმ ადამიანთა შთამომავლები წარმოადგენენ, რომლებიც დიქტატორმა ფრანკომ კატალონიაში ესპანური ინტერესების დასაცავად მიზნობრივად ჩაასახლა. მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა და ხსენებული მოსახლეობის უმრავლესობამ უბრალო ჭეშმარიტება აღმოაჩინა. „ბარსა" „ესპანიოლზე" გაცილებით ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ამიტომ, მომდევნო თაობებმა მამების გეზს უღალატეს და „კამპ ნოუსკენ" გადაუხვიეს. მათი ლოგიკა მარტივია, პოლიტიკა ჩვენ არ გვეხება, რომელიმე გუნდის ქომაგობა კი სამშობლოს ღალატს არ ნიშნავს. მოკლედ, კატალონიაში ჩასახლებულთა შთამომავლობის დიდმა ნაწილმა კლუბი შეიცვალა, თუმცა „ესპანიოლს" ერთგული ინჩადა მაინც დარჩა. ვინც ბარსელონაში ყოფილა და ფეხბურთის გულშემატკივრებთან ურთიერთობა ჰქონია, ეცოდინება, რომ „ესპანიოლის" ფანებზე მეტად დასაცინი ხალხი „ბარსას" ქომაგებისთვის არ არსებობს. ნებისმიერი სოსიო ან თუნდაც უბრალო გულშემატკივარი რომ გააჩეროთ და თანაქალაქელთა შესახებ რაიმე ჰკითხოთ, ყველა ირონიული გამომეტყველებით საუბარს დაიწყებს და აუცილებლად გეტყვით, „ესპანიოლი" ის უბედური გუნდია, რომელსაც 30 ათასი ადამიანის შეკრებაც კი არ შეუძლიაო. ხშირად ბარსელონისტები ძალიან აჭარბებენ, მაგრამ უდავოა, რომ ამ ღვთაებრივი ქალაქის ორი გუნდი აბსოლუტურად განსხვავებულ სიბრტყეზე იმყოფება. ყოველი ახალი შეხვედრა კიდევ ერთი შანსია იმის დასამტკიცებლად, თუ ვინ არის ნამდვილი ქალაქელი, ვის ეკუთვნის გაუდის ბარსელონა.

ერთი სიტყვით, დღევანდელ თამაშს მოუთმენლად ელიან. შეხვედრა „მონჟუიკზე" გაიმართება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ესპანიოლის" ერთგული ფანები სტადიონზე ფეხბურთისადმი გულგრილად განწყობილ ოჯახის წევრებსაც წაიყვანენ. მათ მკაცრად განსაზღვრული კვოტით მისულ ბარსელონისტებს უნდა დაუმტკიცონ, რომ სტადიონის შევსება თავადაც შეუძლიათ. კატალონიური გიგანტის ინჩასები მართალია, რიცხობრივ უმცირესობაში აღმოჩნდებიან, მაგრამ ეს მათ არ შეაშინებს. რაც არ უნდა მოხდეს, ამ ხალხისთვის „ესპანიოლი" დაცინვისა და ქილიკის ობიექტად დარჩება.

ანტაგონიზმი ფეხბურთელებსაც არ აკლიათ. რბილად რომ ვთქვათ, გუნდების მოთამაშეებს ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ. ცხადია, გამონაკლისებიც არსებობს. **ივან დე ლა პენია** ახლა „ესპანიოლის" ერთ-ერთი ლიდერია, მაგრამ წლების წინ ის „კამპ ნოუზე" ბრწყინავდა და გულშემატკივრები მის დაკარგვას დღემდე სინანულით იხსენებენ. ივანი ის იშვიათი ადამიანია, რომლის მოსაზრებებსაც ბარსელონისტები მშვიდად ეცნობიან. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ „ელ მუნდო დეპორტივოს" რედაქციამ **კარლეს პუიოლთან** ერთად დე ლა პენია და არა რომელიმე სხვა ესპანიოლელი დაპატიჟა. ინტერვიუ, რა თქმა უნდა, დღევანდელ დერბის შეეხება.

**- კარლეს, 2000 წლიდან მოყოლებული კატალონიური დერბი ერთხელაც არ გამოგიტოვებიათ...**

- აბსოლუტურად მართალი ხართ. პრიმერა დივიზიონის ეგიდით გამართულ ყველა დერბიში ვითამაშე. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდულ ასაკში დაბერებული ვეტერანი ვარ (იცინის). თუ არ ვცდები, მთლიანობაში 10 შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. ვგონებ, მართლა დიდი გამოცდილება დამიგროვდა.

**- ყველაზე ცუდად რომელი დერბი გახსენდებათ?**

- 2001-02 წლების სეზონის შეხვედა. მაშინ 0:2 წავაგეთ.

**- სხვა შეხვედრების შედეგები თუ გახსოვთ?**

- როგორ არა, სამი თამაში ფრედ დასრულდა, ერთი წავაგეთ, დანარჩენი ექვსი კი ჩვენი გამარჯვებით დაასრულა.

**- ვინ იყო თქვენი მწვრთნელი, როცა „მონჟუიკზე" „ესპანიოლთან" დამარცხდით?**

- კარლეს რექსაჩი. კარგი მეხსიერება მაქვს, ვერ გამომიჭერთ (იცინის).

**- ვინ იცის, იქნებ მაინც გამოგიჭიროთ. რამდენჯერ მოხვდით ძირითად შემადგენლობაში?**

- დამცინით? ათივე ორთაბრძოლაში ძირითადში ვიყავი.

**- მაშინ ის გვითხარით, რამდენჯერ შეგცვალეს?**

- ერთხელ. 2001-02 წლების სეზონში.

**- თქვენ ნაცვლად ვინ გამოვიდა?**

- რაიციგერი.

**- მსაჯებმა რამდენჯერ გაგაფრთხილეს?**

- ერთადერთხელ.

**- საოცარია, მართლაც ფანტასტიკური მეხსიერება გქონიათ. კეთილი, ახლა დე ლა პენიასაც მივაქციოთ ყურადღება. ივან, რას გრძნობთ, როცა „ბარსელონის" თამაშებს უყურებთ?**

- უდიდეს სიამოვნებას. „ბარსა" ძალიან მომწონს. თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ „ბარსელონის" აბსოლუტურად ყველაფერი მომწონს. ისინი ტრადიციულად სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, რაც ჩემს მსოფლმხედველობასთან ძალიან ახლოსაა.

**- ნება მიბოძეთ თქვენი მეხსიერებაც შევამოწმო. შეგიძლიათ გაიხსენოთ, როდის გაიცანით კარლეს პუიოლი?**

- 2000 წელს „ბარსელონაში" დავბრუნდი. მაშინ ლუის ენრიკე დამხვდა და შეიძლება ითქვას, რომ გულში ჩამიკრა. კარლესი სწორედ მან გამაცნო. მითხრა, ორი წუთი დამელოდე, ერთი უნიჭიერესი და მომავლის ფეხბურთელი უნდა გაგაცნოო. ჩემი მეგობარი მართალი აღმოჩნდა. პუიოლი უდიდეს ვარსკვლავად იქცა. ლუის ენრიკესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. შემდეგ კარლესსაც დავუახლოვდი და ძმაკაცების განუყრელი ტრიო შევქმენით (იცინის).

**- ახლაც მეგობრობთ?**

- რა თქმა უნდა. რამდენიმე დღის წინ კარლესმა სახლში დამპატიჟა. გემრიელად ვისადილეთ და Play Station-იც ვითამაშეთ.

**- რომელი გუნდები აირჩიეთ?**

- მე „ესპანიოლი", მან „ბარსელონა"...

**- ვინ გაიმარჯვა?**

- სჯობს, ამის შესახებ თავად კარლესმა მოგითხროთ (იცინის).

**- კეთილი. გისმენთ, კარლეს...**

- ივან, ნაძირალა ხარ (ხარხარებს). გინდა, რომ მე თვითონ მომაყოლო ის რაც შემემთხვა? მეგონა Play Station-ის თამაშებში ვერავინ შემედრებოდა, მაგრამ ივანმა მიწასთან გამასწორა. მისმა „ესპანიოლმა", ჩემს „ბარსელონას" 12:2 მოუგო. ეს ორი ბურთიც დროის ამოწურვამდე წამებით ადრე გავიტანე. საშინლად გავმწარდი, თუმცა შემდეგ მივხვდი, რომ ვირტუალურ სამყაროში ვიმყოფებოდი. ისლა დამრჩენია, შური რეალურ განზომილებაში ვიძიო.

**- მზად ხართ ამისთვის?**

- რა თქმა უნდა. მართალია, „ბარსელონა" სტუმრად იასპარეზებს, მაგრამ ჩვენ მაინც შესანიშნავი შანსები გვაქვს.

**- Play Station-ის ბოლომ მართლაც არ მოგასვენებთ და მეგობარზე შურისძიებაში დაგეხმარებათ?**

- ივანს ეს არ უნდა გაეკეთებინა, მან არ იცის რაში გაყო თავი. დიახ, ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ ეს მეგობრობა შაბათს ორი საათით შეწყდება. როცა მოედანზე გავდივარ, არავის ვინდობ. მეორე მხარეს გარდაცვლილი მამაჩემიც რომ გამომეცხადოს, მასაც არ დავინდობ. ვფიქრობ, ძალიან დაძაბული მატჩი გაიმართება. მატჩი, რომელსაც „ბარსელონა" მოიგებს.

**- ივან, თქვენ რას იტყვით?**

- მეგობრობა „ესპანიოლის" ინტერესების დაცვაში მეც არ შემიშლის ხელს. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი მეტოქე პლანეტის საუკეთესო გუნდი იქნება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სამი ქულის მოპოვების შანსი არ გაგვაჩნია. იმედია, გულშემატკივრები სამართლიან და სანახაობრივ ფეხბურთს იხილავენ. თუ ჩვენი თამაშით სიამოვნებას მივიღებთ, მაყურებლებიც კმაყოფილები დარჩებიან.

**- თქვენმა მწვრთნელმა იმედი გამოთქვა, რომ დეკუ, ინიესტა და რონალდინიო არ ითამაშებენ...**

- მისი კარგად მესმის. ბალბერდეს არ სურს, „ბარსა" საუკეთესო შემადგენლობით დაგვიპირისპირდეს... მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს, თუ ლამაზი სანახაობა გვსურს, მოედანზე სწორედ საუკეთესოები უნდა გავიდნენ. დეკუს, ინიესტასა და რონალდინიოს თამაშის წინააღმდეგი არ ვარ. გეფიცებით, მათ არ ვწყევლი, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ „მონჟუიკზე" შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ გამოამჟღავნებენ.

**- კარლეს, დე ლა პენიამ „ბარსა" საუკეთესოდ დაახასიათა. თქვენ რაღას იტყვით „ესპანიოლზე"?**

- გუნდი დღითიდღე იზრდება. მათ მრავალი სათამაშო კომპონენტი გააუმჯობესეს. დაცვა უფრო საიმედოა. მართალია, „რეკრეატივოსთან" წააგეს, მაგრამ ამით მათი პროგრესი არ კნინდება.

**- კარლეს, არ შემიძლია, არ გკითხოთ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ „ატლეტიკოსთან" ორი ქულის დაკარგვა თქვენმა შეცდომამ გამოიწვია?**

- მომიწევს ვაღიარო, რომ მართლაც სერიოზული შეცდომა დავუშვი. ვიფიქრე, აგუეროს ხელოვნურ თამაშგარეში დავტოვებ-მეთქი, მაგრამ წამით დავაგვიანე და გოლი გავუშვით. შედეგად, ორი ქულა დავკარგეთ. დასანანია, მაგრამ უშეცდომო არავინაა.

**- ივან, თქვენ ყოველთვის ამბობთ, რომ პუიოლი პლანეტის საუკეთესო მცველია. რა არის ეს, ნეპოტიზმი, თუ ობიექტური შეფასება?**

- ნება მიბოძეთ, თქვენს ნათქვამში მცირე კორექტივები შევიტანო. ნეპოტიზმი არანაირად არ არის, რადგან ჩემი მოსაზრების გამოთქმა პუიოლს სამსახურეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაში ვერ დაეხმარება. სხვათა შორის, მე არ მითქვამს, კარლესი პლანეტის საუკეთესო მცველია-თქო. განვაცხადე, მას მსოფლიოს უძლიერეს ცენტრალურ მცველად მივიჩნევ-მეთქი. პუიოლს ფლანგზე თამაშის გამოცდილებაც აქვს, მაგრამ ცენტრში ის გაცილებით ეფექტური და პროდუქტიულია. ამ პოზიციაზე ჩემს მეგობარს ბადალი მართლაც არ ჰყავს.

**- ხედავთ კარლეს, ივანი როგორ გახასიათებთ. თქვენ კი, შურისძიებით ემუქრებით...**

- გულწრფელ კომპლიმენტებს მეც არ დავიშურებ (იცინის). დე ლა პენია შემოქმედებით ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება. ის მხოლოდ პრაგმატიზმით არასოდეს იფარგებლა და მუდამ ცდილობს, ლამაზად ითამაშოს. შეხვედრა ისე არ ჩაივლის, ივანმა ორი ან სამი დიდებული პასი არ გააკეთოს. ასეთი პასები მხოლოდ მისი ხელწერაა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XVIII ტურის წინ

# დეკუ ისვენებს, რონალდინიო ბრუნდება

**დღეს**

ვალენსია-ლევანტე
ესპანიოლი-ბარსელონა

**ხვალ**

ხიმნასტიკი-ხეტაფე
ოსასუნა-ბეტისი
რასინგი-სოსიედადი
ბილბაო-ვილიარეალი
სევილია-მალიორკა
რეკრეატივო-დეპორტივო
სელტა-ატლეტიკო
რეალი-სარაგოსა

მე-18 ტურის ცენტრალური შეხვედრა „მონჟუიკზე" გაიმართება. ყველას კარგად მოეხსენება, რომ კატალონიურ დერბის ჩვეულებრივ შეხვედრაზე გაცილებით მეტი ინტრიგა და აჟიოტაჟი ახლავს თან. „ბარსელონა" ყოველმხრივ უფრო ძლიერი გუნდია, მაგრამ „ესპანიოლს" ეს არ აშინებს და სტუმრების მსგავსად თავადაც გამარჯვებისთვის ემზადება. **ფრანკ რიიკაარდს** სამედიცინო შტაბიდან უსიამოვნო ინფორმაცია მიაწოდეს. **დეკუ და ძამბროტა** ტრავმების გამო თამაშს ვერ შეძლებენ. პორტუგალიელ ვარსკვლავს მარჯვენა ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. იტალიელს კი აქილევსის მყესი აწუხებს. დაგვეთანხმებით, დიდი დანაკლისია, თუმცა **რიიკაარდს** სასიხარულო მიზეზიც აქვს. მას **რონალდინიო** დაუბრუნდა. მოგეხსენებათ, გაუჩო შვებულებიდან გვიან დაბრუნდა და წინა ტურის შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო. ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს 22 დღეა ბურთი არ გაუგორებია. ის მხოლო მსუბუქად ვარჯიშობდა. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რონალდინიო დასვენებულია. სავარაუდოდ, ის დაკისრებულ მოვალეობებს ღირსეულად გაუმკლავდება. „ესპანიოლს" რაც შეეხება, მასპინძლებს საკადრო პრობლემები არ აწუხებთ. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ტრავმების შესახებ არაფერს გვამცნობს.

ხმაურიანი და დაძაბული დღეების შემდეგ „რეალი" „სარაგოსასთან" საბრძოლველად ემზადება. **ფაბიო კაპელომ რონალდოსა და ბექჰემის** წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ტრიუმფალური გამარჯვებით დაასრულა. პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მწვრთნელს სრულიად ეთანხმება და დირექტორატს კაპელოს მიერ მოკვეთილი მოთამაშეების გასხვისებაზე ინტენსიური მუშაობა დაავალა. სამეფო კლუბში ახალი ერა იწყება. ბატონი ფაბიო აქცენტს ახალწვეულებზე აკეთებს. გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ **გახო და იგუაინი** „სარაგოსასთანაც" ძირითადში მოხდებიან. „ბეტისთან" სათასო პაექრობაში მთავარი მწვრთნელი არგენტინელთა თამაშით კმაყოფილი დარჩა.

„სარაგოსა" „სანტიაგო ბერნაბეუზე" ამბიციური მიზნებით მიემგზავრება. **ვიქტორ ფერნანდესი** ინფორმაციას ასაიდუმლოებს, თუმცა ჩვენი ესპანელი კოლეგებისთვის ცნობილი გახდა, რომ **პაბლო აიმარმა** მიკრო ტრავმა მოიშუშა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 17 | 12 | 1 | 4 | 36-17 | 37 |
| 2. ბარსელონა | 16 | 10 | 5 | 1 | 35-13 | 35 |
| 3. რეალი | 17 | 10 | 2 | 5 | 26-16 | 32 |
| 4. სარაგოსა | 17 | 9 | 3 | 5 | 30-19 | 30 |
| 5. ვალენსია | 17 | 9 | 3 | 5 | 24-15 | 30 |
| 6. ატლეტიკო | 17 | 8 | 5 | 4 | 21-12 | 29 |
| 7. რეკრეატივო | 17 | 9 | 1 | 7 | 27-24 | 28 |
| 8. ოსასუნა | 17 | 7 | 2 | 8 | 22-22 | 23 |
| 9. ხეტაფე | 17 | 6 | 5 | 6 | 12-12 | 23 |
| 10. ესპანიოლი | 17 | 5 | 7 | 5 | 15-17 | 22 |
| 11. ვილიარეალი | 17 | 6 | 4 | 7 | 17-24 | 22 |
| 12. სელტა | 17 | 5 | 6 | 6 | 20-22 | 21 |
| 13. რასინგი | 17 | 5 | 6 | 6 | 16-22 | 21 |
| 14. დეპორტივო | 17 | 5 | 5 | 7 | 12-23 | 20 |
| 15. ბილბაო | 17 | 4 | 6 | 7 | 21-27 | 18 |
| 16. ლევანტე | 17 | 4 | 6 | 7 | 16-23 | 18 |
| 17. მალიორკა | 17 | 4 | 5 | 8 | 14-25 | 17 |
| 18. ბეტისი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-19 | 16 |
| 19. სოსიედადი | 17 | 2 | 7 | 8 | 12-23 | 13 |
| 20. ხიმნასტიკი | 17 | 2 | 3 | 12 | 15-33 | 9 |

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა





რევაზ ჭანტურიასა და გიორგი ქობელაშვილის გოლები



ნუგზარ სუარიძის ფოტოები

# თავზემოთ ვერ ახტები

**III შესარჩევი ჯგუფი**

12 იანვარი, სპორტის სასახლე

**საქართველო-რუმინეთი 24:34**

საქართველო: თევზაძე, სამყურაშვილი; რუსია (8), გელაშვილი (5), ჭანტურია (4), ქობელაშვილი (4), ნივნივაძე (2), კობახიძე (1), კირილოვი, ბოყოჩაძე, ტალახაძე, ყიფიანი, ნიკოლაიშვილი

რუმინეთი: ლაუფჩაკი, პოპესკუ; მაზილუ (8), სადოვიაკი (7), ჟურკა (4), ტიმოფტე (4), კოზმა (3), იაკობი (2), პეტრაი (2), შანია (2), ნოვანკი (1), სტავროსიტუ (1), ბორიცა, ტომა

მსაჯები: ურმო სიცი, ტომას ჰეინლა (ესტონეთი)

დელეგატი: ვასილ ფეგერი (უკრაინა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 102-72 | 6 |
| ლატვია | 3 | 3 | 0 | 0 | 101-73 | 6 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 72-99 | 0 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 73-104 | 0 |

14 იანვარი

**რუმინეთი-საქართველო**

**ლატვია-ბულგარეთი**

*პირველი გვერდიდან*

მესამე წუთზე ჩვენებმა მშვენიერი მარაო გაშალეს - **ქობელაშვილმა** მარცხენა კუთხიდან დაიწყო და ბურთი ჭანტურიამდე ჩავიდა, მაგრამ, რეზომ მეკარეს ვერ აჯობა. ლატვიასთან გარემარბებამდე ბურთი არ მიდიოდა, ეს კი, პირველ რიგში ინსაიდების საქმეა. **შამია კობახიძემ** ამჯერად ზუსტად მიაწოდა ჭანტურიას და მასაც კარის დალაშქვრის შანსი გაუჩნდა. სამწუხაროდ, კობახიძისთვის ეს მომენტი პირველ ტაიმში უკანასკნელი კარგი სვლა იყო, მეორე - ტაიმში კი ერთი გოლი შეაგდო. მამიას არც წინა მატჩში გამოუჩენია თავი და ამიტომ გასაკვირია, რატომ ენდო **მერაბ მეტრეველი** კიდევ ერთხელ. უპრიანი იქნებოდა მის ნაცვლად თავიდანვე **ლევან გელაშვილს** ეთამაშა, რაც თავიდანვე ოპტიმალურ შემადგენლობას მოგვცემდა.

როცა ასეთი განლაგება მივიღეთ, საქართველოს ნაკრებმა სამბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ ანგარიშიც გაათანაბრა. ნივნივაძე მშვენივრად ანაწილებდა ბურთს, გოლიც გაიტანა და შვიდმეტრიანიც "აიკიდა", გელაშვილი ჩვეულებრივ აქტიური იყო და რამდენჯერმე მნიშვნელოვანი ბურთი შეაგდო, **გიორგი ქობელაშვილი** კი საწყის წუთებში ქართველთაგან ყველას სჯობდა და ოთხი გოლიდან სამი მის ანგარიშზე იყო. მას თანდათანობით **რეზო ჭანტურიამაც** აუბა მხარი.

**ვლადიმერ რუსიამ** პირველი გოლი მეთხუთმეტე წუთისთვის გაიტანა. მერე და მერე ვლადიმერმა გამოასწორა თამაში და 8 გოლიც დაუგროვდა, მაგრამ აშკარაა, რომ ის ხშირ შემთხვევაში ფრთხილობს - არ ავლენს ლიდერის თვისებებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გუნდისთვის. სამწუხარო რეალობაა, რომ შორიდან ძლიერ დარტყმას რუსიას გარდა ვერავინ ახერხებს ჩვენს ნაკრებში. ერთი-ორჯერ გელაშვილმა კი გაიტანა, მაგრამ მასზე, როგორც ძლიერ მსროლელზე აქცენტი არ კეთდება. ამის გამო მეტოქის დაცვა ცდილობს გელაშვილს ზონასთან ახლოს დახვდეს და გარღვევაში შეუშალოს ხელი, რუსიას კი ზონასთან მიახლოებაში უშლიდნენ ხელს და ამის გამო ერთი რუმინელი 9-მეტრიან საჯარიმო ზონასთან იყო ამოწეული. მის გვერდით ცენტრში ერთი რუმინელიც იდგა და გამოდიოდა, რომ სტუმრები აქტიური, 4+2 სისტემით იცავდნენ თავს.

ასეთ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუნდურ, ურთიერთშეთანხმებულ და კომბინაციურ თამაშს, სადაც მთავარი როლი აკისრიათ ხაზისა და კუთხის მოთამაშეებს: კუთხეები სისტემატურად უნდა ჩარბოდნენ ზონის გასწვრივ, რასაც მეტნაკლები წარმატებით აკეთებდა ქობელაშვილი, ხოლო ხაზი კი ბლოკებს უნდა აყენებდეს - ეს ხაზზეც უნდა შეძლოს და პერიმეტრზეც, რათა გუნდის დამრტყმელ ძალას მეურვე ჩამოაცილოს.

ქობელაშვილზე ბევრჯერ დავწერეთ და გავიმეორებთ, რომ მისი ასაკისა და ჯანმრთელობის ფონზე (მუხლის ტრავმა) კარგად ითამაშა. მართალია, რუმინელებთან მეორე ტაიმი ჩააგდო და შეცდომებს უხშირა, მაგრამ მასთან სამდურავი ნაკლებად გვაქვს. აი, ხაზის მოთამაშეზე კი ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერაფერსაც ვერ აბამდა თავს.

ბელარუსი **სერგეი კირილოვი** ახლახან გააქართველეს - იმ იმედით, რომ ნაკრებს დიდად შეეწეოდა. ჩვენ არ გვინახავს ლატვიაში მისი თამაში, თუმცა ვნახეთ ლატვიელებთან თბილისური შეხვედრა და გამოვთქვით ეჭვი, რომ ის საშუალო დონის მოთამაშეა. საბოლოო დასკვნისთვის დრო დავიტოვეთ და ეს დრო შესაძლო იყო ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე გაწელილიყო, მაგრამ აღარ მოვიცდით და ვიტყვით, რომ კირილოვი სუსტი ხელბურთელია, მისი გაქართველება კი შეცდომა იყო. ის ვერც შეტევაში იჩენს ფხას, ბურთის დაჭერა უჭირს, ვერც პოზიციას ირჩევს ზუსტად, ორთაბრძოლებშიც მარცხდება და დაცვაშიც მოისუსტებს - ხშირად პოზიციურად ცდება (მეტოქის ხაზის მოთამაშე მეტწილად მის ზურგსუკან ილებს პასს).

წარმოუდგენელია, სერგეიმ მთელი მატჩი ლამის შეუცვლელად ითამაშა და ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა, მწვრთნელი კი ჯიუტად ენდობოდა - ეს მნიშვნელოვანი შეცდომა მგონია.

ცხადია, მეტრეველი ხვდებოდა, რომ მარტო კირილოვზე დაყრდნობა არ შეიძლება და ამიტომაც უწყვილებდა მას **ალექსანდრე ბოყოჩაძეს**, რომლის დღევანდელი ფიზიკური კონდიციებიდან გამომდინარე, ხაზზე თამაში უპრიანიც კი იყო - ნამდვილად აჯობებდა, კირილოვის ნაცვლად მას რომ ეთამაშა, ერთი ტაიმი მაინც. საერთოდ ბოყოჩაძეს გუშინ დიდად არ ენდნენ, მაგრამ რატომღაც პირველ ტაიმში, ჯერაც გაუხურებელს, პენალტის დარტყმა ანდეს - დაუწერელი კანონია, თამაშში შეუსვლელად პენალტი არ უნდა დაარტყა. ალეკომ ვერ გაიტანა და ანგარიშში სხვაობა ვერ შეცვალა.

პირველი ტაიმის მეთხუთმეტე წუთამდე 2-3 ბურთს ვაგებდით. შემდეგ, როცა ოპტიმალური შემადგენლობა გავიდა მოედანზე, ანგარიში გათანაბრდა. წინ გასვლაც შეგვეძლო, მაგრამ ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა **ომარ ყიფიანმა** ვერ გაიტანა, მერე კი რიცხვმრავლობაში ვერ ვივარგეთ და აქვე მივილეთ ორი ბურთი. პირველი ტაიმი 15:18 წავაგეთ.

რუმინელთა შეტევებზეც ვთქვათ - ძალიან სწრაფად და ტექნიკურად უტევდნენ - კომბინაციებსაც ხლართავდნენ და შესანიშნავად გადიოდნენ თავისუფალ ზონებში. **შოთა თევზაძემ**, რომელიც ამჯერადაც კარგად იდგა კარში, რამდენიმე ბევრი ბურთი კი მოიგერია, მაგრამ ბევრსაც ვერ შესწვდა.

რუმინელთა სისწრაფისა და ათლეტიზმის შერწყმა თვალსაჩინოა - ამ გუნდს ნამდვილად შეუძლია ევროპაში სერიოზული მიზნების დასახვა. აშკარაა, რომ ყველა რგოლში ძლიერი მოთამაშეები ჰყავს და გრძელი სათადარიგო სკამიც - ვისაც კი არ ენდო რუმინელთა მწვრთნელი, ყველამ გაამართლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამთამაშებელი **ვიორელ მაზილუ**, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა და მარჯვენა შუამარბი **რარეშ ჟურკა** - 4 გოლი, - ესენი გუნდის ლიდერები არიან. 7 ჯერ წარმატებით აილო მეტოქის კარი მარჯვენა გარემარბმა **მარიუს სადოვიაკმა**, რომელიც შეცვლაზე შევიდა.

8 ბურთი გაიტანა რუსიამაც, მაგრამ მეორე ტაიმში მისი გარჯის კოეფიციენტი დაეცა, ისევე, როგორც სხვა ქართველებისა, თუმცა არც სათამაშო სტილი შეცვლილა და ესეც არის წარუმატებლობის მიზეზი. ლატვიასთან თამაშის შემდეგ ორიოდ კომბინაციის დამუშავება კი უნდა მოესწროთ. ცუდია, მაგრამ რეალობაა - საქართველოს ნაკრებს ამ კომპონენტში უჭირს. ისევე, როგორც - დაცვაში.

მიღებულია და ჩვენც მივმართავთ შემდეგ საშუალებას - დაცვაში ორ მოთამაშეს ვცვლით - **დავით ნიკოლაიშვილი** და **ომარ ყიფიანი** ენაცვლებიან გამთამაშებელს და მარჯვენა ინსაიდს. ნიკოლეიშვილი ძლიერია ფიზიკურად, მაგრამ ხშირად პოზიციურად ცდება, თუმცა კომპენსაციას ძალის ხარჯზე აღწევს. მის თამაშს კარგ შეფასებას ვერ მივცემთ, მაგრამ სხვაზე მეტი არ გაუფუჭებია და კვლავაც შეიძლება ენდოს კაცი დაცვაში. უფრო მეტი მოეთხოვება ომარ ყიფიანს - მისი ზონიდან უფრო ხშირად გადიოდა გოლები, გარღვევასაც ახერხებდნენ რუმინელები და ამ ზონის სისუსტის გამო კუთხის მოთამაშესაც ეძლეოდა თავისუფლად შეხტომისა და კარის დალაშქვრის შანსი. სადოვიაკის 7 ბურთიც ამის დასტურია.

მეორე ტაიმის წვრილად განხილვას აღარ მივყვებით. დაღლილობამ იჩინა თავი: პირველი 15 წუთი კიდევ არაგვიშავდა, ერთხელ ანგარიშიც გავათანაბრეთ (19:19) და ერთხელ წინ გასვლის შანსიც მოგვეცა, გავიბრძოლეთ, მაგრამ მეორე 15 წუთი აშკარად ჩავაგდეთ - ჯამში კი 10-ბურთიანი დეფიციტიც მივიღეთ.

წინსვლა გვაქვს. ეს იმიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო გამართული ტაქტიკით ვეთამაშეთ ლატვიაზე ძლიერ გუნდს და რომ არა ფიზიკური გადაღლა, სხვაობა ამხელა არ იქნებოდა.

საპირისპირო რომ ვამტკიცოთ, ანგარიშს უნდა დავეყრდნოთ, თან ისიც ვთქვათ, რომ ზოგჯერ მსაჯები საჩვენოდ უსტვენდნენ. ასეთი ეპიზოდები მართლაც იყო - განსხვავებით ლატვიის მატჩისგან.

სამწუხაროა, მაგრამ ჩვენთვის **დათუკიშვილის, კალანდაძისა** და **თურქიას** დანაკლისი ძალიან ბევრს ნიშნავს. ამ ციკლში მათი იმედი ველარ გვექნება და ისევ მომავალ დროებას უნდა ველოდოთ. იქამდე კი ახალგაზრდების დავაჟკაცებაზე ზრუნვაა საჭირო. წინ კიდევ სამი მატჩია, ალბათ, ახალგაზრდებს უფრო თამამად უნდა ენდოს მწვრთნელი, თუმცა არა იმ გათვლით, რომ მოგება-წაგებას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს - ბულგარელებთან მოგებაზე ფიქრი აუცილებელია და ეს უნდა შევძლოთ. პესიმიზმში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ბალკანელები ხელწამოსაკრავები არ უნდა იყვნენ. გასამარჯვებლად სრული მობილიზება იქნება საჭირო.

**ზვიად შათირიშვილი**

## თამაშის შემდეგ
## ქანცგაწყვეტილები

სპორტის სასახლეში, რაღა თქმა უნდა, გულგატეხილობა სუფევდა. მიუხედავად იმისა, რომ დანა პირს არ უხსნიდათ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი და ვეტერანი ხელბურთელი ამბერკი ტაბიძე კომენტარებს არ დაგვზარდნენ.

**მერაბ მეტრეველი:**

- დღეს ძალები არათანაბარი იყო. რუმინელებს ჩვენზე უკეთესი გუნდი ჰყავთ და გაიმარჯვა უფრო ძლიერმა. პირველ ტაიმსა და მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში კარგად გამოვიყურებოდით, დაცვაში მაქსიმალურად მობილიზებულები ვიყავით და შეტევაშიც არა გვიშავდა. თუმცა, ბოლოს თავი იჩინა მოკლე სათადარიგოთა სკამმა, რის გამოც გუნდი დაიღალა, შეცდომებს ვუხშირეთ და წავაგეთ.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო ისიც, რომ გვაკლდა სამი ლიდერი - სერგო დათუკიშვილი, გარი თურქია და ტიტე კალანდაძე. ამას გარდა, ვერც ტრავმირებული რატი მსხვილიძე დაგვეხმარა. გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ მათი მოედანზე ყოფნის შემთხვევაში, რუმინელებს აუცილებლად მოვუგებდით, მაგრამ კარდინალურად განსხვავებულ, უკეთეს თამაშს ნამდვილად ვაჩვენებდით.

**- როგორც გავიგეთ, ბულგარეთთან მატჩის შემდეგ, ჯემალ ბარამიძემ სამწვრთნელო შტაბი დატოვა. რა იყო ამის მიზეზი?**

- ბარამიძემ ჯერ კიდევ ლატვიასთან მეორე მატჩის წინ თქვა, რომ თუ წავაგებდით, ნაკრების სამწვრთნელო შტაბს დატოვებდა და ახალგაზრდებს დაუთმობდა გზას. ჯემალი სიტყვის კაცია და მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. მოგეხსენებათ, ჩემი კიდევ ერთი თანაშემწე ირაკლი კეკელიძე დისკვალიფიცირებული იყო და ამიტომ, რუმინეთთან მატჩში სერგო დათუკიშვილი დამეხმარა. რთული ტრავმის მიუხედავად, სერგო მაინც ჩამოვიდა და გუნდს კაცურად დაუდგა გვერდით.

**- შემდეგი მატჩებისგან რას ელით?**

- წინა შეხვედრების გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ და რუმინეთთან მეორე შეხვედრაში დღევანდელზე გაცილებით უკეთესი თამაში უნდა ვაჩვენოთ. ბოლო ორ მატჩში კი ბულგარელებთან მხოლოდ და მხოლოდ მოგებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**ამბერკი ტაბიძე:**

- საქართველოს ნაკრებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი კი გაიღო, მაგრამ კლასით უფრო მაღლა მდგომ მეტოქესთან ვერაფერი გააწყო. ლატვიასთან მატჩისაგან განსხვავებით, დღეს გუნდმა საწყისი 40-50 წუთი უფრო კარგად ჩაატარა, მაგრამ ბოლოს თავი იჩინა დაღლილობამ, რასაც მოჰყვა ათბურთიანი სხვაობით მარცხი. კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა მეტოქე ფიზიკურად შენზე ძლიერია. ძირითადად, სწორედ დაღლილობა იწვევს ბურთის დაკარგვას, არასწორ სროლას, შეცდომებს დაცვასა თუ შეტევაში. დათუკიშვილი, კალანდაძე, თურქია და მსხვილიძე რომ გვყოლოდნენ, გაცილებით დიდი არჩევანი გვექნებოდა, მეტოქე ვერც ფიზიკურად დაგვჩაგრავდა და ვერც კლასით.

**- საქართველოს ნაკრებიდან ვის გამოარჩევდით?**

- რამდენიმე ხელბურთელი ინდივიდუალურად მომეწონა, მაგრამ გვარების დასახელებისაგან თავს შევიკავებ. ყველაზე მთავარი ისაა, რომ საქართველოს ნაკრებმა გუნდური თამაში გააუმჯობესოს, რადგან ამის გარეშე წარმატების მიღწევა ყოველთვის რთულია. მჯერა, შემდეგ მატჩებში ნაკრები პროგრესს გააგრძელებს და 19 იანვარს, ბულგარეთთან მატჩში ჩვენი გუნდი ამ საკვალიფიკაციო ციკლის პირველი საშინაო გამარჯვებით გაგვახარებს.

**კობა ხატისაშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ინტერვიუ ილია ზედგინიძესთან

# ავსტრალია არ უნდა განმეორდეს!



რჩევა-დარიგებები კაპიტნისაგან

**ილია ზედგინიძესთან ჩვენი საუბრის თემა მისი ფრანგული კლუბის, "ოშის" ამბები არ ყოფილა. 3 თებერვალს პირველი მატჩი გვაქვს ერთა თასზე და ამით მსოფლიო თასისთვის მზადებაც იწყება.**

**- ილია, გუნდის კაპიტანი მოედანზე მწვრთნელიცაა. როგორ ფიქრობთ, რა უნდა შეიცვალოს საქართველოს ნაკრების თამაშში იმისთვის, რომ ჩვენი ჯგუფის ბობოლა ბინადრებს ღირსეულად ვეთამაშოთ, ნამიბია კი დავამარცხოთ?**

- პირველ რიგში, გასაუმჯობესებელია ფიზიკური კონდიციები. ამ გუნდებთან ტოლსწორად, მათ ტემპში თამაშს მხოლოდ 30 წუთი გავუძლებთ. ეს ახლა, ამ ეტაპზე, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. არგენტინას, ირლანდიასა და საფრანგეთს მთელი 80 წუთის მანძილზე უნდა გავუძალიანდეთ, არ უნდა გაგვტეხონ. საამისო გამოცდილება უკვე გვაქვს. ავსტრალიაში გამართულ მსოფლიო თასზე ინგლისთან 20 წუთის შემდეგ ანგარიში 6:6 იყო, მერე ველარ გავუძელით მათ სიჩქარეებს და რაც დაგვემართა, ყველამ ნახა. ეს ალარ უნდა განმეორდეს.

**- ტაქტიკა?**

- სამუშაო აქაც ბევრია. ერთად ყოფნა გვინდა, ვარჯიში. დაცვაში თამაში მეტნაკლებად დავალაგეთ და მგონია, კარგად გამოგვდის, შეტევისას კი ჯერაც ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი. თუმცა, ვფიქრობ, რომ უსაშველო არაფერია.

**- ახლახან ფედერალ 2-ის "ფიჟაკიდან" მეორე დივიზიონის "პოში" გადავიდა მერაბ კვირიკაშვილი. ის აქამდე ცხრა ნომერი იყო, თუმცა ათზე გადაიყვანეს. ხომ არ გინახავთ მისი თამაში?**

- არ მინახავს, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი რამ მოხდა. მერაბი ძალიან სხარტი, გონებაგახსნილი და ტექნიკური მორაგბეა. თუ მეორე დივიზიონში 10 ნომრის პოზიციაზე ხშირად ათამაშეს, გარწმუნებთ ძალიან, ძალიან გაიზრდება.

**- სხვა ქართველი მორაგბეებისგან რა ისმის კარგი?**

- მძიმე ტრავმის შემდეგ კვლავ მწყობრშია აქვსენტი გიორგაძე, გასულ უქმეებზე ითამაშა და ხვალაც, ჰეინეკენის თასზეც ძირითადშია. როგორც ვიცი, "კასტრის" მწვრთნელი აქვსენტიზე დიდ იმედებს ამყარებს.

**- უკვე ერთი თვეა, "ოშის" შემადგენლობაში არ გამოჩენილხართ. რატომ?**

- მუხლი მქონდა დაზიანებული, ნემსებს მიკეთებდნენ. ახლა უკეთ ვარ. ორშაბათიდან ვარჯიშს დავიწყებ და მალე ვითამაშებ კიდეც. რუმინეთთან თამაშისთვის მზად ვიქნები.

**- ნაკრების მწვრთნელები თვეზე მეტია, საფრანგეთში იმყოფებიან სტაჟირებაზე. ხომ არ შეხვედრიხართ?**

- ახლა სწორედ ჩემთან არიან. ორი დღე აქ დარჩებიან, მერე კი კასტრში გაემგზავრებიან. ნაკრების სამომავლო გეგმებზე ლაპარაკი ჯერ ვერ მოვასწარით. ვარჯიშიდან რომ მოვბრუნდები, დავსხდებით და დეტალურად განვიხილავთ ყველაფერს. წლევანდელი წელი ქართული რაგბისთვის უმნიშვნელოვანესია - ღირსეულად უნდა დაწყება და ჩამთავრებაც!

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ჭადრაკი



მაკა ფურცელაძე

პაულ კერესის მემორიალი

# ფურცელაძე ჩემპიონია

ტალინში დასრულდა დიდი ესტონელი მოჭადრაკის **პაულ კერესის** მემორიალი. C ჯგუფში, სადაც 7 ქალბატონთან ერთად სამი მამაკაციც მონაწილეობდა, პირველი ადგილი ქართველმა მოჭადრაკემ, 18 წლის **მაკა ფურცელაძემ** დაიკავა.

მაკამ ბოლოსწინა, მერვე ტურში უშუალო კონკურენტთან, ესტონელ **სერგეი ჟუკინთან** თეთრებით ქულა გაიყო და ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. ბოლო ტურში ფურცელაძემ მაინც მოსაგებად ითამაშა და გამოუვიდა კიდეც - ესტონელი **მონიკა ციგანოვა** შავებით დაამარცხა და ტურნირი შესანიშნავი შედეგით დაასრულა - 7.5 ქულა ცხრიდან! ცხადია, მეორე ადგილზე ესტონელი **იგორ შვირიოვი** გავიდა 6 ქულით, მეორეზე - სერგეი ჟუკინი - 5.5.

ძალიან ცუდად ჩაატარა ტურნირის მეორე ნაწილი **მალხაზ სულაშვილმა**, რომელიც A ჯგუფში თამაშობდა: ბოლო ხუთი ტურიდან მხოლოდ ნახევარი ქულის შემატება მოახერხა, სამი ქულით დაასრულა ასპარეზობა და ბოლო, მეათე ადგილზე გავიდა. სამი ქულა აქვს ლატვიელ დიდოსტატ **იანის კლოვანსს**, მაგრამ კოეფიციენტი ქართველზე უკეთესი აღმოაჩნდა. პირველი ადგილი უკრაინელმა **გიორგი ტიმოშენკომ** (2563) დაიკავა 6 ქულით.

**ზვიად შათირიშვილი**

## სუმო

# საქმე ცუდად მისდის



ქართველ სუმოისტ **ლევან ცაგურიას** ცუდი დროება უდგას. კოკაიმ კომუსუბის ტიტულის დაკარგვის შემდეგ იანვრის ბაშოც შემაშფოთებლად დაიწყო და შედარებით სუსტ მეტოქეებთანაც ველარ ყოჩაღობს. გუშინ კოკაიმ მეშვიდე მაეგაშირა **ფუტენოსთან** წააგო, ბალანსი კი 2-4 გაუხდა. ბაშოს კვლავ მეთერთმეტე მაეგაშირა **ტამაკასუგა** ლიდერობს დაუმარცხებლად. დღეს კოკაის მეტოქე იქნება მეოთხე მაეგაშირა **ჰომაშო**, რომელთანაც ქართველს მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს (გამარჯვება) გამართული.

**თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) მაკუშიტას დივიზიონში მან იორიკირის ილეთით წააგო **კაძაფუძანთან**. სამაგიეროდ ამავე დივიზიონის ახალბედა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** იმარჯვა, მან აქამდე დაუმარცხებელ **კოტონომინეს** მოუგო. გაგამარუს ბალანსია 1-2, ხოლო ტოჩინოშინის - 2-1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

VI დღე: კოკაი - ფუტენო 0:1 (ჰიკიოტოში), ასაშორიუ - კიოკუტენჰო 1:0, კოტოოშუ - ამინიშიკი 1:0, ტოჩიაძუმა - დეჯიმა 1:0, კაიო - ტოკიტენკუ 1:0, ჩიოტაიკაი - კისენოსატო 1:0, ჰაკუჰო - როჰო 1:0, კოტომიცუკი - მიაბიამა 1:0, კოტოშოგიკუ - ამა 1:0, ჰომაშო - ტოჩინონადა 1:0, კასუგაო - ტაკამისაკარი 1:0, ტოიონოშიმა - ასასეკირიუ 1:0, ტამაკასუგა - კაკიძოე 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 6-0: ტამაკასუგა (მაეგაშირა 11); 5-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ტოიონოშიმა (მ 9), ტამანოშიმა (მ 14); .. 2-4: კოკაი (მ 5).

VII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი - ჰომაშო, ასაშორიუ - ამა, ტოჩიაძუმა - მიაბიამა, კაიო - კოტომიცუკი, ჩიოტაიკაი - კიოკუტენჰო, ჰაკუჰო - ტოკიტენკუ, კოტოოშუ - დეჯიმა, როჰო - კისენოსატო, ამინიშიკი - კოტოშოგიკუ, ტაკამისაკარი - ტოჩინონადა, ტამაკასუგა - ტოსანოუმი

## სამბო

# პრეზიდენტი მოსაძებნია

**ბადრი ბინაძე** ოფიციალურად გადადგა სამბოს ფედერაციის პრეზიდენტობიდან - მან გუშინ აღმასკომს გაუგზავნა განცხადება, რომელიც მყისვე დააკმაყოფილეს. ბინაძესთან ერთად თანამდებობა ფედერაციაში მისივე მოყვანილმა ვიცე-პრეზიდენტმა **კობა კურდღელაშვილმაც** დატოვა. აღმასკომმა ახალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად 8 თებერვალი დაადგინა, იქამდე კი ფედერაციას გენერალური მდივანი **სოლომონ ჩიტაშვილი** უხელმძღვანელებს. ჩიტაშვილი **თენგიზ არაბულთან** და **ანზორ ზურაბაულთან** ერთად ყრილობის მოსამზადებლად შექმნილ სამკაციან ჯგუფშიც შედის.

ამაზე ოფიციალურად არავინ საუბრობს, მაგრამ მოარული ხმებით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე იმ 10 ათასი ლარის გამო გადადგა, რომელიც საპრემიო ფონდის შესავსებად ვერ იშოვა, თუმცა, რეალურად, მისი და სამბისტების გზები კარგა ხნის წინ გაიყარა. სპორტსმენები დიდი იმედებით მოყვანილი პრეზიდენტის ინერტულობის გამო უკმაყოფილებას ადრეც გამოთქვამდნენ, დეკემბერში უპრეზიდენტოდ ჩატარებულ სეზონის შემაჯამებელ სხდომაზე კი მიუკიბმოუკიბავად გადაუკრეს - თუ არ უნდა პრეზიდენტობა, გადადგესო. ჩანს, ბინაძესაც არ უნდოდა და გადადგა, მაგრამ საკითხავია, თავიდან რატომ მოვიდა?

ბინაძის სავარაუდო შემცვლელებზე ჯერ არ საუბრობენ, რადგან კონკრეტული კანდიდატები გამოკვეთილი არაა. პრეზიდენტობაზე დასათანხმებლად ამჟამად მოლაპარაკება რამდენიმე კაცთან მიმდინარეობს და იმედოვნებენ, რომ რომელიმეს მაინც დაიყოლიებენ.

როგორც ნაკრების თავკაცმა **ოლეგ იაძემ** განაცხადა, ახალი პრეზიდენტის ძირითადი ამოცანა იმ 30-40 ათასი ლარის შოვნაა, რომელიც ფედერაციას დამატებითი საჭიროებებისთვის სჭირდება - ოფისის ხარჯების, შიდა ტურნირების ჩასატარებლად, მწვრთნელ-სპორტსმენთა თუ მსაჯთა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად და სხვა.



ბადრი ბინაძე

ფედერაცია თავისი ძირითადი სპონსორისგან 186 ათას ლარს იღებს, აქედან 15 ათასი სპორტული ეკიპირების შეძენაზეა გათვლილი, 20 ათასი - საპრემიო ფონდზე, დანარჩენი - ჭაბუკების და ახალგაზრდების ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე მონაწილეობის, 4 შეკრების მოსაწყობად და 2 საერთაშორისო ტურნირში გამოსვლისათვის. ოღონდ ეგაა, შარშან სპორტსმენებმა ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე იმდენი მედალი მოიპოვეს, 20-ათასიანი საპრიზო ფონდი არ ეყოთ!

სპონსორის თანხებს სპორტის დეპარტამენტის დაფინანსებაც ემატება, რაც ეროვნული ნაკრების ევროპისა და მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობისთვის და იქ წასვლამდე თითო შეკრებისთვის იხარჯება.

პრინციპში, ახალ პრეზიდენტს არც ისე ძნელი ამოცანა რჩება გადასაჭრელი, მაგრამ დაიყოლიებენ კი ვინმეს? საქართველოში ხომ სპონსორობას არც კანონმდებლობა აძლევს სტიმულს და არც ბიზნესმენები იკლავენ თავს მაინცდამაინც.

**ირაკლი თავაძე**

# კონკურსის ლაურეატები



სპორტის ცნობილი მკვლევარის, პროფესორ ავთანდილ ციბაძის სახელობის კონკურსი სპორტულ ლიტერატურაში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით 2002 წლიდან ტარდება. ამ კონკურსმა უკვდავყო გამოჩენილი მეცნიერის და პედაგოგის ხსოვნა, სტიმული მისცა სპორტის და, კერძოდ, ოლიმპიური იდეალების პროპაგანდას საქართველოში.

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეჯამდა 2006 წლის კონკურსის შედეგები. ცალკეულ ნომინაციებში გამარჯვებულად სცნეს სეოკ-ის აღმასრულებელი დირექტორის დავით კიწნურაშვილის წიგნი "ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე"; საერთაშორისო დიდოსტატის, საჭადრაკო კომპოზიციაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის დავით გურგენიძის ნაშრომები - "პირველი საჭადრაკო ნაბიჯები" და "ვისწავლოთ ენდშპილი"; სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორის თემურ მიქიაშვილის სახელმძღვანელო - "ადაპტური სპორტის ისტორია და სპორტული სამედიცინო კონტროლი"; ვეტერანი ჟურნალისტის გარუნ აკოფოვის - "კალათბურთი"; საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილის წიგნი - "გივი კარტოზია"; ქეთევან ბერიძის და პროფესორ ზურაბ კახაბრიშვილის - "სპორტული შრომისუნარიანობის აღდგენის თანამედროვე პრინციპები და საფუძვლები"; სპორტის აკადემიის ასისტენტ-პროფესორის თამაზ მჭედლიშვილის - "სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი"; ამავე აკადემიის ასოცირებული პროფესორის გივი დვალის - "სპორტული ფსიქოლოგიის საფუძვლები"; ვეტერანი სპორტსმენ ჯემალ კვანტალიანის - "კრივი"; ჟურნალისტ ვაჟა დანელიას - "კვარცხლბეკიდან დანახული სამშობლო"; სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორის გივი ყირმელაშვილის რამდენიმე ნაშრომის კრებული.

გუშინ, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში კონკურსის ლაურეატებს გამარჯვება მიულოცა და შესაბამისი დიპლომები გადასცა სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა. თითოეულმა გამარჯვებულმა იქვე მიიღო საქართველოს ოლიმპიური ფონდის მიერ დაწესებული ფულადი პრემია.

## თორნიკე (ქუჩუკი) სანებლიძე

85 წლისა გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა თაობების აღმზრდელი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორი თორნიკე (ქუჩუკი) სანებლიძე.

თ. სანებლიძე ყმაწვილობიდანვე ეზიარა ქართული ტანვარჯიშის სახელოვან ტრადიციებს. გახდა სპორტის ოსტატი, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი, რესპუბლიკის ნაკრებში - სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი. გამოდიოდა სსრ საკავშირო ნაკრებში. პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1945 წელს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ტანვარჯიშის კათედრაზე, 1964 წლიდან კი 10 წელიწადი იყო დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანი. როგორც გამორჩეული სპეციალისტი 1961-1963 წლებში მივლინებული იყო ინდოეთში და მონაწილეობდა ეროვნული ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. ინდოეთიდან დაბრუნებულმა კვლავ მშობლიურ ინსტიტუტში განაგრძო მოღვაწეობა, გახდა დოცენტი, შემდეგ პროფესორი. იმუშავა კათედრის გამგედ, კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანად. შექმნა რამდენიმე სახელმძღვანელო. ნაყოფიერი საქმიანობისთვის მიენიჭა ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება, იყო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, მასობრივი სპორტული ზეიმების დადგმისთვის მიილო ხელოვნების დამსახურებული მუშაკის წოდება, დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ორდენებით და მედლებით, ბოლოს ღირსების ორდენით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ჯეროვნად აფასებდა გამოცდილი პედაგოგის ღვაწლს, ამიტომაც იყო, რომ იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ამ უმაღლეს სასწავლებელში.

აკადემიის თანამშრომლები და ყოფილი სტუდენტები არასდროს დაივიწყებენ თ. სანებლიძის დამსახურებას და მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

*საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია*

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერი. გიორგი ცინცაძე

## ალბათ სკამზე დაიწყებს

გიორგი ცინცაძეზე სამი ამბავი გვაქვს: ბალტიის "ოლსტარის" შედეგები, ეფექტურად ჩატარებული მატჩი ლატვიის "ვალმეირასთან" და სულ ბოლოს - ქართველი გამთამაშებლის ინტერვიუ, რომელიც "ტარტუ როკის" ვებ-საიტზე გამოქვეყნდა.

დავიწყოთ ვარსკვლავთა შეხვედრით, რომელიც 3 თებერვალს ვილნიუსში გაიმართება. ბალტიის თასის ოფიციალურ საიტზე (www.bbl.net) მიმდინარე გამოკითხვის მიხედვით, გიორგის 8172 ხმა და ძირითადად ხუთეულში მოხვედრის მცირე შანსი აქვს. საქმე ისაა, რომ "ჟალგირისის" უკანახაზელი **მარკო პოპოვიჩი** ქართველს ორიათასზე მეტი ხმით უსწრებს - 10619. პირველია "რიკის" მსროლელი **კურტის მილაგე** - 11141 ხმა. "ოლსტარის" ლეგიონერთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში პირველ და მეორე ნომრად სწორედ მილაგე და პოპოვიჩი იქნებიან, ხოლო თუ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ცინცაძემ მატჩი სათადარიგოთა სკამზე უნდა დაიწყოს. 3 თებერვალს ერთმანეთს ლეგიონერთა და ბალტიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან.

ბალტიის ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე "როკმა" მეორე მატჩიც მოიგო - შინ "ვალმეირა" 110:80 დაამარცხა. ესტონური "როკის" რიგებში ყველაზე ეფექტური ქართველი უკანახაზელი იყო: 31 წუთში 4-4 ორი და სამქულიანი ტყორცნიდან ერთადერთი სამიანიააცილა, 19 ქულას 5 პასი, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიამატა. "ზუს" (გიორგის მეტსახელი) მარგი ქმედების კოეფიციენტი 27-ს გაუტოლდა. ცინცაძეს 19 ქულა სნაიპერობისთვის არ ეყო, გერტ კულმაუმ 22 ჩააგდო. აქვე გეტყვით, რომ გიორგი ბალტიის თასის საუკეთესო მეპასეა - საშუალოდ 4.8 გადაცემა.

**ბალტიის ლიგა, VII-XIV ადგილები. 2 ტურის შემდეგ.** 1. როკი - 2 მოგება, 2. კალევი - 1 / 3. ნევეჟისი - 1, 4. ნეპტუნასი - 1, 5. პანევეჟისი - 1, 6. ვალმეირა - 1, 7. საკალაი - 0, 8. ატლეტასი - 0.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ზოგჯერ ბალტიის ლიგაშიც ჩხუბობენ. 5-გიორგი ცინცაძე

## მინდა NBA, მინდა ესპანეთიც



**ამ სეზონში "ტარტუ როკი" წინასთან შედარებით უკეთესად გამოიყურება, რაც გარკვეულწილად ქართველი გამთამაშებლის, გიორგი ცინცაძის დამსახურებაა. ბალტიის თასზე მას საშუალოდ 31.1 წუთში 12.7 ქულა, 3.9 მოხსნა, 4.8 პასი და 2.1 ჩაჭრა აქვს.**

**- ესტონეთში როგორ მოხვდი?**

- წინა სეზონში მოსკოვის "დინამოში" ვთამაშობდი და ზაფხულში ამ გუნდთან კონტრაქტის ვადა ამომეწურა. ესტონური "ტარტუდან" შემოთავაზება მალევე მივილე და თანხმობისთვის ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია. მქონდა სხვა წინადადებაც, მაგრამ ახლა ნამდვილად არ ვნანობ, რომ ესტონეთში გადმოსვლა ვამჯობინე. რუსეთში 3 წელი გავატარე და აქაურ სიცივესთან შეგუება არ გამჭირვებია. ხალხიც მეგობრულია და თავს ისე ვგრძნობ, როგორც საქართველოში.

**- საკუთარ სტატისტიკას ყურადღებას რამდენად აქცევ?**

- ნაკლებად. ვიცი კალათბურთელები, რომლებიც საკუთარ მონაგარს ყოველდღიურად ითვლიან და ციფრების გაზრდაზე ზრუნავენ. სტატისტიკას მეც ვეცნობი, მაგრამ ეს არანაირ გავლენას არ ახდენს ჩემს თამაშზე.

**- ბალტიის თასზე რა აზრის ხარ?**

- ძლიერი ლიგაა. ძლიერ მტეოქეებთან თამაში ჩემთვისაც სასარგებლოა და მთლიანად "როკისთვისაც". ვიცოდი, რომ ბალტიის თასზე მაღალი დონის კლუბები ასპარეზობდნენ და "ტარტუ როკში" გადმოსვლის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო. ვფიქრობ პირველ ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვავლინეთ - ზოგიერთი მოსაგები მატჩი წავაგეთ. მაგალითისთვის კაუნასში "ატლეტასთან" შეხვედრაც გამოდგება. ვფიქრობ, ისეთ კალათბურთელებთან ერთად, როგორებიც არიან გერტ კულმიაე და ტანელ ტეინი, "როკს" დიდი პოტენციალი აქვს. ზოგიერთ ძლიერ მეტოქესთან ეს უკვე დავამტკიცეთ.

**- "ტარტუ როკი" პირველი ეტაპის შემდეგ მეორე ჯგუფში მოხვდა...**

- ჩემი ინფორმაციით, II ჯგუფის ორ საუკეთესო გუნდს ბალტიის თასის ფინალურ ოთხეულში თამაშის შანსი მიეცემა. ამისთვის დამატებითი ბარიერების გადალახვა დაგვჭირდება. ასე რომ, ყველაფერი წინაა.

**- "როკი" განთქმულია თავისი ქომაგებით.**

- ამდენმა ქომაგმა ძალიან გამაკვირვა. ასეთ მხარდაჭერას ნამდვილად არ ველოდი. საშინაო მატჩებისას დარბაზი ყოველთვის სავსეა და გულშემატკივრები ხშირად გასვლით შეხვედრებშიც დაგვყვებიან. მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

**- მწვრთნელ ალგირდას ბრაზისს როგორ დაახასიათებ?**

- საინტერესო და ორიგინალური პიროვნებაა, რომელიც ყველა კალათბურთელის ბოლომდე გახსნას ცდილობს. ალგირდასი მოთამაშეებს არანაირი კრიტერიუმით არ ახარისხებს, რაც გუნდში მეგობრულ ატმოსფეროს ქმნის. მასთან მუშაობა სასიამოვნოა.

**- ორი წლის, წინ ცსკა-ში თამაშობდი. ამ გუნდმა შენზე რა გავლენა იქონია?**

- რუსეთში დიდი გამოცდილება შევიძინე. იყო დადებითი და უარყოფითი მომენტები. საინტერესო იყო მწვრთნელ დუშკო ივკოვიჩთან მუშაობა. რუსეთში დაბრუნებაზე არ ვფიქრობ, მაგრამ თუ ასე მოხდა, ისეთ კლუბში არ წავალ, რომელსაც რუსი სპეციალისტი ხელმძღვანელობს.

**- ესტონეთში რამდენ ხანს დარჩები?**

- "როკთან" ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს. სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გავხდები. ტარტუელებს ხელშეკრულების გაგრძელება ჯერ არ შემოუთავაზებიათ, ამიტომ მიჭირს მომავლაზე საუბარი.

**- თუ გაქვს საკალათბურთო ოცნება?**

- NBA-ში მოხვედრაზე ვოცნებობ. მინდა, გარკვეული დროით ესპანეთშიც ვითამაშო.



## ზაზა ისევ მეხუთეა

გამოქვეყნდა NBA-ს ვარსკვლავთა მატჩის გამოკითხვის მორიგი საშუალედო შედეგები. **ზაზა ფაჩულია** აღმოსავლელ ცენტრთა შორის კვლავ მეხუთეა. ხმის მიცემის პროცედურა 21 იანვარს შეწყდება.

აღმოსავლეთი. **ფორვარდები:** ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) - 1 774 281 ხმა, კრის ბოში (ტორონტო) - 684 620; **უკანახაზელები:** დუეინ უეიდი (მაიამი) - 1 371 850, ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) - 1 002 709; **ცენტრები:** შაკილ ონილი (მაიამი) - 1 143 904, დუაით ჰოვარდი (ორლანდო) - 978 007, ბენ უოლასი (ჩიკაგო) - 519 871, ალონზო მურნინგი (მაპამი) - 205 832, ზაზა ფაჩულია (ატლანტა) - 165 178, ენდრიუ ბოგუტი (მილუოკი) - 146 027...

დასავლეთი. **ფორვარდები:** კევინ გარნეტი (მინესოტა) - 1 068 168, ტიმ დანკანი (სან ანტონიო) - 1 025 812; **უკანახაზელები:** კობი ბრაინატი (ლეიკერსი) - 1 536 556, ტრეისი მაკრეიდი (ჰიუსტონი - 1 331 511; **ცენტრი:** იაო მინი (ჰიუსტონი) - 1 775 413

ევროლიგა

## ელისმა შემონდი გაგვახსენა

ევროლიგის მეთერთმეტე ტურში **ტაირონ ელისის** "ნაპოლიმ" ნეაპოლში **შემონდ უილიამსის** ყოფილი კლუბი, "ბარსელონა" დაამარცხა - 66:64. კატალონიელთა ძლევაში საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა, ელისმა დიდი წვლილი შეიტანა: მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, 30 წუთი ითამაშა, 10 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. და რაც მთავარია - საფინალო სირენამდე 7 წამით ადრე ჩააგდო ორქულიანი, რის შემდეგაც ანგარიში 66:63 გახდა.

C ჯგუფი. 11 ტურის შემდეგ. 1. ცსკა (რუსეთი) - 10 მოგება, 2. ბარსელონა (ესპანეთი) - 8, 3. ბენეტონი (იტალია) - 6, 4. პო ოტეზი (საფრანგეთი) - 6, 5. არისი (საბერძნეთი) - 5 / 6. ფენერბაჰჩე (თურქეთი) - 4 / 7. **ნაპოლი (იტალია)** - 4, 8. ჟალგირისი (ლიტვა) - 1.

დარჩენილი მატჩები: პო ორტეზი - ნაპოლი (17 იანვარი), ფენერბაჰჩე - ნაპოლი (25 იანვარი), ნაპოლი - ბენეტონი (31 იანვარი).



ტაირონ ელისი ბარსელონასთან მატჩში

დღიური, ხუთშაბათი

## თამაშის მეორე დღე



- მალაგის "უნიკახასთან" მატჩის მეორე დილას "ოლიმპიას" ვარჯიში უმთავრესად დახარჯული ენერგიის აღდგენას ემსახურებოდა. საწვრთნელი პროცესი ორ ნაწილად გაიყო, ჯერ პაერზე ვირბინეთ, შემდეგ ტრენაჟორების დარბაზში შევედით. თითო ნაწილი 30-30 წუთს გაგრძელდა...

"პაერზე რბენაში" ქალაქის გზატკეცილზე მანქანების ხმაურში ძუნძული არ მიგულისხმია - საკალათბურთო არენა "ტივოლი" ამავე სახელწოდების ტყეპარკში მდებარეობს. სლოვენიის დედაქალაქი ლუბლიანა ისედაც ლამაზი, ამწვანებული ადგილია, ხოლო "ტივოლის" პარკი მთლად დაგავიწყებს, რომ მცხოვრებლებით გადატვირთულ ქალაქში ხარ. საკალათბურთო არენის გარდა იქ ჰოკეის, ფეხბურთისა და ხელბურთის დარბაზებია. ყველაფერი მწვანეშია ჩაფლული.

მწვანე ფერი იტალიურ "ბენეტონში" თამაშისასაც მომწონდა, მაგრამ "ოლიმპიაში" გადმოსვლის შემდეგ უფრო შემიყვარდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მწვანე მაისურები გვაცვია, გუნდის სიმბოლო დრაკონია და ჩვენც "მწვანე დრაკონებს" გვეძახიან.

წინა ორი გადატვირთული დღის შემდეგ ვარჯიშის შემდეგ თავისუფალი დრო გამომიჩნდა და სადილის შემდეგ მაღაზიებში შევიარე. საყიდელი მქონდა ჩანთა, რომლის ასარჩევად დიდი დრო არ დამჭირვებია. ახალი ჩანთით ტოტალიზატორს ვესტუმრე. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ პირველ რიგში საკალათბურთო კუშები გადავათვალიერე. ყოველ კვირას ევროლიგის მატჩებზე ვდებ ფსონს, ხან ვიგებ, ხან - ვერა. ამ ტურნირში ჩემი "ოლიმპიაც" თამაშობს, მაგრამ მის მოგებაზე ფულის დადება ერთხელაც არ მიფიქრია. მეტიც, "ოლიმპიას" თამაშის დღეს ტოტალიზატორში არ შევდივარ. ევროლიგის მატჩები ოთხშაბათ-ხუთშაბათზე ნაწილდება და ამჯერად ხუთშაბათს მომიწია ტოტალიზატორში შევლა. ფსონი შვიდივე მატჩზე ჩავედი: "დინამოს" "პროკომისთვის" უნდა მოეგო, "ოლიმპიაკოსს" "ლემანისთვის", "ნაპოლის" "ბარსელონასთვის", "პანათინაიკოს" "რომასთვის", "ხუვენტუდს" "მაკაბისთვის", "ციბონას" "პარტიზანისთვის" და ჟალგირისს" "ფენერბაჰჩესთვის", ბილეთი ლიტვის "ჟალგირისმა" "გამიტეხა" - შინ წააგო...

ლუბლიანას აკვაპარკშიც მარტოს მომიწია წასვლა, კომპანიონობისთვის ვერც ერთმა ჩემმა გუნდელმა ვერ მოიცალა.

კიდევ ორი გეგმა მქონდა. კოჭის მდგომარეობის შესამოწმებლად ექიმთან უნდა მივსულიყავი, მაგრამ მან ვერ მოიცალა. კინოთეატრში წასვლა გადავიფიქრე - დამეზარა. ბოლო დროს ცოტა გავზარმაცდი...

... გავზარმაცდი არა საკალათბურთო თვალსაზრისით, თორემ ვარჯიშსა და თამაშზე ძველებურად ბოლომდე ვიხარჯები. ძალის დაზოგვა აზრად არასოდეს მომსვლია. სპორტსმენებს ისედაც ხანმოკლე კარიერა გვაქვს და სიზარმაცე არაფერს გვარგებს.

საღამოს ინტერნეტი შევათვალიერე. "რუსთავი2-ისა" და "ბაბაჯანას" ვებ-საიტებს ხშირად ვსტუმრობ. ქვეყნის ამბებსაც ვიგებ და აქა-იქ სპორტულსაც. გული მწყდება, რომ ინტერნეტ-სივრცეში ერთი წესიერი საიტი არ არის, სადაც ქართული სპორტის შესახებ ოპერატიულად დაიწერება.

**მანუჩარ მარკოიშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ეს არის გამთამაშებელი?!

დებატები იმის შესახებ, თუ ვინ არის ყველა დროის უდიდესი ფლეიმეიქერი, გრძელდება და, ალბათ, ყოველთვის დაუსრულებელ დისკუსიად დარჩება. 80-იანი წლების მონსტრ **ჯონ სტოქტონს** სტატისტიკურად ვერც **ბობ კოუზი**, ვერც **აიზია ტომასი** და ვერც **მეჯიქ ჯონსონი** გაუტოლდებიან, თუმცა ტიტულებითა და ელემენტარული არტისტიზმით, "ლეიკერსის" ლეგენდარული ნევრი, ალბათ, მაინც ყველაზე დიდი და მასშტაბური ფლეიმეიქერი იყო.

ბოლო დეკადის გამორჩეული გამთამაშებლებიდან დიადებს **ჯეისონ კიდი** და **სტივ ნეში** უახლოვდებიან. პირველი თავიდანვე ძალიან მაგარი იყო და ჯერ კიდევ უსახურ "დალასში" ყოფნისას გამოირჩეოდა სხვების ფონზე, მერე და მერე კი, კიდი წარმატების მომტან ყველაზე მარტივ და მთავარ ფორმულად იქცა.

კიდისგან განსხვავებით, ნეში ძალიან სუსტი დამცველია, თითქმის არ მუშაობს ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოხსნისას, მაგრამ შეტევაში კანადელი სასწაულებს სჩადის.

გუშინ NBA-ში მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა და ორივეში ამ ბუმბერაზი უკანახაზელების გუნდები იღებდნენ მონაწილეობას.

დავიწყოთ ჩიკაგოში გამართული მატჩით, რომელშიც "ბულზი" კიდის "ნიუ ჯერსის" შეხვდა.

ეს იყო ჯეისონის მორიგი ბენეფისი, რომელიც მან რამდენიმე პუნქტით შეალამაზა.

კიდმა კარიერაში 82-ე სამმაგი დუბლი დააგროვა. კიდევ ერთხელ შეხედეთ, თუ მერამდენედ შეძლო ჯეისონმა ქულა-მოხსნა-პასის გასწვრივ გრაფაში მინიმუმ 10-ის დაგროვება. დიახ, და კიდი გამთამაშებელია?!

ჯეისონმა პირველ ნახევარში 20 ქულის მომხვეჭი **ბენ გორდონი** დიდი შესვენების შემდეგ ერთადერთ სამქულიანს დააჯერა და "ჩიკაგოს" პირველმა მექულემ შეხვედრა 23 ქულით ჩაამთავრა.

კიდი სეზონის დაწყებიდან დღემდე, ერთ მატჩში საშუალოდ 13.6 ქულას, 9.2 შედეგიან გადაცემასა და 8.4 მოხსნას აგროვებს. "ნიუ ჯერსიში" **ვინს კარტერი** რომ არ იყოს, კიდი სამივე სტატისტიკური მაჩვენებლით ისტრუზერფორდელთა ლიდერი იქნებოდა. მექულეობა იქით იყოს და თუნდაც ის ფაქტია ალსანიშნავი, რომ გუნდის საუკეთესო მომხსნელი მისი ფლეიმეიქერია!

კიდმა 42 წუთში მხოლოდ ორი პერსონალური შენიშვნა მიიღო და 5 სამქულიანიდან 3 ზუსტად შეასრულა.

კიდევ რა? კიდევ ის, რომ ჯეისონმა ძალიან ცუდ ფორმაში მყოფ "ნიუ ჯერსის", "ჩიკაგოსთან" ზედიზედ მეორედ 18-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილებინა და ილინოისელებს მოგება-წაგების მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუუარესა.

არიზონაში კი სამი მეოთხედის განმავლობაში "სანზის" ფანები ერთი კაცის შოუს ადევნებდნენ თვალ-ყურს.

სამი მეოთხედის შემდეგ, სტივის ანგარიშზე 20 შედეგიანი გადაცემა იყო. ნეშს არ გაუმართლა, რომ იმ მომენტისთვის მისი გუნდი 32 ქულას იგებდა და შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო. ნეშს არ გაუმართლა იმაშიც, რომ როდესაც ბოლო მეოთხედში "ფინიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დენტონიმ** იგი ორი წუთით მოედანზე შეუშვა, ამარე სტაუდმაიერმა ფარქვეშეთიდან ორი უიოლესი ტყორცნა გააფუჭა. "სანზის" ცენტრს ის ოთხი ქულა რომ აელო, სტივი 23 პასით პირად რეკორდს დაამყარებდა.

ნეში უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის ზედიზედ მესამედ (!) მოპოვების ყველაზე რეალური კანდიდატია, მის მთავარ ოპონენტად კი კანადელი ჯადოქრის მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი **დირკ ნოვიცკი** ითვლება. ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ უკეთ ჩაატარებს რეგულარულს, "სან ანტონიოდან" კი უძვირფასესის ტიტულისთვის არავინ იბრძოლებს. **პოპოვიჩის** გუნდში ბოლო დროს ვარსკვლავები ველარ ვარსკვლავობენ.

*"ნეშს იმაზე მეტი პასი ჰქონდა, ვიდრე მე ქულა"*, - ხუმრობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე "ფინიქსის" რეზერვისტი **ჯეიმს ჯონსი**, რომელმაც შეხვედრა 4-დან 3 ზუსტი შორეული სროლითა და უშეცდომოდ დაასრულა.

დიახ, კანადელი შეუდარებელი იყო და ბოლო 9 წლის განმავლობაში იგი გახდა მეორე მოთამაშე, რომელმაც ერთსა და იმავე რეგულარულში 20 და მეტი პასი მინიმუმ ორჯერ დააგროვა.

ნეშამდე ეს მიღწევა "დალასის" ამჟამინდელ თავკაცს, სიყრმეში "სან ანტონიოს" გამთამაშებელ **ეივერი ჯონსონს** ეკუთვნოდა, რომელმაც ეს შედეგი 1997/98 წლების რეგულარულში აჩვენა.

რაც შეეხება ნეშს, მისი პირადი რეკორდი 22 პასია. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი 2006 წლის 2 იანვარს, **ლარი ბრაუნის** "ნიუ იორკ ნიქსის" წინააღმდეგ შეხვედრაში მოხდა.

"კლივლენდმა" კი უმძიმესი დასავლური ტურნე "საკრამენტოსთან" მოგების მერე სამარცხვინო წაგებით გააგრძელა. **ლებრონ ჯეიმსმა** 34 ქულა კი დააგროვა, მაგრამ სხვები გაუნძრევლად იდგნენ და ნეშს ყველანაირი იმპროვიზაციის უფლებას აძლევდნენ.

მოკლედ, ნეში და კიდი. რომელი სჯობს? ალბათ, ერთ შეხვედრაში მათი ორივესი ერთად ხილვა. სხვა მხრივ კი, ორივე ბუმბერაზია.

**ჩიკაგო-ნიუ ჯერსი 83:86**

28:15, 21:20, 16:26, 18:25

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (28 ქ. 8 მ), გორდონი (23 ქ), ჰინრიხი (19 ქ. 10 პ. 2 ჩ), დენგი (4 ქ. 8 მ).

**ნიუ ჯერსი:** კიდი (23 ქ. 14 მ. 11 პ. 2 ჩ), კარტერი (18 ქ. 10 მ. 6 პ), რ. ჯეფერსონი (14 ქ. 6 მ. 3 ჩ), მური (13 ქ. 12 მ. 2 დ), ნახბარი (11 ქ. 5 მ).

**ფინიქსი-კლივლენდი 109:90**

33:26, 34:15, 24:18, 18:31

**ფინიქსი:** მერიონი (19 ქ. 11 მ. 4 ჩ), ბელი (18 ქ), ა. სტაუდმაიერი (17 ქ. 13 მ. 5 დ), ბარბოზა (16 ქ), ჯ. ჯონსი (13 ქ), კურტ ტომასი (8 ქ. 8 მ), დიაო (8 ქ. 6 პ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (34 ქ. 6 მ. 6 პ), გუდენი (11 ქ. 7 მ), ილგაუსკასი (4 ქ. 9 მ. 3 დ), ვარეჟაო (5 ქ. 7 მ).



ჯეისონ კიდი

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკის ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი* | 35 | 16 | 19 | 45.7 |
| ტორონტო | 36 | 16 | 20 | 44.4 |
| ნიუ იორკი | 37 | 16 | 21 | 43.2 |
| ბოსტონი | 34 | 12 | 22 | 35.3 |
| ფილადელფია | 35 | 9 | 26 | 25.7 |

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| კლივლენდი* | 35 | 22 | 13 | 62.9 |
| დეტროიტი* | 33 | 20 | 13 | 60.6 |
| ინდიანა* | 36 | 20 | 16 | 55.6 |
| ჩიკაგო* | 37 | 20 | 17 | 54.1 |
| მილუოკი* | 35 | 16 | 19 | 45.7 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ორლანდო* | 36 | 22 | 14 | 61.1 |
| ვაშინგტონი* | 34 | 20 | 14 | 58.8 |
| მაიამი | 34 | 15 | 19 | 44.1 |
| ატლანტა | 33 | 10 | 23 | 30.3 |
| შარლოტი | 33 | 10 | 23 | 30.3 |

**დასავლეთი**

**სამხრეთ-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დალასი* | 37 | 29 | 8 | 78.4 |
| სან ანტონიო* | 37 | 26 | 11 | 70.3 |
| ჰიუსტონი* | 36 | 23 | 13 | 63.9 |
| ნიუ ორლეანი | 35 | 13 | 22 | 37.1 |
| მემფისი | 36 | 9 | 27 | 25.0 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა* | 35 | 24 | 11 | 68.6 |
| მინესოტა* | 33 | 17 | 16 | 51.5 |
| დენვერი* | 33 | 17 | 16 | 51.5 |
| პორტლენდი | 37 | 14 | 23 | 37.8 |
| სიეტლი | 38 | 13 | 25 | 34.2 |

**წყნარი ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ფინიქსი* | 35 | 27 | 8 | 77.1 |
| ლეიკერსი* | 36 | 23 | 13 | 63.9 |
| გ. სტეიტი | 37 | 18 | 19 | 48.6 |
| კლიპერსი | 36 | 17 | 19 | 47.2 |
| საკრამენტო | 32 | 14 | 18 | 43.8 |

*შენიშვნა: * - ფლეი ოფის ზონა*

**ქულები**

| | |
|---|---|
| ენტონი (დენ) | 31.6 |
| არენასი (ვაშ) | 30.2 |
| აივერსონი (ფილ) | 29.4 |
| ბრაიანტი (ლეი) | 28.0 |
| უეიდი (მაი) | 27.7 |
| რედი (მილ) | 27.7 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 26.8 |
| პირსი (ბოს) | 26.6 |
| მინი (ჰიუ) | 25.9 |
| კარტერი (ნ-ჯერ) | 25.0 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 12.8 |
| გარნეტი (მინ) | 12.6 |
| ბუზერი (იუტ) | 11.6 |
| კემბი (დენ) | 11.6 |
| ჩენდლერი (ნ-ორლ) | 11.3 |
| ოკაფორი (შარ) | 11.2 |
| ლი (ნ-იორკ) | 10.5 |
| ჯ. ო'ნილი (ინდ) | 10.5 |
| დანკანი (ს-ანტ) | 10.1 |
| რენდოლფი (პორ) | 10.1 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 10.1 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.3 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 9.2 |
| პოლი (ნ-ორლ) | 9.0 |
| ა. მილერი (დენ) | 8.8 |
| დერ. უილიამსი (იუტ) | 8.7 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 8.4 |
| ბილაპსი (დეტ) | 8.1 |
| უეიდი (მაი) | 7.9 |
| ტ-ჯ. ფორდი (ტორ) | 7.8 |
| ფელტონი (შარ) | 7.5 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| არტესტი (საკ) | 2.4 |
| იგუოდალა (ფილ) | 2.1 |
| არენასი (ვაშ) | 2.0 |
| მერიონი (ფინ) | 2.0 |
| კ. ბატლერი (ვაშ) | 1.9 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 1.9 |
| ჯ. უოლასი (შარ) | 1.8 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 1.8 |
| ჯინობილი (ს-ანტ) | 1.8 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| ჯ. ო'ნილი (ინდ) | 3.2 |
| კემბი (დენ) | 2.9 |
| მოურნინგი (მაი) | 2.8 |
| ოკაფორი (შარ) | 2.7 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.5 |
| კირილენკო (იუტ) | 2.3 |
| მინი (ჰიუ) | 2.2 |
| ბიედრინსი (გ-სტე) | 2.0 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 2.0 |
| დანკანი (ს-ანტ) | 2.0 |
| ბრენდი (კლი) | 2.0 |



კრის უებერი

ტრანსფერები

## სად წავა უებერი?

უკვე გაუწყეთ, რომ "ფილადელფია სიქსერზმა" ვეტერან ფორვარდს, 33 წლის **კრის უებერს** კონტრაქტი გაუწყვიტა, საკმაოდ სოლიდური კომპენსაცია გადაუხადა, რამაც ორივე მხარე მოგებული დატოვა. "ფილადელფიამ" საკმაოდ სოლიდური საკონტრაქტო თანხა დაზოგა, უებერს კი უმოტივაციო გუნდში თამაში არ სურდა და ჩემპიონობისთვის მებრძოლი ფავორიტის შემადგენლობაში ჩარიცხვა უნდოდა.

სად წავა უებერი?

კრისს ორი ვარიანტი გამოუჩნდა. გამოცდილი მძიმე ფორვარდის აყვანის სურვილი ჯერ "დალას მავერიქსმა" გამოთქვა, რომელიც უებერს სეზონის ბოლომდე ხელშეკრულების გაფორმებას ჰპირდება. "დალასს" კრისის ამპლუის ერთადერთი მოთამაშე ჰყავს და თუ ტრანსფერი შედგება, მაშინ უებერი **დირკ ნოვიცკის** შემცვლელი გახდება. სწრაფ და აწყობილ "მავერიქსში" გამოცდილ ფორვარდს არ უნდა გაუჭირდეს.

მაგრამ არის კიდევ უფრო რეალური ვარიანტი, რომელიც "დეტროიტ პისტონზს" უკავშირდება. სეზონის დაწყებამდე **ბენ უოლასის** გარეშე დარჩენილ გუნდს მეფარეთა დეფიციტი აქვს. დიდი ბენის ნაცვლად აყვანილი **ნაზრ მოჰამედი** ოთხგზის საუკეთესო დამცველის აჩრდილია, ხოლო **ანტონიო მაკდაიესს** კი უკვე ასაკის მატება დაეტყო. ჯერაც გუნდშია **რაშიდ უოლასი**, თუმცა იგი ძლიერი მომხსნელი არასოდეს ყოფილა და სტაბილურობაც აკლია.

უებერის თქმით, მისთვის "დეტროიტში" გადასვლაა უკეთესი. კრისს სტუდენტობისას მიჩიგანის უნივერსიტეტში უთამაშია და დეტროიტში უამრავი მეგობარი ჰყავს. "პისტონზი" გამოცდილ მოთამაშეს ვეტერანის ხელშეკრულებას სთავაზობს, რომლის მიხედვითაც უებერმა 1.87 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

■ ■ ■

"მილუოკი ბაქსმა" კი ძალიან ძლიერი ფლეიმეიქერი დაიმატა. გუნდმა "დენვერ ნაგეტსში" მსროლელი **სტივ ბლეიკი** გაუშვა, საპირისპირო მიმართულებით კი **ერლ ბოიკინსი** გაემგზავრა. ამის შესახებ ჟურნალისტებს "მილუოკის" გენერალურმა მენეჯერმა, **ლარი ჰარისმა** განუცხადა.

"ბაქსს" დამტვრეული ჰყავს პირველი მექულე **მაიკლ რედი**, რომელიც კიდევ ხუთ კვირას ვერ ითამაშებს, მის გარდა კი ალმოსავლელებმა ძირითადი გამთამაშებელი **მო უილიამსიც** დაკარგეს. ამ უკანასკნელს სამი კვირის გამოტოვება მოუწევს, აღნიშნული ტანდემის არყოფნაში კი "მილუოკის" ქულების დაგროვება ძალიან უჭირს. ასე რომ, ბოიკინსი ამ გუნდისთვის სწორედაც რომ მისწრებაა.

თავის მხრივ, ერლს "დენვერში" **კარმელო ენტონის** დაბრუნებით ("ნაგეტსის" ლიდერს 20 იანვარს უმთავრდება დისკვალიფიკაცია) სათამაშო დრო მნიშვნელოვნად შეუთხელდებოდა. **ალენ აივერსონთან** ერთად ბოიკინსი ძალიან სტაბილურად ათამაშდა და უკანასკნელი 10 მატჩიდან, 8 შეხვედრაში 20 და მეტი ქულა დააგროვა, თუმცა ენტონი თავის წილ წუთებსა და ქულებს მიიღებს, რაც ბოიკინსის სათამაშო დროს შეკვეცავს.

რედისა და უილიამსის გარდა, "მილუოკის" არ ჰყავს ფორვარდი **ჩარლი ვილიანოვაც**, რომელმაც მარჯვენა მხრის ტრავმის გამო ზედიზედ მეოთხე შეხვედრა გამოტოვა. ლაზარეთად ქცეულ "ხარირმებს" სეზონის დასაწყისშივე ძალიან ძლიერი ფორვარდი **ბობი სიმონსი** გამოაკლდათ, რომელმაც ფეხი მოიტეხა, მარჯვენა კოჭის მყესები გაიწყვიტა და მთელ სეზონს დაისვენებს.

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. XI ტური

**A ჯგუფი**

**ეფესი-ტაუ 78:84**

15:18, 17:25, 26:19, 20:22

**ეფესი:** ჰაისლიპი (23 ქ. 7 პ), ჯენკისნი (20 ქ. 6 პ), ნიკოლასი (13 ქ. 5 მ. 6 პ)

**ტაუ:** ერდოგანი (18 ქ), სკოლა (17 ქ), რაკოჩევიჩი (12 ქ. 6 პ), პლანიჩიჩი (8 ქ. 10 პ)

**კიოლნი-კლიმამიო 78:90**

19:21, 23:24, 18:16, 18:29

**კიოლნი:** გორტატი (19 ქ. 12 მ), მალეტი (16 ქ), გრინი (16 ქ), მაკელროი (13 ქ. 6 მ)

**კლიმამიო:** მანჩინელი (18 ქ), ედნი (17 ქ. 7 პ), ბლუტენტალი (17 ქ), ტომასი (12 ქ. 7 მ)

**დინამო-პროკომი 95:74**

24:14, 18:20, 36:19, 17:21

**დინამო:** ჰანსენი (21 ქ. 6 მ), ფოცისი (14 ქ. 9 მ), პოპოვიჩი (14 ქ), ბიკოვი (14 ქ)

**პროკომი:** დალმაუ (13 ქ), ბესოქი (12 ქ), ჰუკიჩი (11 ქ), სლანინა (11 ქ), დილევიჩი (9 ქ. 6 მ)

**ოლიმპიაკოსი-ლე მანი 80:76**

20:22, 15:15, 21:23, 24:16

**ოლიმპიაკოსი:** დომერქანი (17 ქ), ჟიჟიჩი (16 ქ. 7 მ), ეკერი (10 ქ), პენი (9 ქ. 7 პ)

**ლე მანი:** უილერი (20 ქ. 9 პ), კემპბელი (20 ქ. 6 მ), ნიჩევიჩი (13 ქ. 10 მ), გრეგორი (9 ქ. 5 მ)

| | მ-წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ტაუ* | 10-1 | +104 |
| 2. ოლიმპიაკოსი* | 9-2 | +83 |
| 3. დინამო* | 7-4 | +48 |
| 4. ეფეს პილზენი | 6-5 | +33 |
| 5. პროკომი | 4-7 | -35 |
| 6. ლე მანი | 3-8 | -32 |
| 7. კლიმამიო | 3-8 | -73 |
| 8. კიოლნი | 2-9 | -128 |

**B ჯგუფი**

**რომა-პანათინაიკოსი 69:79**

11:17, 15:17, 21:24, 22:21

**რომა:** ჰოუკინსი (20 ქ), ბოდიროგა (14 ქ. 6 მ. 5 პ), ჩეტმენი (9 ქ)

**პანათინაიკოსი:** შიშკაუსკასი (19 ქ), დიამანტიდისი (12 ქ. 5 მ. 5 დ), ხაცივრეტასი (10 ქ), დიკუდისი (6 ქ. 8 მ)

**ოლიმპია-უნიკახა 87:59**

18:11, 19:11, 29:16, 21:21

**ოლიმპია:** მილიჩი (19 ქ. 5 მ), არსლანი (16 ქ. 6 პ), რანიკო (16 ქ)

**უნიკახა:** სანჩესი (13 ქ. 5 მ), ვასილიდისი (13 ქ), პეტრუსი (8 ქ)

**ციბონა-პარტიზანი 89:72**

18:16, 23:26, 24:20, 24:10

**ციბონა:** რაიტი (16 ქ. 7 მ), უორენი (14 ქ. 8 მ), ვიშნევსკი (14 ქ)

**პარტიზანი:** დრობნიაკი (20 ქ), პეროვიჩი (12 ქ. 6 მ), კამინგსი (9 ქ)

**ხუვენტუდი-მაკაბი 98:92**

20:26, 28:28, 23:22, 27:16

**ხუვენტუდი:** ფერნანდესი (21 ქ. 7 მ), ბენეტი (15 ქ. 6 პ), გეინსი (14 ქ. 8 მ)

**მაკაბი:** იასაიტისი (24 ქ. 5 მ), ვუიჩიჩი (20 ქ. 6 მ), შარპი (16 ქ)

| | მ-წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი* | 11-0 | +114 |
| 2. ხუვენტუდი* | 7-4 | +81 |
| 3. მაკაბი | 6-5 | +44 |
| 4. ციბონა | 5-6 | 0 |
| 5. პარტიზანი | 4-7 | -48 |
| 6. რომა | 4-7 | -49 |
| 7. უნიკახა | 4-7 | -96 |
| 8. ოლიმპია | 3-8 | -46 |

**C ჯგუფი**

**ნაპოლი-ბარსელონა 66:64**

20:18, 7:21, 18:13, 21:12

**ნაპოლი:** მორანდაისი (23 ქ. 5 მ), როკა (15 ქ. 10 მ), ელისი (10 ქ. 5 პ)

**ბარსელონა:** ნავარო (21 ქ), ლაკოვიჩი (11 ქ), მარკონატო (9 ქ. 9 მ)

**ჟალგირისი-ფენერბაჰჩე 70:83**

15:19, 24:20, 18:23, 13:21

**ჟალგირისი:** მაციულისი (21 ქ), ბერდი (17 ქ. 13 მ), კალნეტისი (10 ქ. 5 მ)

**ფენერბაჰჩე:** სოლომონი (19 ქ), კამბალა (18 ქ), ბესდენი (10 ქ. 7 მ)

**ბენეტონი-ცსკა 60:68**

18:19, 15:19, 11:20, 16:10

**ბენეტონი:** სორანია (19 ქ), ცისისი (10 ქ. 5 პ), ჯილი (8 ქ. 5 მ), ნელსონი (7 ქ. 8 მ)

**ცსკა:** სმოდიში (17 ქ. 7 მ), სავრასენკო (15 ქ. 5 მ), ჰოლდენი (12 ქ. 5 პ), პაპალუკასი (11 ქ), ლენგდონი (5 ქ. 7 მ)

**პო ორტეზი-არისი 77:62**

15:12, 22:12, 17:17, 23:21

**პო ორტეზი:** რაიტი (12 ქ. 7 მ), ჯონსენი (12 ქ. 5 მ), ფერშო (12 ქ)

**არისი:** უილკინსონი (17 ქ. 8 მ), სკეილსი (17 ქ), მესი (7 ქ. 8 მ)

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 10-1 | +124 |
| 2. ბარსელონა* | 8-3 | +75 |
| 3. ბენეტონი | 6-5 | +14 |
| 4. პო-ორტეზი | 6-5 | 2 |
| 5. არისი | 5-6 | -29 |
| 6. ფენერბაჰჩე | 4-7 | -33 |
| 7. ნაპოლი | 4-7 | -68 |
| 8. ჟალგირისი | 1-10 | -85 |

**შენიშვნა: * - მომდევნო ეტაპზე გავიდა**

პირველი წრე | II | III | 1/8 | 1/4 | 1/2 | ფ

ფედერერი (1, შვეიც)-ფაუ (გერ)
ბიორკმანი (შვედ)-პატიენსი (საფ)
გრეული (გერ)-ლუ (ტაივ)
ჰერნიჩი (ჩეხ)-იუჟნი (25, რუს)
ფერერო (24, ესპ)-პაიეკი (ჩეხ)
უდომჩოკე (ტაილ)-ვასალო (არგ)
ფ. ლოპესი (ესპ)-კვალიფიკაცია
მასუ (არგ)-ჯოკოვიჩი (14, სერ)
ბალდატისი (11, კვიპ)-შუტლერი (გერ)
მონფილსი (საფ)-ბრაჩიალი (იტა)
სიმონი (საფ)-დელიჩი (აშშ)
ვოლანდრი (იტა)-გასკე (18, საფ)
აკასუსო (27, არგ)-კერი (აშშ)
სერა (საფ)-დევილდერი (საფ)
კარლოვიჩი (ხორ)-მელცერი (ავსტრია)
რამირეს იდალგო (ესპ)-რობრედო (7, ესპ)
ლუბიჩიჩი (4, ხორ)-ფიში (აშშ)
მაუ (საფ)-მონაკო (არგ)
კუბეკი (ავსტრია)-არტურსი (ავსტრა)
კვალიფიკაცია-კალერი (30, არგ)
შტეპანეკი (20, ჩეხ)-ლოდრა (საფ)
დლოუჰი (ჩეხ)-კვალიფიკაცია
ტ. იოჰანსონი (შვედ)-კვალიფიკაცია
პლესი (დან)-ფერერი (16, ესპ)
ანჩიჩი (9, ხორ)-სოედა (იაპ)
ი. იოჰანსონი (შვედ)-გარსია ლოპესი (ესპ)
სპეიდი (აშშ)-ანდრეევი (რუს)
ვანეკი (ჩეხ)-ჰრბატი (22, სლოვაკ)
საფინი (26, რუს)-ბეკერი (გერ)
კვალიფიკაცია-ზრიჩაფანი (ტაილ)
ქიკელი (საფ)-ჯონსი (ავსტრა)
ცონგა (საფ)-როდიკი (6, აშშ)
ნალბანდიანი (8, არგ)-ტიფსარევიჩი (სერ)
კვალიფიკაცია-ლაპენტი (ეკვ)
გუჩიონე (ავსტრა)-ო. როხუსი (ბელ)
კ.როხუსი (ბელ)-გროსჟანი (28, საფ)
სიოდერლინგი (23, შვედ)-მაიერი (გერ)
სეპი (იტა)-კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია-კვალიფიკაცია
მონტანიესი (ესპ)-ჰაასი (12, გერ)
ბერდიჩი (13, ჩეხ)-ლი (კორ)
კვალიფიკაცია-სმიტსი (ავსტრა)
მირნი (ბლრ)-ჰორნა (პერ)
კვალიფიკაცია-ტურსუნოვი (21, რუს)
მალისე (29, ბელ)-კლემანი (საფ)
სანტორო (საფ)-კუნიცინი (რუს)
მიულერი (ლუქ)-გაუდიო (არგ)
როიტმანი (არგ)-დავიდენკო (3, რუს)
ბლეიკი (5, აშშ)-მოია (ესპ)
ლუჩაკი (ავსტრა)-კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია-კვალიფიკაცია
ჯინეპრი (აშშ)-ალმაგრო (32, ესპ)
ჰიუიტი (19, ავსტრა)-კვალიფიკაცია
დანჩევიჩი (კან)-პანესკუ (რუმ)
დელ პოტრო (არგ)-დი მაურო (იტა)
კოროლიოვი (რუს)-გონსალესი (10, ჩილ)
მიურეი (15, ბრიტ)-მარტინი (ესპ)
ვერდასკო (ესპ)-მატიო (საფ)
ჩელა (არგ)-სტარაჩე (იტა)
გოლდსტეინი (აშშ)-ნიემინენი (17, ფინ)
ვავრინკა (31, შვეიც)-კიმი (აშშ)
ბენეტო (საფ)-კვალიფიკაცია
ვლიეგენი (ბელ)-კოლშრაიბერი (გერ)
კენდრიკი (აშშ)-ნადალი (2, ესპ)

ავსტრალიის ღია პირველობის წინ. ტურნირები

# ჩაკვეტაძემ ტიტულით დაიწყო

რუსეთის სახელით მოასპარეზე **ანა ჩაკვეტაძის** გამარჯვებით დასრულდა ავსტრალიის ღიას-წინა, ჰობარტის საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალშიც მან ორ სეტში აჯობა ტურნირზე საკვალიფიკაციო ბადეგავლილ რუს **ვასილისა ბარდინას**.

ჩაკვეტაძეს გამარჯვებაში ხელი ვერც მუცლის პრესის დაჭიმულობამ შეუშალა და კარიერაში ვტა-ს მესამე ტიტული მოიპოვა, რის შემდეგაც განაცხადა, ამ ტრიუმფის აღნიშვნას არ ვაპირებ, რადგან ხვალ ადრე ვარ ასადგომიო.

*"მელბურნის რეისი დილის ექვსზე მაქვს, რის გამოც, ახლა სასტუმროში წასვლასა და კარგად გამოძინებას ვაპირებ, მერე კი ვარჯიშს შევუდგები. ეს ტურნირი მეოთხე კატეგორიისაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისმა მოგებამ სიამოვნება მომანიჭა"*, - განაცხადა ჩაკვეტაძემ, ვინც ავსტრალიის ღიას პირველ წრეში ავსტრიელ **სიბილ ბამერს** დაუპირისპირდება.

რაც შეეხება ბარდინას, მან აღიარა, რომ ფინალში ძალა აღარ შერჩა და ამის გამო, ერთბაშად რამდენიმე პრობლემა შეექმნა. ავსტრალიის ღიას პირველ წრეში მისი მეტოქე იქნება ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**, რომელმაც გუშინ სიდნეის ტურნირი მოიგო.

კლაისტერსს ტურნირის ფინალში დიდი ბრძოლა გადახდა სერბ **ელენა იანკოვიჩთან**, რომელსაც მეორე სეტში მატჩ პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლო. მოკლედ, ბელგიელმა ეს ტურნირი ბოლო ოთხ სეზონში მეორედ მოიგო.

მეორე სეტის მეათე გეიმში, მეტოქის სერვისზე, კლაისტერსი 4:5-ს აგებდა, მაგრამ იანკოვიჩმა ორი მატჩ პოინტი ვერ აქცია გამარჯვებად. სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც ბელგიელმა შეძლო მოგება და მანვე გადამწყვეტი სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის შემდეგ კლაისტერსი სპორტიდან წასვლას აპირებს. მან ქება არ დაიშურა თავისი მეტოქისთვის, ვისაც ამ შეხვედრამდე, სეზონში ნათამაშები ყველა, ცხრავე თამაში მოგებული ჰქონდა. ამასთან, სიდნეიმდე ოკლენდის (ახ.ზელანდია) ტურნირის მოგებაც მოასწრო.

პირველ სეტში იანკოვიჩმა სამი ბრეიკი გაახერხა, თავის სერვისზე კი ორჯერ დაკარგა ქულა, თუმცა საბოლოოდ, სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. სხვათა შორის, ეს სეტი 42 წუთს გრძელდებოდა. სერბმა მეორე სეტის დასაწყისში კიდევ ერთხელ გატეხა კლაისტერსი მისსავე სერვისზე და თითქოს, თამაშიც მას უნდა მოეგო.

მაგრამ კიმმა მეათე გეიმში შეძლო საპასუხო ბრეიკის აღება და ანგარიში გაათანაბრა. იანკოვიჩმა მაინც გაიბრძოლა და მომდევნო გეიმში კიდევ ერთი ბრეიკი გაახერხა, მაგრამ ვერც ის აქცია გამარჯვებად, რადგან ბელგიელმა კიდევ ერთხელ აიღო საპასუხო ბრეიკი და სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა. აქ იანკოვიჩმა სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა, რამაც ბელგიელს ხელ-ფეხი გაუხსნა.

ტაიბრეიკის მოგებას კლაისტერსმა გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ზედიზედ ოთხი გეიმის მოგება მიაყოლა. ასეთ უპირატესობაზე კლაისტერსი მოეშვა და მეტოქეს ერთი ბრეიკის გაქვითვის საშუალება მისცა, მაგრამ შემდეგ დროულად გამოერკვა და კარიერაში 34-ე ტიტულს დაეუფლა.

სიდნეიშივე, კაცების ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ამერიკელმა **ჯეიმს ბლეიკმა** და ესპანელმა **კარლოს მოიამ**. ბლეიკს ნახევარფინალში ხელის გაუქნევლად "დანებდა" ავსტრიელი **იურგენ მელცერი**, ვისაც მუცლის გვრემა ჰქონია და თამაშის თავიც არ ჰქონდა. რაც შეეხება მოიას, მას სამსეტიანი პაექრობა გადახდა ფრანგ **რიშარ გასკესთან** შეხვედრაში. ესპანელი ვეტერანი კარიერაში მესამედ გავიდა სიდნეის ტურნირის ფინალში.

ბლეიკი ტურნირის მოქმედი ჩემპიონია. მან კორტზე გაიგო, რომ მელცერი ვერ ითამაშებდა, თუმცა მოგვიანებით აღიარა, ასეთ სიცხეში თამაში ნამდვილი ჯოჯოხეთი იქნებოდა, რის გამოც, მელცერის უთამაშებლობას ძლიერ არც დავუღონებივარო. *"რა თქმა უნდა, ასეთ სიცხეში თამაში ძალიან ძნელია და მიხარია, რომ ძალების დაზოგვა მიწევს, მაგრამ სამწუხაროა, რომ იურგენმა ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მან ტურნირზე შესანიშნავად ითამაშა"*, - განაცხადა ბლეიკმა.

მელცერმა აღნიშნა, რომ ჩეხ **ტომაშ ბერდიჩთან** მოგების შემდეგ კარგად იყო, მაგრამ მერე ვახშამზე სუში უჭამია და მუცლის გვრემასაც ამას აბრალებს. ვიმედოვნებ, ეს სუშის ბრალი იყო და არა რაიმე ვირუსისაო, - თქვა ავსტრიელმა.

რაც შეეხება მოიას, მას წინა ორივე ფინალი წაგებული აქვს. პირველად 1997 წელს ბრიტანელ **ტიმ ჰენმანთან** წააგო, როცა ტურნირი სიდნეის აღმოსავლურ გარეუბანში ტარდებოდა. მეორედ კი (2004 წელს) მას ტურნირის მოგების საშუალება ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** არ მისცა. თუმცა, ჰიუიტის რა ბრალია - ის ფინალი მოიამ ტრავმის გამო ვერ დაასრულა.

საფრანგეთის ღიას ყოფილი ჩემპიონი იმედოვნებს, რომ ამჯერად ფინალს ტრავმის გარეშე ჩაატარებს. ფინალამდე მან ოთხი ძნელი თამაში მოიგო, რის შემდეგაც განაცხადა, არ მეგონა, ასე შორს თუ წავიდოდიო. სხვათა შორის, პირველ წრეში მან ავსტრალიელ **ლიუკ ბურჟოსთან** ერთი მატჩ პოინტი მოიგერია, მეორე წრეში, თანამემამულე **ფერნანდო ვერდასკოსთან** ხუთი მატჩ პოინტი გადაარჩინა, მესამეში, კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისთან** გადამწყვეტ სეტში კი 5:3-ს აგებდა.

*"რა უნდა ვთქვა? ჯერ რამდენიმე კარგ ჩოგბურთელს ვაჯობე, ახლა კი ფინალში ვარ. ტურნირის დაწყებამდე, არც მეგონა, თუ ასე კარგად ვითამაშებდი. მაგრამ ყოველი შეხვედრის შემდეგ, ჩემი მოტივაციაც იზრდებოდა, ახლა კი მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ"*, - განაცხადა მოიამ.

ჰობარტის ფინალი თუ სრულიად რუსული იყო, ოკლენდის ფინალი სრულიად ესპანური იქნება. მასში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან **დავიდ ფერერი** და **ტომი რობრედო**. ნახევარფინალში რობრედო იოლად გაუსწორდა არგენტინელ **აგუსტინ კალერის**, ფერერს კი სამი სეტი დასჭირდა ამერიკელი **მერდი ფიშის** დასამარცხებლად. აღსანიშნავია, რომ პირველი წყვილის შეხვედრა წვიმის გამო, 4 საათით გადაიდო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ATP

### ჰაინეკენის ღია

**ოკლენდი (ახ.ზელანდია). 8-13 იანვარი. ჰარდი**
საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ტომი რობრედო (1) - აგუსტინ კალერი (7) 6:4, 6:0; დავიდ ფერერი (3) - მერდი ფიში 6:0, 4:6, 6:1

### მედიაბანკის საერთაშორისო

**სიდნეი (ავსტრალია). 8-13 იანვარი. ჰარდი**
საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ჯეიმს ბლეიკი (3) - იურგენ მელცერი (მელცერმა ვერ ითამაშა); კარლოს მოია - რიშარ გასკე (6) 6:3, 4:6, 6:2

## WTA

### მედიაბანკის საერთაშორისო

**სიდნეი (ავსტრალია). 8-13 იანვარი. ჰარდი**
საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი

**ფინალი**

კიმ კლაისტერსი (3) - ელენა იანკოვიჩი 4:6, 7:6(1), 6:4

### ჰობარტის საერთაშორისო

**ჰობარტი (ავსტრალია). 8-13 იანვარი. ჰარდი**
საპრიზო ფონდი: 170 000 დოლარი

**ფინალი**

ანა ჩაკვეტაძე (1) - ვასილისა ბარდინა 6:3, 7:6(3)



ანა ჩაკვეტაძე

ფ | 1/2 | 1/4 | 1/8 | III | II | პირველი წრე

შარაპოვა (1, რუს)-პინი (საფ)
ვინჩი (იტა)-როდიონოვა (რუს)
კვალიფიკაცია-შონესი (აშშ)
გალიარდი (შვეიც)-გარბინი (30, იტა)
ზვონარევა (22, რუს)-ჩეცილერი (ხორ)
კვალიფიკაცია-ბრემონი (საფ)
ლეპჩენკო (უზბ)-რადვანსკა (პოლ)
კინგი (აშშ)-ივანოვიჩი (13, სერ)
ჩაკვეტაძე (12, რუს)-ბამერი (ავსტრია)
ბეიგელციმერი (უკრ)-ბრენვილი (აშშ)
ფერგიუსონი (ავსტრა)-კოსტანიჩი (ხორ)
კვალიფიკაცია-სტოსური (24, ავსტრა)
პენეტა (28, იტა)-კანეპი (ესტ)
ჩანი (ტაივ)-მოლიკი (ავსტრა)
კვალიფიკაცია-პენგი (ჩინ)
ბრენგლი (აშშ)–შნიდერი (8, შვეიც)
კლაისტერსი (4, ბელ)-ბარდინა (რუს)
მორიგამი (იაპ)-პირონკოვა (ბულ)
პრატი (ავსტრა)-რაზანო (საფ)
კვალიფიკაცია-ბონდარენკო (29, უკრ)
გრონეფელდი (17, გერ)-კვალიფიკაცია
ჰარკლროუდი (აშშ)-იუანი (ჩინ)
ლუა (საფ)-რეზაი (საფ)
კვალიფიკაცია-ჰანტუხოვა (15, სლოვაკ)
საფინა (9, რუს)-ბიჩკოვა (რუს)
ფედოსოვა (საფ)-კასტანიო (კოლ)
კვალიფიკაცია-დომინგეს ლინო (ესპ)
ბოვინა (რუს)-ნა ლი (19, ჩინ)
დანილიდუ (32, საბ)-ნაკამურა (იაპ)
სავჩუკი (უკრ)-მირზა (ინდ)
კვალიფიკაცია-ლაინე (ფინ)
დეში (საფ)-ჰინგისი (6, შვეიც)
პეტროვა (5, რუს)-ტანასუგარნი (ტაილ)
დულკო (არგ)-სუნი (ჩინ)
კრაიჩეკი (ჰოლ)-კვალიფიკაცია
ს. უილიამსი (აშშ)-სანტანჯელო (27, იტა)
ბარტოლი (18, საფ)-დუშევინა (რუს)
აზარენკა (ბლრ)-ფედაკი (უკრ)
ჩინკი (უნგ)-რუანო პასკუალი (ესპ)
ვოზნიაკი (კან)-იანკოვიჩი (11, სერ)
პეერი (16, ისრ)-ოპრანდი (იტა)
გალოვიტსი (რუმ)-ტუ (აშშ)
ონდრაშკოვა (ჩეხ)-ფერნანდესი (არგ)
სმაშნოვა (ისრ)-გოლოვინი (20, საფ)
კირილენკო (26, რუს)-შვრეში (ხორ)
კვალიფიკაცია-ლიხოვცევა (რუს)
ტულიაგანოვა (უზბ)-ადამჩაკი (ავსტრა)
მური (ავსტრა)-კუზნეცოვა (3, რუს)
დემენტიევა (7, რუს)-ფორეტცი (საფ)
მიულერი (გერ)-კვალიფიკაცია
კამერინი (იტა)-ფლიპკენსი (ბელ)
ვესნინა (რუს)-მედინა გარიგესი (25, ესპ)
სრებოტნიკი (21, სლოვე)-დელაკუა (ავსტრა)
ბენეშოვა (ჩეხ)-ვოსკობოევა (რუს)
გაიდოშოვა (სლოვაკ)-სეკერა (ვენ)
კრეიბასი (აშშ)-ვაიდიშოვა (10, ჩეხ)
სკიავონე (14, იტა)-კლოზელი (გერ)
საფაროვა (ჩეხ)-ბრიანტი (იტა)
პოუს ტიო (ესპ)-იაკიმოვა (ბლრ)
არვიდსონი (შვედ)-სუგიამა (23, იაპ)
ჭენგი (31, ჩინ)-გრუბერი (გერ)
სუხა (სლოვაკ)-ბივეროვა (ჩეხ)
დომაჩოვსკა (პოლ)-პუჩკოვა (რუს)
პერი (აშშ)-მორესმო (2, საფ)

## ჰოკეი

# NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### ბოსტონი-აილენდერსი 4:5 (ბ)

2:0, 0:1, 2:3, 0:0

**გოლები:** 1:0 პ. ბერჟერონი-15 (ხარა-18), 2:0 სავარი-15 (აქსელსონი-9, გ. მიურეი-13), 2:1 რ. რობიტაილი-6 (შატანი-18, ვიქ. კოზლოვი-14), 2:2 ჰანტერი-8 (ჰილბერტი-9, სილინჯერი-17), 3:2 ხარა-8 (აქსელსონი-10, სავარი-39), 3:3 პოტი-4 (ჟერვე-5, შატანი-19), 4:3 მარა-3 (სავარი-40), 4:4 ვიქ. კოზლოვი-15 (იაშინი-23, კამპოლი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** შატანი (აილენდერსი), სავარი (ბოსტონი), ჯ. ბლეიკი (აილენდერსი).

### რეინჯერსი-ოტავა 4:6

0:1, 0:3, 4:2

**გოლები:** 0:1 ივსი-8 (ვერმეტი-11, მაკამონდი-9), 0:2 კ. კელი-8 (ალფრედსონი-26, ჰიტლი-30), 0:3 ვერმეტი-14 (რედენი-13, ივსი-13), 0:4 ივსი-9 (რედენი-14), 0:5 ალფრედსონი-14 (ჰიტლი-31, ფილიპსი-10), 1:5 პრუხა-10 (იაგრი-41), 2:5 ჯ. უორდი-4 (ორტმეიერი-1, მალიკი-10), 3:5 მარსელ ჰოსა-2 (შენეჰანი-22, ნიულანდერი-36), 4:5 ბეტსი-6 (ორტმეიერი-2, ჯ. უორდი-6), 4:6 ჰიტლი-27 (ალფრედსონი-27, კ. კელი-14).

### ბაფალო-ტორონტო 2:4

0:0, 1:2, 1:2

**გოლები:** 0:1 ო'ნილი-14 (სუნდინი-22), 1:1 ვანეკი-23 (ბრიერი-35, შპაჩეკი-12), 1:2 კუბინა-2 (კოლაიაკოვო-1, პოლი-9), 2:2 დრური-23 (დ. რუა-22, გოსტადი-13), 2:3 სტინი-9 (კოლაიაკოვო-2), 2:4 ო'ნილი-15 (სუნდინი-23, სტინი-10).

### ფილადელფია-მონრეალი 2:4

2:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 მ. ჯონსონი-8 (ჰიგინსი-8, პლეკანეცი-11), 1:1 ჯ. კარტერი-4 (უიტნიკი-12, ს. კაპანენი-6), 1:2 კოვალიოვი-11 (მარკოვი-26, ს. კოივუ-26), 2:2 პიტკანენი-1 (ფორსბერგი-17, განიე-13), 2:3 ჰიგინსი-13 (ბუიონი-5, პლეკანეცი-12), 2:4 რაიდერი-14 (მარკოვი-27, სურეი-23).

### კაროლინა-ფლორიდა 6:4

0:0, 0:3, 6:1

**გოლები:** 051 კოლნიკი-5 (ბოუმისტერი-15, უეისი-13), 0:2 ო. იოკინენი-20 (პელტონენი-10, გრეტონი-6), 0:3 უეისი-8 (კოლნიკი-6, ვან რინი-13), 1:3 ლაროუზი-2 (ს. უოკერი-16, ჰათჩინსონი-6), 2:3 ე. კოული-19 (ბრინდამორი-35, ბაბჩუკი-9), 3:3 ს. უოკერი-14 (ბელანჟე-10, ლაროუზი-10), 4:3 სტილმანი-2 (ჰათჩინსონი-7, ბრინდამორი-36), 5:3 კ. ადამსი-7 (კომოდორი-13, ბელანჟე-11), 5:4 ო. იოკინენი-21 (მტუმპელი-22, უეისი-14), 6:4 რეი უიტნი-17 (ბრინდამორი-37, ე. კოული-21).

### კოლორადო-კალგარი 3:7

2:2, 1:4, 0:1

**გოლები:** 1:0 სვატოსი-10 (ვოლსკი-16, საკიკი-28), 1:1 ჰამრლიკი-4 (ჰუსელიუსი-17, ლენგკოუ-27), 1:2 ჰუსელიუსი-16, 2:2 პ. შჩასტნი-11 (ბრუნეტი-24, საკიკი-29), 2:3 მოსი-5 (ტანგეი-28, ჯორდანო-5), 2:4 ლენგკოუ-17 (უორენერი-4), 2:5 ლენგკოუ-18 (ტანგეი-29, უორენერი-5), 3:5 ბრუნეტი-14 (ჰეიდუკი-13, ბ. კლარკი-20), 3:6 ამონტე-8 (ლენგკოუ-28, ჯორდანო-6), 3:7 ჰუსელიუსი-17 (ნილსონი-4, იელი-7).

### ვანკუვერი-მინესოტა 2:5

0:2, 2:1, 0:2

**გოლები:** 0:1 გაბორიკი-5 (როლსტონი-17, დემიტრა-17), 0:2 როლსტონი-22 (კარნი-7, უაიტი-19), 0:3 რადივოევიჩი-6 (როლსტონი-18, ბუშარი-24), 1:3 პიატი-10 (კესლერი-8, ბულისი-6), 2:3 მიტჩელი-1 (ნესლუნდი-18, ბიეკსა-17), 2:4 გაბორიკი-6 (დემიტრა-18, კ. იონსონი-11), 2:5 ვალცი-6 (ბუშარი-25, შულტცი-6).

### ფინიქსი-დეტროიტი 1:5

0:1, 0:0, 1:4

**გოლები:** 0:1 ჰოლმსტრიომი-10 (ზეტერბერგი-14, დაციუკი-23), 1:1 ი. პერო-14 (ზ. მიხალეკი-18, ჟოვანოვსკი-15), 1:2 ჰოლმსტრიომი-11 (დაციუკი-24, ზეტერბერგი-15), 1:3 დაციუკი-12 (ჰოლმსტრიომი-12, ზეტერბერგი-16), 1:4 ჰოლმსტრიომი-12 (ლიდსტრიომი-26, დაციუკი-25), 1:5 დაციუკი-13 (კრონვალი-12, ლანგი-22).

### ტამპა ბეი-ვაშინგტონი 5:4

2:1, 2:3, 1:0

**გოლები:** 1:0 კრეიიგი-11 (პერენი-9), 1:1 სიომინი-23 (პოტიე-17, ოვეჩკინი-32), 2:1 ლეკავალიე-25 (პროსპალი-20, ბოილი-26), 2:2 სიომინი-24 (ნიკოლატი-5, პეტინგერი-11), 2:3 კლიმერი-6 (ბრაშირი-4), 3:3 პროსპალი-6 (სერიჩი-9, ლეკავალიე-33), 4:3 ლეკავალიე-26 (სენტ ლუისი-31, ბოილი-27), 4:5 კ. კლარკი-15 (ოვეჩკინი-33, პოტიე-18), 5:4 სენტ ლუისი-28 (პროსპალი-21).

### ლოს ანჯელესი-სან ხოსე 2:5

0:0, 1:3, 1:2

**გოლები:** 1:0 კამალერი-16 (კოპიტარი-27, დ. ბრაუნი-14), 1:1 ბელი-6 (ჰენანი-13), 1:2 მ. მიხალეკი-12 (ჩიჩუ-15), 1:3 მარლო-20 (პაველსკი-8, რისმილერი-10), 1:4 კლოუ-9 (დ. მიურეი-2, მარლო-26), 2:4 კოპიტარი-12 (პუშკარიოვი-1), 2:5 რისმილერი-3 (პაველსკი-9).

### დალასი-ანაჰაიმი 1:5

0:1, 1:3, 1:1

**გოლები:** 0:1 სელიანე-26 (ჯეკმენი-2, ე. მაკდონალდი-29), 1:1 ჰაგმანი-9 (რიბეირო-23, ლინდროსი-17), 1:2 სელიანე-27 (კუნიტცი-18, ე. მაკდონალდი-30), 1:3 ს. ნიდერმაიერი-8 (ე. მაკდონალდი-31, ჯეკმენი-3), 1:4 დიპენტა-1 (პალსონი-12, მოენი-9), 1:5 სელიანე-28 (ე. მაკდონალდი-32, ს. ნიდერმაიერი-34).

### აღმოსავლეთი

| ატლანტიკის ოკეანე | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი* | 43 | 25 | 14 | 4 | 54 |
| რეინჯერსი* | 45 | 22 | 19 | 4 | 48 |
| აილენდერსი | 43 | 21 | 19 | 3 | 45 |
| პიტსბურგი | 42 | 18 | 17 | 7 | 43 |
| ფილადელფია | 44 | 11 | 29 | 4 | 26 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ბაფალო* | 44 | 31 | 10 | 3 | 65 |
| მონრეალი* | 44 | 25 | 14 | 5 | 55 |
| ოტავა* | 46 | 25 | 19 | 2 | 52 |
| ტორონტო | 45 | 20 | 19 | 6 | 46 |
| ბოსტონი | 41 | 20 | 17 | 4 | 44 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ატლანტა* | 45 | 24 | 13 | 8 | 56 |
| კაროლინა* | 46 | 24 | 18 | 4 | 52 |
| ტამპა ბეი* | 45 | 22 | 21 | 2 | 46 |
| ვაშინგტონი | 44 | 19 | 18 | 7 | 45 |
| ფლორიდა | 46 | 16 | 21 | 9 | 41 |

### დასავლეთი

| ცენტრალური | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ნეშვილი* | 43 | 29 | 11 | 3 | 61 |
| დეტროიტი* | 44 | 27 | 12 | 5 | 59 |
| ჩიკაგო | 43 | 17 | 21 | 5 | 39 |
| სტ. ლუისი | 43 | 15 | 21 | 7 | 37 |
| კოლამბუსი | 43 | 16 | 22 | 5 | 37 |

| ჩრდილო-დასავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კალგარი* | 42 | 23 | 15 | 4 | 50 |
| ვანკუვერი* | 44 | 24 | 19 | 1 | 49 |
| მინესოტა* | 44 | 22 | 19 | 3 | 47 |
| ედმონტონი | 43 | 21 | 18 | 4 | 46 |
| კოლორადო | 43 | 21 | 19 | 3 | 45 |

| წყნარი ოკეანე | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ანაჰაიმი* | 46 | 30 | 9 | 7 | 67 |
| სან ხოსე* | 44 | 29 | 15 | 0 | 58 |
| დალასი* | 45 | 26 | 18 | 1 | 53 |
| ფინიქსი | 43 | 20 | 21 | 2 | 42 |
| ლოს ანჯელესი | 45 | 16 | 23 | 6 | 38 |

*შენიშვნა*: ოწ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); * - ფლეი ოფის ზონა

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 65 (21+44) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 61 (28+33) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 59 (28+31) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 59 (26+33) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 58 (26+32) |
| ჰიტლი (ოტა) | 58 (27+31) |
| იაგრი (რეინ) | 58 (17+41) |
| სელიანე (ანა) | 57 (28+29) |
| სავარი (ბოს) | 55 (15+40) |
| სტრაკა (რეინ) | 54 (23+31) |
| იგინლა (კალ) | 53 (23+30) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 53 (11+42) |
| ბრიერი (ბაფ) | 51 (16+35) |
| ნიულანდერი (რეინ) | 50 (14+36) |
| ბრინდამორი (კარ) | 50 (13+37) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| სელიანე (ანა) | 28 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 28 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 28 |
| ჰიტლი (ოტა) | 27 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 26 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 26 |
| შენეჰანი (რეინ) | 24 |
| სიომინი (ვაშ) | 24 |
| ჯ. ბლეიკი (აილ) | 23 |
| იგინლა (კალ) | 23 |
| ვანეკი (ბაფ) | 23 |
| დრური (ბაფ) | 23 |
| სტრაკა (რეინ) | 23 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 23 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 44 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 42 |
| იაგრი (რეინ) | 41 |
| სავარი (ბოს) | 40 |
| ჰ. სედინი (ვან) | 37 |
| ბრინდამორი (კარ) | 37 |
| ნიულანდერი (რეინ) | 36 |
| ბრიერი (ბაფ) | 35 |
| ს. ნიდერმაიერი (ანა) | 34 |
| პრონგერი (ანა) | 33 |
| კარია (ნეშ) | 33 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 33 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 33 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 32 |
| რეი უიტნი (კარ) | 32 |
| ე. მაკდონალდი (ანა) | 32 |

## TV სპორტი

### 13 იანვარი. შაბათი

#### მზე

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უოტფორდი-ლივერპული (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ასტონ ვილა (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:38 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1971 წ. ფინალი. ლივერპული-არსენალი.
09:50 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
10:25 სპორტინფორმი.
10:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
12:08 სპორტინფორმი.
12:18 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
13:50 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:16 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-კოლამბუსი.
16:00 ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ჰპკ (ფინეთი)-სპარტა (ჩეხეთი) (LIVE).
18:35 სპორტკლუბი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია B. მანტოვა-იუვენტუსი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. რაიო ვალეკანო-სევილია.
22:50 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ლევანტე (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბარსელონა (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
04:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2006-07. დინამო-ლიონი.
06:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. კიოლნი-დუისბურგი.

#### EUROSPORT

10:30 რალი-რეიდი. დაკარი 2007. VII ეტაპი.
11:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. ვიკერსუნდი. ნორვეგია.
12:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. რუპოლდინგი. გერმანია.
13:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 10 კმ. მას-სტარტი. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. ვიკერსუნდი. ნორვეგია.
14:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
17:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS207. ვიკერსუნდი. ნორვეგია (LIVE).
19:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია.
20:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. რუპოლდინგი. გერმანია.
21:30 დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი.
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი.
03:30 რალი-რეიდი. დაკარი 2007.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა.
12:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი (LIVE).
21:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ჰოლანდია-ესპანეთი. კილმესი. არგენტინა (LIVE).
22:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი.
23:15 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. იაპონია-ავსტრალია. კილმესი. არგენტინა (LIVE).
00:45 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი.
02:15 ახალი ამბები.

### 14 იანვარი. კვირა

#### I არხი

00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა (LIVE).

#### მზე

20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ნიუკასლი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-კოლამბუსი.
09:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-ინტერი.
11:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
13:10 სპორტკლუბი.
13:25 ფიტნესი.
13:50 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბელენენსეში-სპორტინგი.
15:35 ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. აკ ბარსი (რუსეთი)-ლუგანო (შვეიცარია).
17:10 სპორტკლუბი.
17:19 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:49 კრივი. 2006 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
19:11 სპორტკლუბი.
19:30 ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ფინალი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სელტა-ატლეტიკო (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა (LIVE).
01:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2006-07. ვალენსია-შახტარი.
04:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-ინტერი.
07:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

#### EUROSPORT

10:30 რალი-რეიდი. დაკარი 2007.
11:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
11:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
13:45 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია.
14:15 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
15:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
15:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS207. ვიკერსუნდი. ნორვეგია (LIVE).
17:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ესტაფეტა. 4x5 კმ. ვალ დი ფიემი. იტალია.
18:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
18:30 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
20:30 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
21:00 დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი (LIVE).
23:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. VIII ეტაპი (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
01:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. რუპოლდინგი. გერმანია.
02:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე.
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე (LIVE).

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია.
12:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი.
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი (LIVE).
17:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ჰოლანდია-ესპანეთი. კილმესი. არგენტინა.
18:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. II ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-კოპრივნიცა (ხორვატია) (LIVE).
19:45 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტაუ-რეალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი.
00:15 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ავსტრალია-გერმანია. კილმესი. არგენტინა (LIVE).
01:45 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი.
02:15 ახალი ამბები.

## თხილამურები

### უცნაური სანაძლეო

# შიშველი მთაზე

ავსტრიელმა მოთხილამურე **რაინერ შიონფელდერი** შვეიცარიის კურორტ ვენგენის მთაზე თხილამურებით სრულიად შიშველმა ისრიალა - მას მხოლოდ შლემი ეხურა და ფეხსაცმელები ეცვა. ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა ეს იმის გამო გააკეთა, რომ თავის ექიმთან სანაძლეო წააგო. თუმცა, რაინერს არ ეგონა, თუ მის ასეთ უცნაურ გამოსვლას ფოტოგრაფები ფირზე აღბეჭდავდნენ.

თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შიონფელდერმა ასეთი ამბავი მოყვა: გასულ კვირას ის ვარჯიშის დროს უხერხულად დაეცა და ტრავმა მიიღო. ექიმი სპორტსმენს დაპირდა, რომ 10 იანვრისთვის, ავსტრიელი სრულიად ჯანმრთელი იქნებოდა. შიონფელდერმა ექიმს არ დაუჯერა და მათ შორის ნიძლავი დაიდო: თუ ექიმი მართალი აღმოჩნდებოდა, მაშინ მოთხილამურე შიშველი ისრიალებდა თოვლზე.

შიონფელდერმა "თავანი ჩააბარა" და ახლა ავსტრიის მოთხილამურეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ტონი ჟიგერთან** უსიამოვნო საუბარი ელის.



რაინერ შიონფელდერი

## რალი-რეიდი

### ლისაბონი-დაკარი 2007

### VI ეტაპი. ტან ტანი-ზუერატი. 394 კმ.

მანქანები

1. **გორდონი** (აშშ)/**გრიდერი** (აშშ, "ჰამერი") - 2:58.57; 2. **შლესერი** (საფ)/**დებრონი** (საფ, "ფორდი") - +0.17; 3. **დე ვილიერსი** (ს. აფრ)/**ფონ ციტცევიცი** (გერ, "ფოლკსვაგენი") - +6.52; 4. **საინსი** (ესპ)/**პერენი** (საფ, "ფოლკსვაგენი") - +7.17; 5. **პეტერანსელი** (საფ)/**კოტრე** (საფ, "მიცუბიში") - +7.49; 6. **ალ ათიიაჰი** (კატ)/**გეენეკი** (საფ, BMW) - +8.24.

**საერთო ჩათვლა:** 1. **საინსი/პერენი** - 16:00.04; 2. **დე ვილიერსი/ფონ ციტცევიცი** - +3.11; 3. **სოუზა** (პორ)/**შულცი** (გერ, "ფოლკსვაგენი") - +14.03; 4. **ალფანი** (საფ)/**პიკარი** (საფ, "მიცუბიში") - +23.55; 5. **პეტერანსელი/კოტრე** - +25.03; 6. **შლესერი/დებრონი** - +28.50.

მოტოციკლები

1. **ვილადომსი** (ესპ, KTM) - 3:45.45; 2. **კომა** (ესპ, KTM) - +0.57; 3. **ბლეისი** (აშშ, KTM) - +1.00; 4. **ესტევე** (ესპ, KTM) - +3.08; 5. **ვერჰოევენი** (ჰოლ, KTM) - +3.29; 6. **სალა** (იტა, KTM) - +5.54.

**საერთო ჩათვლა:** 1. **კომა** - 17:55.30; 2. **ესტევე** - +12.07; 3. **კასტო** (საფ, KTM) - +44.39; 4. **ბლეისი** - +47.39; 5. **დესპრე** (საფ, KTM) - +57.18; 6. **ვილადომსი** - +1:06.13.

## ოლიმპიზმი

# ლოს ანჯელესი თუ ჩიკაგო?

გუშინ, ამერიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, **პიტერ უებეროტმა** პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც განაცხადა, რომ აშშ-დან 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე ლოს ანჯელესი ან ჩიკაგო იბრძოლებენ.

ამ ორ ქალაქს შორის საბოლოო არჩევანს, ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი 14 აპრილს გააკეთებს. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად ამერიკამ ოლიმპიურ თამაშებს 1996 წელს უმასპინძლა. მაშინ ოლიმპიადა ატლანტაში გაიმართა.

# ფრანგები 2018 წელს უმიზნებენ

საფრანგეთმა 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი გამოთქვა. როგორც ფრანგული პრესა იუწყება, ოლიმპიადის ჩატარებას სამხრეთ ალპებში განლაგებული ქალაქი გაპი გეგმავს. ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ იქ თამაშების ისტორიაში ყველაზე ლამაზი ოლიმპიადა გაიმართება.

უფრო ადრე, 2018 წლის მთავარი სპორტული ფორუმის მასპინძლობაზე პრეტენზია ნორვეგიულმა ქალაქებმა - ოსლომ და ლილეჰამერმა განაცხადეს.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

| ჩემპიონატი | |
|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი-ლეტონი | 3:2 |

#### იტალია

| სერია B | |
|---|---|
| საუთია-პიაჩენცა | 3:3 |

#### საფრანგეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ამიენი-აიაჩო | 1:1 |
| ბასტია-ლიბურნი | 3:2 |
| შატორუ-კრეტეი | 1:0 |
| დიჟონი-ისტრი | 1:0 |
| გინგამი-გრენობლი | 2:2 |
| ნიორი-გენიონი | 1:1 |
| ტური-პავრი | 0:2 |
| მეცი-რეიმსი | 2:2 |

#### ჰოლანდია

| II დივიზიონი | |
|---|---|
| კამბური-ვოლენდამი | 0:1 |
| ემენი-ეინდჰოვენი A | 3:2 |
| დენ ბოში-აპელდოორნი | 2:0 |
| დორდრეხტი-ტოპ ოსი | 4:1 |
| ომნივორლდი-მაასტრიხტი | 3:1 |
| ცვოლე-ვეენდამი | 1:3 |
| ფორტუნა-პაარლემი | 2:0 |
| ჰელმონდი-ვენლო | 1:1 |
| როსენდალი-გრააფსხაპი | 1:3 |
| ტელსტარი-იგლზი | 2:2 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ბოავიშტა-მარიტიმუ | 1:1 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ვერდერი-მატერსბურგი | 1:1 |

| | |
|---|---|
| აინტრახტი-დუისბურგი | 0:0 |
| ფრაიბურგი-ბორუსია (მ) | 1:2 |
| ვოლფსბურგი-ბურგჰაუზენი | 0:2 |
| პერტა-პერაკლესი | 2:0 |
| გრონინგენი-ნიმეგენი | 2:1 |
| ფენერბაჰჩე-დენ ჰააგი | 4:1 |

### კალათბურთი

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ნანსი-დიჟონი | 85:73 |

### ჰოკეი

#### ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| სპარტა-ეილინა | 2:4 |
| ფერიესტადი-ლუგანო | 0:3 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ტრაქტორი | 5:3 |
| სიბირი-სკა | 5:3 |
| მეტალურგი (მ)-ვიტიაზი | 3:3, დ.დ. 4:3 |
| ს. იულაევი-ლადა | 0:3 |
| ნეფტეხიმიკი-სევერსტალი | 1:4 |
| ხიმიკი-დინამო | 1:1 |
| კრილია-ამური | 0:4 |
| ცსკა-ლოკომოტივი | 3:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-კიოლნი | 5:3 |
| დუისბურგი-ჰანოვერი | 1:5 |
| დიუსელდორფი-ინგოლშტადტი | 2:6 |
| ისერლონი-აუგსბურგი | 5:2 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 2:2, პენ. 2:3 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ტას-პიფკ | 3:4 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 4:2 |

პორტრეტი. დუეინ უეიდი

# პატარა და მუშა

## მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ, NBA-მ ახალი მაიკლ ჯორდანი მაიამის ლიდერ დუეინ უეიდში აღმოაჩინა

**NBA-ის მწვრთნელები წლების განმავლობაში სწავლობენ ტაქტიკური ხელოვნების საიდუმლოებებს, შეტევაში ასობით სათამაშო სქემებს ხაზავენ, იგონებენ ათასობით შესაძლო ვარიანტებს, რათა მეტოქე მოატყუონ. ეს ყველაფერი მათ საშუალებას აძლევს სამყაროს ამაყი მზერით უცქირონ და ხანდახან გამარჯვებებსაც მიაღწიონ. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, უკეთესია მარტივად იმოქმედო და საკალათბურთო მოედნის მაკეტი გვერდით გადადო. ასე მოიქცა "მაიამი ჰიტის" მთავარი მწვრთნელი პატ რაილი "დალასთან" ფინალური სერიის მეხუთე მატჩში. "დუეინს მიეცით ბურთი!" - ჯიუტად უყვიროდა ის ოვერტაიმის დასრულებამდე 9 წამით ადრე თავის კალათბურთელებს. ანგარიში 100:99 იყო "დალასის" სასარგებლოდ. შეგირდებმა მწვრთნელის ბრძანება შეასრულეს. უეიდი მეტოქეთა შორის შეიჭრა, ორი ჯარიმის უფლება მოიპოვა და ორივე მშვიდად გამოიყენა. საბოლოოდ, "მაიამიმ" 101:100 მოიგო. სწორედ ის სამი სიტყვა გახდა რაილის მთავარი წვლილი ამ გამარჯვებაში.**

**რაილი ამ მხრივ პიონერი ნამდვილად არ ყოფილა. 80-იან წლებში, ასევე იქცეოდა "ჩიკაგოს" მთავარი მწვრთნელი დაგ კოლინზი. ტაქტიკა, რომელსაც ის მატჩების ბოლო წუთებზე იყენებდა, რამდენიმე სიტყვაში ეტეოდა: "მაიკლს მიეცით პასი და წინ არავინ გადაელობოთ!" კოლინზი, რა თქმა უნდა, იმარჯვებდა. ყველა მიხვდით, რომ საქმე მაიკლ ჯორდანს ეხება, NBA-ის უკანასკნელ ნამდვილ სუპერვარსკვლავს, რომლის შემცვლელს ამერიკაში თითქმის 10 წელი ელოდნენ.**

მართლაც, ვინ არის **დუეინ უეიდი**? ის უნივერსალი კალათბურთელის იშვიათი ნიმუშია. თავს იცავს და უტევს, შესანიშნავად მოქმედებს პერიმეტრზე და ფარქვეშ, იყენებს დრიბლინგსა და სხეულის ძალას მოწინააღმდეგის მოსატყუებლად. მისი უნიკალურობის უკეთ გასაცნობიერებლად, თვალი უნდა გადავავლოთ დუეინის მიერ შესრულებული საჯარიმოების რაოდენობას.

ჯარიმების რაოდენობა განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად ხშირად ისვრის მოთამაშე კალათში ახლო დისტანციიდან. ფარქვეშეთიდან სროლისთვის, მცველმა სამქულიანი ხაზიდან დრიბლინგის წყალობით უნდა გაიაროს ოთხი მოწინააღმდეგე, რომლებიც მასზე მაღლები და ძლიერები არიან. მცველს სჭირდება თავისი ძალისა და ნახტომის გამოყენება, რათა ეს ბარიერები გადალახოს. მხოლოდ ასე შეიძლება ჩააგდო ბურთი ან მოიპოვო ჯარიმის შესრულების უფლება. გასულ სეზონში, უეიდი 820-ჯერ დადგა საჯარიმოს ხაზზე. **შაკილ ო'ნილიც** კი, რომელიც თავისი მასის წყალობით მოწინააღმდეგეს უფრო ადვილად წამოაგებს ხოლმე ჯარიმაზე, თავისუფალი ტყორცნების შესრულება გაცილებით იშვიათად უწევდა.

ძირითადად, ეს იმიტომ ხდება, რომ "მაიამის" მცველი დაცვითი მოთამაშეების ძველი სკოლის ტიპიურ წარმომადგენლად ითვლება. ანუ იმათი, რომლებიც ჯერ კიდევ მაშინ თამაშობდნენ, როცა სამქულიანი ხაზი არ არსებობდა და რომლებიც ასე უყვართ ჭაღარათმიან გულშემატკივრებს. ძველი ქომაგების აზრთა მსვლელობა მარტივია: რატომ უნდა ისროლო შვიდი მეტრიდან, როცა ამის გაკეთება ორი მეტრიდანაც შეიძლება. და უეიდი, ერთ-ერთი ამათგანია, შესაძლოა იმიტომ, რომ ჩიკაგოში დაიბადა და მთელი შეგნებული ცხოვრება **მაიკლ ჯორდანის** "ხარებს" გულშემატკივრობდა. ამის შემდეგ, აუცილებელიცაა, ამ ორი კალათბურთელის შედარებაზე ვისაუბროთ.

■ ■ ■

ამერიკაში დროის მოკვლის კარგი ხერხი არსებობს - უნდა დაიწყო კამათი თემაზე: გამოჩნდება თუ არა NBA-ში ახალი ჯორდანი? უეიდის გამოჩენამ ამგვარი დავა დროში გაზარდა. და ეს იმის მიუხედავად, რომ ამერიკაში ერთი ანდაზა არსებობს - არის ჯორდანი და არიან დანარჩენები.

*"ათლეტური აღნაგობა, ნახტომში შემობრუნებით სროლა, ფარქვეშ შესვლა, ლიდერის ხასიათი მათ თითქმის იდენტური აქვთ"*, - უაპელაციოდ აცხადებენ ახალი მესიის მომხრეები.

*"როგორ შეიძლება მათი შედარება?! -* აღშფოთებას ვერ მალავენ ჯორდანის ექვსი ჩემპიონობის მომსწრე გულშემატკივრები. *- დავიწყოთ იმით, რომ ჯორდანი მაღალია. თანაც ისინი თავიანთ გუნდებში სხვადასხვა როლებს ასრულებენ: უეიდი - შემტევი მცველია, ჯორდანი კი, ფაქტობრივად, მესამე ფორვარდი იყო. გარდა ამისა, მაიკლი ყოველთვის თავისი გუნდის გამოკვეთილი ლიდერი გახლდათ, დუეინს კი, თითქმის თანაბარი მნიშვნელობის მოთამაშეები ეხმარებიან. და ბოლოს, ჯორდანის და უეიდის ძალაზე კამათი იგივეა, რომ უფროსი და უმცროსი ძმები შეადარო - ჯერ უმცროსის გაზრდას დაველოდოთ"*.

მაგრამ, თუ ამ კამათში ერთადერთი და განუმეორებელი ჯორდანის მომხრეები გაიმარჯვებენ, მათი ოპონენტები ამის გამო არ ბრაზდებიან. ფაქტი ფაქტად რჩება - ახალი კუმირის მოლოდინით დაღლილი საკალათბურთო ამერიკა უეიდს ფეხქვეშ ეგება.

NBA-ს სწორედ ასეთი გმირი სჭირდება. როცა ლიგის კომისარი **დევიდ სტერნი** მოთამაშეთა ქცევის წესებს (ოქროს მასიური სამკაულების ტარების აკრძალვა, ხმარებიდან ამოღება სიტყვისა "f...") ადგენდა, ის, ალბათ, დუეინ უეიდის ხასიათითა და ქცევებით ხელმძღვანელობდა. "მაიამის" ლიდერი იშვიათად ესწრება ბოჰემურ საღამოებს, თავისუფალ დროს ოჯახთან ერთად ატარებს, არ ეწევა, არ სვამს, სხეულზე არცერთი სვირინგი არ აქვს, ცოლად ჰყავს სკოლის მეგობარი **სიოვან სანჩესი** და შეიძლება, საერთოდაც არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა "f...". რაღა შორს წავიდეთ, თავის მაისურზე ნომერი "3" წმინდა სამების საპატივცემულოდ აირჩია და ყოველწლიურად, თავისი ხელფასის 10 პროცენტს, ანუ 3.03 მილიონ დოლარს მშობლიური ჩიკაგოს ერთ-ერთ ეკლესიაში რიცხავს.

როცა დუეინის ბიოგრაფიას კითხულობ, ეჭვი გიჩნდება, რომ NBA-ის ხელმძღვანელებმა ის ჰოლივუდის საუკეთესო სცენარისტების დახმარებით გადაწერეს - ქაღალდზე ის ძალიან ლამაზ დრამად ჩანს. გაიზარდა ჩიკაგოს გარეუბანში და არ ქურდობდა. 10 წლიდან დედინაცვალი ზრდიდა, მაგრამ მთელს მსოფლიოზე არ გაბოროტებულა. დილიდან გვიან ღამემდე, მამასთან და ორ ნახევარძმასთან ერთად კალათბურთს თამაშობდა. ქრონიკული მოუცლელობის გამო, მილუოკიში, არაპრესტიჟულ მარკეტის უნივერსიტეტში ჩაირიცხა და იმავე მოუცლელობის გამო, სწავლის პირველ წელს, უნივერსიტეტის გუნდში თამაშის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ შემდეგ დიდი მონდომებით შეძლო ნიშნების გამოსწორება და უნივერსიტეტის ისტორიაში საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

სხვათა შორის, უეიდს შეთავსებით მწვრთნელის ფუნქციების შესრულება მოუწია. დუეინი მარკეტის გუნდის მწვრთნელ **ტიმ კრინისთვის** უმანკოების ეტალონი იყო. სანამ უნივერსიტეტის გუნდში თამაშის უფლებას მიიღებდა, მომავალი ვარსკვლავი ყოველ მატჩზე თავის გარდერობში არსებულ ერთადერთ თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი ცხადდებოდა. თავიდან სტატისტიკურ მაჩვენებლებს ინიშნავდა, დროთა განმავლობაში კი, მწვრთნელს მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვაში ეხმარებოდა. *"ერთხელ, ერთ-ერთმა კალათბურთელმა ცუდად ითამაშა, - ყვება კრინი. - მე ვთხოვე უეიდს, ყველას თანდასწრებით ეს ბიჭი 10-ბალიანი სისტემით შეეფასებინა. ვინმე სხვა, ყოველი შემთხვევისთვის, მოიტყუებოდა, მაგრამ დუეინი ღმერთისგან დიდი პატიოსნებით არის დაჯილდოვებული. მან თანაგუნდელს "ორიანი" დაუწერა და დამნაშავეს კამათიც კი არ დაუწყია. მან იცოდა, რომ უეიდის ნდობა შეიძლებოდა"*.

ცნობისთვის, უეიდი სწორედ კრინს უნდა უმადლოდეს თავის უნივერსალიზმს. უნივერსიტეტში მწვრთნელი ყველანაირად ებრძოდა მის ერთფეროვნებას - "დრიბლინგი-სროლა". რამდენიმე თვის განმავლობაში, ვარჯიშებზე კრინი თავის პროტეჟეს სხვადასხვა პოზიციებზე იყენებდა, ცენტრადაც კი აყენებდა ხოლმე. დუეინს სხვადასხვა ამპლუის მოთამაშის მოქმედების იმიტირება უნდა მოეხდინა, რამაც შედეგი გამოიღო - დღეს, მხოლოდ ბრმა ვერ შეამჩნევს მოედანზე მის მრავალფეროვნებას.

■ ■ ■

ახლა, "მაიამი ჰიტის", რომელმაც უეიდი დრაფტზე მისი დღევანდელი სტატუსიდან გამომდინარე მოკრძალებულ მეხუთე ნომრად აირჩია, ბევრ კლუბს შურს. "ჰიტმა" ერთდროულად მიიღო უმაღლესი კლასის შემტევი მცველი და პატიოსანი ბიჭი, რომელიც მზად არის პარტნიორების საკეთილდღეოდ მსხვერპლად შესწიროს თავისი პოპულარობის რეიტინგი. დუეინმა ყველასთან თანაბარი ურთიერთობების დამყარება შეძლო, რაც NBA-ში ამბიციური პიროვნებების მოზღვავების ფონზე, უაღრესად რთული საქმეა. მან მეგობრებიც შეიძინა - თავისი ასაკის **კერონ ბატლერი და ლამარ ოდომი**. უეიდის გუნდური თვისებების გამოცდის დრო 2004 წლის ზაფხულში დადგა, როცა "მაიამის" ხელმძღვანელობამ ტრეიდი განახორციელა. "ჰიტმა" შაკილ ო'ნილი დაიმატა, ხოლო "ლეიკერსში" ბატლერი და ოდომი გაუშვა. უეიდი განრისხებული იყო. მას არ ესმოდა, რას უმიზნებდა მისი გუნდი. თუმცა, ამ განრისხებას უედისთვის დამახასიათებელი მოზომილი ხასიათი ჰქონდა.

"მაიამის" გულშემატკივრები სკანდალის მოლოდინში გაირინდნენ, მაგრამ შემდეგ შვებით ამოისუნთქეს - შაკის ერთ-ერთი ინტერვიუს შემდეგ, დიდი ო'ნილისა და სწრაფი უეიდის მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. საწვრთნელი შეკრების წინ, შაკილმა ოდნავი შიშითა და რიდით აკრიფა თავისი ახალი გუნდის მთავარი ვარსკვლავის ტელეფონის ნომერი და ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ გრძელი მოხსენება მოისმინა უფროსი თანაგუნდელის მიმართ პატივისცემაზე, გუნდურ სულსა და სხვა ადამიანურ ღირსებებზე. *"ის ჩვეულებრივ ღირსებებზე საუბრობდა, მაგრამ ამას ისეთი სიტყვებით აკეთებდა, რომ დავრწმუნდი - ამ ადამიანს ტყუილის თქვა არ შეუძლია"*, - გაკვირვებას ვერ მალავდა მოგვიანებით შაკი. ამ საუბრის შემდეგ, უეიდმა ახალი პარტნიორი სატელეფონო წიგნში BIG-ის სახელით შეიყვანა, ო'ნილმა საპასუხოდ ის ასე ჩაინიშნა - small.



დუეინ უეიდი

დაიწყო პარტნიორობა, მეგობრობა და თანამშრომლობა. შოუ-ბიზნესის საქმეებში გაუთვითცნობიერებელი დუეინი შაკს მოსწავლედ დაუდგა. ო'ნილი ახალ მეგობარს ასწავლიდა როგორ უნდა მიეცა სწორად ინტერვიუ, როგორი სარეკლამო კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა და როგორისგან უნდა შეეკავებინა თავი. ფსიქოლოგიურად არამდგრადმა შაკმა, თამაშებისა და ვარჯიშებისგან თავისუფალ დროს, დუენის წყალობით ისწავლა მაღალ მატერიებზე ფიქრი და მატჩების გადამწყვეტ მომენტებში სიმშვიდის შენარჩუნება. ამ პარტნიორობით მთავარი მოგებული კი, "მაიამი ჰიტი" დარჩა.

ზეიმის მწვერვალად იქცა 2006 წლის ფლეი ოფის ფინალური სერია, რომელიც ლიგის ისტორიის 10 საუკეთესო სერიაში შეიტანეს. "დალას მავერიქსთან" დაპირისპირებაში, **პატ რაილიმ** თავისი მეხუთე ტიტული მოიგო, ო'ნილმა - მეოთხე, ხოლო უეიდმა - მხოლოდ პირველი. მაგრამ არავის გასჩენია ეჭვი, რომ ამ გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ დუეინმა შეიტანა. სუფთად წაგებული პირველი ორი მატჩის შემდეგ, სიტყვა "მაიამის" მცველმა აიღო. მომდევნო სამ თამაშში, მან 77-დან 38 "ცოცხალი" ტყორცნა ჩააგდო და 52 ზუსტი საჯარიმო შეასრულა, მათ შორის ორი გადამწყვეტი, მეხუთე მატჩის ოვერტაიმში. ყველაფერ ამას, მან მეექვსე შეხვედრაში 36 ქულაც დაუმატა.

მისმა თავდაჯერებულობამ და სიმშვიდემ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან ფინალში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია - შაკილ ო'ნილზე **ჯერი სტეკჰაუსის** თავდასხმამ, პირდაპირ მეხუთე მატჩის მსვლელობისას დევიდ სტერნის მისამართით "დალასის" მფლობელ **მარკ ქუბანის** უცენზურო სიტყვებმა და მსაჯების შეცდომებმა სერიის მონაწილეებს ნერვები დააწყვიტეს. ყველას, გარდა უეიდისა. თუმცა, მეოთხე შეხვედრის შემდეგ, თვით მისტერ კორექტულობამაც ვერ მოითმინა, რომლისგანაც იშვიათად მოისმენ მგზნებარე სიტყვას.

*"მე მგონი, მათ მხედველობაში ჰქონდათ ის, რომ სროლა არ ვიცი, -* დააზუსტა უეიდმა, როცა მას უთხრეს, რომ "დალასის" მოთამაშეებმა იცოდნენ, რომ დუეინს ნახტომში სროლა არ ეხერხება და ამიტომაც თავისუფლად აძლევდნენ ამის გაკეთების საშუალებას. *- ასე იყოს, მაგრამ მაშინ საერთოდ რატომ მიშლიან ხელს სროლაში!"*

მას ჰქონდა საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვის უფლება. "დალასის" სათადარიგო მცველმა **დერელ არმსტრონგმა** ერთი დღით ადრე ასეთი რამ თქვა:

*"ეს ბიჭი ისეთ სიტუაციებში იღებს საჯარიმოების შესრულების უფლებას, რომ მის ადგილზე მაიკლ ჯორდანი მსაჯისკენ უკმაყოფილო მზერასაც კი არ ისროდა. უეიდი ხტება, კარგავს წონასწორობას, ჩვენ კი, მას საერთოდ არ ვეხებით, ის კი საჯარიმოს ხაზზე დგება! დაუჯერებელია. რისი მიღწევა უნდა NBA-ს? რეიტინგის?"*

არმსტრონგის სიტყვებში არის სიმართლის ნატამალი. ლიგის ახალი პოლიტიკაა მეტოქის მხრიდან ნებისმიერი თავდასხმისგან ვარსკვლავის დაცვა, აგრეთვე მოთამაშეების ჩაცმულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა. ამიტომაც, რელიგიურ და მოყვასის მოყვარულ უეიდს გარანტირებული აქვს სიმულაციაზე, დისკვალიფიკაციასა და ნოტაციებზე მუდმივი ინდულგენცია. და ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, მართლა გახდა ის ახალი მაიკლ ჯორდანი, თუ ლიგის ხელმძღვანელები მას კარგად ნაცნობი შეფუთვით ყიდიან.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ზაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა